კახელების სატკივარი A4
"თქვენი აფხაზეთი" A8
ევროისტორია B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2004 წელი. №219 (768)
ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

### ეკონომიკა

## გაზი იქნება

დღეიდან "გაზპრომი" საქართველოს საჭირო ოდენობის გაზს სრული მოცულობით მიაწვდის. ამის სანაცვლოდ კი, ქართულმა მხარემ ყველა დავალიანება, რაც რუსეთის ენერგოგიგანტის მიმართ მიმდინარე წლის აგვისტოს თვის ჩათვლით დაუგროვდა, 2005 წლის 1 ივლისამდე უნდა დაფაროს.

A4

### უცხოეთი

## ისრაელი სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დგას



*არიელ შარონი ებრაული დასახლებების გამოყვანასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებას უკვე მომავალი წლის დასაწყისში აპირებს.*

A5

### საზოგადოება

## ფულადი საჩუქარი მესტიისთვის



საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სტიქიით დაზარალებულ მესტიის რაიონს საჩუქარი მოუმზადა.

A6

### სამართალი

## ყოფილი მძევლები მევლუდ ჭიჭიაშვილს დღეს სასამართლოში ნახავენ



*30 წლის შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილის 24-ტომიანი საქმის არსებითი განხილვა უზენაესმა სასამართლომ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო.*

A7

### ამინდი

| | 15/9 | 16/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 23 |
| ქუთაისი | 27 | 28 |
| ბათუმი | 25 | 26 |
| სოხუმი | 26 | 27 |
| ფოთი | 26 | 27 |
| თელავი | 23 | 23 |
| ზუგდიდი | 28 | 29 |
| გორი | 22 | 22 |
| ახმეტა | 23 | 23 |
| ჭიათურა | 24 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8500 |
| ევრო | 2.2690 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3250 |
| რუბლი | 0.0633 |

# პოლიტიკოსები ოლიმპიელებმა გააშველეს

### პარლამენტარებმა საშემოდგომო სესიის პირველი სხდომა გამართეს



*პარლამენტარებმა ახალი ჰიმნით გახსნეს საშემოდგომო სესია.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საშემოდგომო სესიის პირველი სხდომა პარლამენტარებმა მეტად ხმაურიანად და ემოციურად წარმართეს. მათ სესიის გახსნის ოფიციალურ, საზეიმო ნაწილს მხოლოდ უმნიშვნელო დრო დაუთმეს და პირდაპირ პოლიტიკურ განცხადებებსა და ურთიერთბრალდებებზე გადავიდნენ; თუმცა სანამ "მემარჯვენე ოპოზიციონერები" და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები სხდომათა დარბაზში სიტყვიერ დუელს გამართავდნენ, პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენიმე საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.*

თამარ მჭედლიშვილი

ბუნებრივია, რომ საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომა პარლამენტის თავმჯდომარის ერთგვარი საპროგრამო სიტყვის გარეშე არ გაიმართებოდა. ეს ტრადიცია ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში უკვე კარგა ხანია, რაც დამკვიდრდა და მას გუშინ არც ნინო ბურჯანაძემ უღალატა. მისი გამოსვლა თანაბრად შეეხო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ შექმნილ ვითარებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საშინაო პოლიტიკის მიმოხილვისას მან ძირითადი აქცენტი ხელისუფლების ერთიანობაზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, აჭარის საქართველოს სივრცეში დაბრუნებასა და ვარდების რევოლუციის ავტორთა მტკიცე კავშირზე გააკეთა.

**"საქართველოს ხელისუფლებამ შეინარჩუნა ერთიანობა მაშინ, როცა სკეპტიკოსები მას დაშლასა და დაქუცმაცებას უწინასწარმეტყველებდნენ. ხელისუფლების ყველა შტოსთვის უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ჩვენ ნებისმიერ არასასიამოვნო სიმართლეს ერთმანეთს დაუფარავად ვეუბნებით... მოსახლეობამ იცოდა, რომ ერთ წელიწადში ყველა პრობლემის მოგვარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. თუმცა ხელისუფლებამ შეძლო უმნიშვნელოვანესი - დაიბრუნა აჭარა და ჩაატარა დემოკრატიული არჩევნები. გარდა ამისა, ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები ქართული ჯარის მშენებლობისა და საზღვრების დაცვის გაძლიერების კუთხით. ეს ფაქტორები პრიორიტეტულია ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის",** - განაცხადა გუშინ ბურჯანაძემ და იქვე დარწ-

გაგრძელება A2 გვერდზე

# საზოგადოება - მსაჯული

### ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი - სიახლე ქართულ მართლმსაჯულებაში

*ქართული მართლმსაჯულების სიახლე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - უახლოეს მომავალში, ალბათ, რეალურად ამოქმედდება. იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა ჯგუფმა უკვე დაასრულა კანონპროექტზე მუშაობა და პროექტის სამუშაო ვარიანტი რეკომენდაციებისთვის სხვადასხვა უწყებებს დაუგზავნა. შენიშვნების შეჯერების შემდეგ პროექტი ჯერ პრეზიდენტის კანცელარიას გადაეცემა, ხოლო შემდეგ - პარლამენტს.*

ინგა ალავიძე

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში კლასიკური, ამერიკულ-ინგლისური მოდელით ამუშავდება. ამ მოდელის პრინციპი ასეთია - 12-ს (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის) პლუს ერთი (მოსამართლე). უფრო მარტივად კი, საქმის მოსმენის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი ჟიური, სამსაათიანი თათბირის შემდეგ, აცხადებს ვერდიქტს, რომლის საფუძველზეც მოსამართლეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოაქვს განაჩენი. მოსამართლე განსჯის და იღებს გადაწყვეტილებას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ნაფიც მსაჯულთა ჟიური, ფიცის დადების შემდეგ, განსჯის და გადაწყვეტილებას იღებს ფაქტების შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ, აცილება მისცენ მსაჯულობის კანდიდატს. მხარეებისთვის ნაფიც მსაჯულთა ვინაობა საქმის განხილვის დაწყებამდე გასაიდუმლოებულია ნაფიც მსაჯულთა ჟიურისთვისაც, ასევე, გასაიდუმლოებულია განსახილველი საქმე - ორივე მხარე ინფორმაციას საქმის განხილვის დაწყებისას ღებულობს. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, ამომრჩეველთა სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

მოქალაქე ვერ გახდება ნაფიცი მსაჯული, თუ ის ნასამართლევია, არის განსახილველ საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის ნათესავი ან მასთან დაკავშირებული პირი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ავტორიტარიზმი დემოკრატიის სანაცვლოდ

### პუტინის ინიციატივის უცხოური პრესის შეფასებები

ვლადიმირ პუტინის მიერ ორშაბათის გაფართოებულ სხდომაზე გამოთქმულმა ინიციატივამ ცენტრალური ძალაუფლების რადიკალურად გაძლიერების შესახებ, არცთუ უსაფუძვლო შეშფოთება და ეჭვები გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

"ტერორიზმი მიზეზია, თორემ რეალური მიზანი მთელი სახელისუფლებო აპარატის პირადი კონტროლისთვის დაქვემდებარებაა," - აცხადებენ პოლიტიკური ექსპერტები. მათივე შეფასებით, პუტინის რეფორმები ბოლოს მოუღებს ისედაც მყიფე დემოკრატიულ ინსტიტუტებს რუსეთში.

ტერორიზმის წინააღმდეგ რუსეთ-აშშ-ს ალიანსის ფონზე განსაკუთრებით საინტერესო ამერიკული მედიის შეფასებებია.

გაგრძელება A5 გვერდზე



*თავისივე ხისტი ჩეჩნური პოლიტიკის "კავკასიელი ტყვე"*

## ვაშინგტონი ელჩს ეხმიანება

ნინო გომართელი

**"ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, პანკისის ხეობა ტერორისტებისთვის სამოთხე აღარ არის,"** - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, რიჩარდ ბაუჩერის ეს სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, პასუხი იყო რიჩარდ მაილსის მიერ გაკეთებულ მოულოდნელ განცხადებაზე, რომ "პანკისის ხეობას რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი ჯერ კიდევ აფარებს თავს.

რაც შეეხება ბაუჩერს, მან ასევე აღნიშნა, რომ 13 სექტემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილეს რიჩარდ არმიტიჯსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ამერიკულ-ქართული ანტიტერორისტული თანამშრომლობის საკითხები.

**"აშშ კვლავ ადასტურებს თავის მონაწილეობას იმ ერთობლივ ქმედებებში, რომელსაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველო და რუსეთი ახორციელებს. აშშ-ში ამაყობენ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეობითა და უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სფეროში საქართველოსთვის 47 მილიონი დოლარის ოდენობით გაწეული დახმარებით, რომელიც ქართული სასაზღვრო და სამართალდამცავი ორგანოების მხარდასაჭერად გამოიყო,"** - თქვა ბაუჩერმა.

## მუმლაძეს "ნაციონალებიც" აუმხედრდნენ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის გარშემო ახალი საპროტესტო მოძრაობა გორდება. თუკი ადრე მუმლაძის წინააღმდეგ, ძირითადად, ძველ ხელისუფლებასთან დაახლოებული ინტელიგენცია და ოპოზიციური პარტიები გამოდიოდნენ, ამჟამად რწმუნებულს თავისივე პარტიის გარკვეული ნაწილი განუდგა - "ნაციონალური მოძრაობის" 200-მდე წევრი მის გადადგომას მოითხოვს. მუმლაძის წინააღმდეგ გამართულ აქციებში მონაწილეობას გეგმავს სანდრა რულოვსის ქუთაისელი მამობილი ფირუზ კინწურაშვილიც. მუმლაძესა და კინწურაშვილს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო რაც რწმუნებულმა ზესტაფონიდან წიდის გატანა შეაჩერა (კინწურაშვილი სილიკომანგანუმის გამტანი ერთ-ერთი უცხოური ფირმის წარმომადგენელია ბ.ს).

მუმლაძის ოპოზიცია აცხადებს, რომ მიტინგზე თითქმის მთელ ქუთაისს მოუყრის თავს, თუმცა აღნიშნულ დანაქადნს ბევრი სკეპტიკურად უყურებს და ფალიანის წინააღმდეგ გამართულ აქციებს იხსენებს, როდესაც არჩევნების გამყალბებელი მერის წინააღმდეგ ორასამდე ადამიანი გამოვიდა.

"ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაცია ბოლო პერიოდში თითქმის პარალიზებულია, რასაც "ნაციონალები" მხოლოდ რწმუნებულს აბრალებენ. ისინი აცხადებენ, რომ მუმლაძეს ძლიერი "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის არსებობა ხელს არ აძლევს. დათო მუმლაძე კი აღნიშნულ პირებს თანამდებობების მიუღებლობის გამო გაღიზიანებულებს უწოდებს.

**"მე, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ვამბობ, რომ ეს არის მკაცრი პარტიული დისციპლინის საკითხი. არ შეიძლება, ყველამ, ყოველგვარი ნებისა და დასტურის გარეშე პარტიული ორგანიზაციის სახელით ისარგებლოს. ამ საქციელს ძალიან სერიოზული შეფასება თავად პარტიის შიგნით უნდა მოჰყვეს,"** - განაცხადა დავით მუმლაძემ.

აღნიშნული განცხადებიდან დაახლოებით ორ საათში, "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი უკლებამ პარტიიდან გარიცხა სამი წევრი - ვიტალი ბოჭორიშვილი, ბესარიონ გიორგბელიძე და მაია ჯიშკარიანი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მუმლაძეს "ნაციონალებიც" აუმხედრდნენ

პირველი გვერდიდან

**"ისინი დაისაჯნენ იმის გამო, რომ დაარღვიეს ადგილობრივი ორგანიზაციის დებულება. კერძოდ, მათ გადაწყვიტეს, რომ დაპირისპირებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. პარტიის თავმჯდომარისა და საბჭოსაგან დაუკითხავად, მიმართეს ქალაქის მერიას და მოითხოვეს მიტინგის ჩატარება. ჩვენ მთავარ საკითხად ვაყენებთ პარტიულ დისციპლინას და ამას არ ვაპატიებთ არავის."** - განაცხადა გიორგი უკლებამ. საქმე ისაა, რომ ნაციონალების აღნიშნულმა ნაწილმა ქუთაისის მერიას მიტინგის ჩატარების მოთხოვნით 13 სექტემბერს მიმართა. იგივე ტექსტითა და მისამართით მერიას ანალოგიური მიმართვა გაუგზავნა "ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორებმაც".

უკან დახევას არც "ნაციონალი ოპოზიციონერები" აპირებენ. **"მე ვარ პრეზიდენტის და არა მუმლაძის გუნდის წევრი. ზურგს მიმაგრებს 130 პარტიის აქტივისტი. მუმლაძე არცხვენს პრეზიდენტს, მისი და პრეზიდენტის კურსი განსხვავებულია.... მუმლაძემ სააკაშვილს ქუთაისში რეიტინგი დაუწია,"** - აცხადებს პარტიიდან ახლახანს გარიცხული ბესარიონ გიორგბელიძე.

ხუთშაბათს დაგეგმილ მიტინგზე მუმლაძის ოპოზიციას შემდეგი ძირითადი მოთხოვნები ექნება: რწმუნებულის უპირობო გადადგომა, ქუთაისისი მერის არჩევნების დანიშვნა და დათო მუმლაძისა და ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის გია გიორგაძის განვლილი მუშაობის შესწავლა.

## აბსანძე ნათელაშვილს "კოლგოტკის" ჩაცმით ემუქრება

გუშინ სახელმწიფო მინისტრმა გურამ აბსანძემ ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

აბსანძის განმარტებით, ნათელაშვილი, რომელმაც რუსეთთან გაურკვეველი სახის ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, ყოველმხრივ ხელს უწყობს ერის დაპირისპირებასა და გახლეჩას: **"იგი არასოდეს გამოსულა კონსტრუქციული წინადადებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა; სამაგიროდ, უხვად აფრქვევს შეურაცხმყოფელ განცხადებებს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ."**

**"ის სხვის ნაკარნახევს, ვიღაცის დაკვეთას ასრულებს"**, - აცხადებს აბსანძე. სახელმწიფო მინისტრს ნათელაშვილის ქმედებანი აგონებს წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისს, როდესაც **"რუსეთი და მეხუთე კოლონის წარმომადგენლები შეთანხმებულად გამოდიოდნენ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ."**

ნათელაშვილს, რომელიც თამამად აგინებს დღევანდელ ხელისუფლებას, აბსანძემ "ბნელი წარსული" გაუხსენა: **"ყველა უბედურებას, რაც ხდებოდა "პუტჩის" შედეგად მოსული ხელისუფლების დროს, ვიზას აძლევდა პარლამენტის იურდიული კომიტეტის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი... ის მაშინ იჯდა პარლამენტის სავარძელში, როცა ჯერ კიდევ შემშრალი არ იყო მამულისთვის დახოცილი ვაჟკაცების სისხლი."**

გურამ აბსანძის განსაკუთრებულ აღშფითებას იწვევს ნათელაშვილის "ინიციატივა", რომ ის პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს კაბებს ჩააცმევს. **"თუ კვლავ გააგრძელებს ასეთ შეურაცხმყოფელ გამოსვლებს, ქართველი ხალხი ნათელაშვილს "კოლგოტკას" ჩააცმევს"**, - ასეთ შავ მომავალს უწინასწარმეტყველებს აბსანძე ნათელაშვილს.

**"ნათელაშვილი ამბობს, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის ბანდა. მეც ამ ხელისუფლებას წარმოვადგენ და სრულებითაც არ გახლავართ ბანდის წევრი. ნათელაშვილის სიტყვების გამო შეურაცხყოფილი ვარ. მან ეს სიტყვები უკან უნდა წაიღოს"**, - სახელმწიფო მინისტრი შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას აპირებს.

*24 საათი*

## ტიტანების შერკინება

ინალ ხაშიგი სოხუმიდან
*IWPR*

**უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ალექსანდრ ანქვაბისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ და ამით არძინბა-ხაჯიმბას ოპოზიცია გააერთიანა.**

უზენაესი სასამართლო კანონით გათვალისწინებული ხუთი დღის განმავლობაში განიხილავდა "აიტაირას" ლიდერის ალექსანდრ ანქვაბის პროტესტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების მიმართ, რომელმაც იგი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციაში არ გაატარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საზოგადოება აზარტულად არჩევდა ვითარების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, კერძოდ კი - რას მოიმოქმედებდა საპრეზიდენტო რბოლის უდავოდ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ანქვაბი, თუ უზენაესი სასამართლო ცესკო-ს გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდა.

თუმცა, ყველა საკითხი სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების წინა დღესვე მოიხსნა, როდესაც სოხუმის ფილარმონიის დარბაზში "აიტაირას" საგანგებო სხდომა გაიმართა.

მხარდამჭერებით გადავსებული დარბაზი ელოდა, თუ რას იტყოდნენ მოძრაობის ლიდერები. მოუთმენლობითა და ნერვიულობით ელოდა ამას ხელისუფლებაც. ვითარების გაუთვალისწინებელი განვითარების შიშით კონფლიქტის მონაწილე ყველა პირდაპირი თუ ირიბი სტრუქტურის - ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პარლამენტის, ხელისუფლების და უზენაესი სასამართლოს დაცვა გაძლიერებული იყო. პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" თავმჯდომარემ ლეონიდ ლაკერბაიამ სხდომის ტრიბუნიდან ხელისუფლების შიშზე რეაგირება მოახდინა: "ვითარებას არ ავაფეთქებთ, ვერ მოესწრებით" და ყველასათვის გასაგები გახადა, რომ "აიტაირას" ნებისმიერი სამომავლო მოქმედება კონსტიტუციის მკაცრი დაცვით განხორციელდება.

"ჩვენი მოძრაობა პარალელურად მიდის "ერთიანი აფხაზეთის" და "ამცახარას" ბლოკთან, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატად სერგეი ბაღაფში წარადგინა. თუ სასამართლო ანქვაბის სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, ჩვენ ამ პარალელურ სვლას მეორე ტურამდე გავაგრძელებთ. ხოლო თუ ჩვენს ორ კანდიდატს შორის გაიმარჯვებს ბაღაფში, მაშინ "აიტაირა" მას ყოველმხრივ დაუჭერს მხარს. თუ გაიმარჯვებს ანქვაბი, ვიმედოვნებთ, რომ ისინიც ასევე მოიქცევიან", - არ დამალა ვითარების შესაძლო განვითარების გეგმა ლეონიდ ლაკერბაიამ.

სანამ იგი ტრიბუნიდან ლაპარაკობდა, ფილარმონიაში სერგეი ბაღაფში შევიდა და მაშინვე სცენისკენ გაემართა. სხდომის დელეგატთა მოწონების შეძახილების შემდეგ მან პრეზიდიუმში ალექსანდრ ანქვაბის გვერდით დაიკავა ადგილი. რამდენიმე წუთის შემდეგ სერგეი ბაღაფშმა ტრიბუნიდან ოფიციალური განცხადება გააკეთა: თუ სასამართლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას უცვლელს დატოვებს, "ერთიანი აფხაზეთისა" და "ამცახარას" ბლოკის არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, "აიტაირას" ლიდერი ალექსანდრ ანქვაბი პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს.

"ჩვენ ამომრჩევლებს ასეთ რამეს შევთავაზებთ: პრეზიდენტი - ბაღაფში, ვიცე-პრეზიდენტი - სტანისლავ ლაკობა და პრემიერ-მინისტრი - ალექსანდრ ანქვაბი..." - დარბაზმა მოწონების ნიშნად დაიგუგუნა.

მეორე დღეს უზენაესმა სასამართლომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არ შეცვალა, თუმცა მოსამართლე ხარიტონ დაშელიას მიერ წაკითხულ სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნული იყო, რომ ცესკო-ს ალექსანდრ ანქვაბის დისტანციიდან მოხსნისთვის სამხილი არ ჰქონდა. ამ ნონსენსის მიუხედავად, ცესკო-ს გადაწყვეტილება გადახედვას არ დაექვემდებარა.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ერთი საათის შემდეგ, "აიტაირას" ლიდერებმა პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ სხვა გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ელოდნენ, რადგან, მათი აზრით, სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ძლიერ ზეწოლას განიცდიდა. "ჩვენ "ერთიან აფხაზეთთან" და "ამცახარას" ბლოკთან გავერთიანდებით და გვერწმუნეთ, გვეყოფა იმის რესურსი, რომ ეს ხელისუფლება შევცვალოთ", - განაცხადა ალექსანდრ ანქვაბმა.

ორი დღის შემდეგ ალექსანდრ ანქვაბი კვლავ ჩაერთო წინასაარჩევნო მარათონში, მაგრამ უკვე არა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, არამედ როგორც ოპოზიციური მოძრაობების - "ერთიანი აფხაზეთის", "ამცახარას" და "აიტაირას" - ახალი ალიანსის წევრი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატურად სერგეი ბაღაფში დაასახელა.

"აიტაირას" ლიდერის დისტანციიდან მოხსნამ გამოკვეთა საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტი ორი პირი. ახლა ქვეყნის მმართველის მთავარ მოქმედ პირებად იქცნენ სერგეი ბაღაფში და პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, რომელსაც მხარს უჭერს მოქმედი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა. სხვა სამ პრეტენდენტს - ექსპრემიერ ანრი ჯერგენიას, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს სერგეი შამბას და სახალხო პარტიის ლიდერს იაკუბ ლაკობას - 3 ოქტომბერს დანიშნული აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ტიტანთა შერკინებაში სტატისტების ბედი ელით.

## პოლიტიკოსები ოლიმპიელებმა გააშველეს

პირველი გვერდიდან

მუნებით დასძინა, რომ საქართვე-

ლოს ტერიტორიული მთლიანობ-

ი

ს

საკითხის გადაწყვეტა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ პერიოდსა და 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის მუშაობის დროს მოხდება.

პარლამენტის თავმჯდომარემ საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადების, სასამართლო რეფორმის განხორციელების, საერთაშორისო არენაზე საქართველოს როლის გაძლიერების აუცილებლობაზეც ისაუბრა და იქვე დასძინა, რომ ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას ევროსტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაცია წარმოადგენს.

ბუნებრივია, პარლამენტის თავმჯდომარე თავის გამოსვლაში რუსეთთან ბოლო დროს უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობებსაც შეეხო.

**"საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები სურს, მაგრამ დაუშვებელია, როცა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და ამავე დროს ხელს უწყობს სეპარატისტებს, არღვევს რა დსთ-ს 1996 წლის სამიტის გადაწყვეტილებას აფხაზეთისთვის ბლოკადის გამოცხადების, მათ შორის - სარკინიგზო მიმოსვლის აკრძალვის შესახებ,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. ამავე დროს იგი გუშინ ღამით რუსული ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტსაც გამოეხმაურა. ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ რუსულმა მხარემ გასულ კვირას განგებ გააკეთა განცხადება პანკისის ხეობაში ტერორისტთა სავარაუდო არსებობის შესახებ, რათა შემდგომ აქცენტი კოდორის ხეობაზე გადაეტანა. **"თუ კოდორის ხეობაში ტერორისტები მართლაც იმყოფებიან, ეს რუსეთის ხელისუფლებისთვის უფრო დამაფიქრებელი უნდა იყოს, რადგან კოდორის ხეობა აფხაზეთის მოსაზღვრე რეგიონია და ტერორისტები იქ აფხაზეთიდან უნდა მოხვედრილიყვნენ. ასე რომ, თუ ეს მართლაც ასეა, რუსეთის ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებს"**, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა კი საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა იმ სტრატეგიის შესახებ, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობებში ხელმძღვანელობს.

**"ჩვენ მკაფიოდ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება საქართველოსა და რუსეთს შორის და რა სანქციებს უნდა ველოდეთ რუსეთის მხრიდან. ბოროტებული მეზობლისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ამიტომ საქართველოს პარლამენტმა და საგარეო უწყებამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჩიხიდან გამოსაყვანად ერთობლივად ყველაფერი უნდა გააკეთონ,"** - განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი გამოსვლის შემდგომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში ატმოსფერო ნელ-ნელა დაიმუხტა. ერთმანეთს "მემარჯვენე ოპოზიციონერები" და უმრავლესობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. პირველი შეტაკება მას მერე მოხდა, რაც ფიქრია ჩიხრაძემ პარლამენტის სპიკერატს ჰკითხა, იცოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ჩიხრაძის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მისთვის არაფერი იყო ცნობილი პარლამენტის მიერ აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ. **"როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტს ამ საკითხზე სხვაგვარი აზრი გააჩნდა. მაშინ ვინ მისცა პარლამენტს რეკომენდაცია, აფხაზეთის დეპუტაციისათვის უფლებამოსილება შეეწყვიტა?"** - აღნიშნა მან.

ჩიხრაძის ამ განცხადებას ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე, შემდეგ კი უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია გამოეხმაურა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პრეზიდენტი ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ პარლამენტი აფხაზეთის დეპუტაციისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს იხილავდა. **"სულაც არ არის ცუდი, რომ პრეზიდენტი არ ერევა პარლამენტის გადაწყვეტილებებში. საპარლამენტო ოპოზიციას კი ამგვარი განცხადებებით იმის დამტკიცება სურს, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობასა და პრეზიდენტს შორის მოქმედებების კოორდინაცია არ ხდება,"** - განუცხადა კოლეგას ბურჯანაძემ. გიგა ბოკერიამ კი, თავისი კომენტარით, "მემარჯვენეებს" ნიშნიც კი მოუგო. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობას ისე არ აქვს საქმე აწყობილი, რომ ნებისმიერი ნაბიჯი პრეზიდენტთან შეათანხმოს, ხოლო "მერმაჯვენეები" სააკაშვილს უმრავლესობის ქმედებების ახალ მოდელს სთავაზობენ, რომლითაც ისინი იხელმძღვანელებენ, თუკი ოდესმე უმრავლესობაში იქნებიან.

"მემარჯვენეებსა" და უმრავლესობას შორის მორიგი დაპირისპირება უკვე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის გამოსვლას მოჰყვა. გაბაშვილმა რუსეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით პოლიტი-

### პარლამენტმა ოთხი ელჩის კანდიდატურა დაამტკიცა

გუშინ პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა მორიგი ოთხი ელჩის კანდიდატურა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ზაალ გოგსაძე იტალიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იქნება, ალექსი პეტრიაშვილი - თურქმნეთსა და ავღანეთში. ზურაბ შურღაია საქართველოს ინტერესებს ყაზახეთსა და ყირგიზეთში წარმოადგენს, ხოლო ლაშა ოთხმეზური დიპლომატიურ კარიერას ესპანეთის სამეფოში გააგრძელებს. **24 საათი**

### კოდორის ხეობაში რუსული ვერტმფრენები გამოჩნდნენ

გუშინ, გამთენიისას, დაახლოებით 4 საათზე, კოდორის ხეობის თავზე ოთხი რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ კიდევ ორი ვერტმფრენი დაემატა. კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ემზარ კვიციანის განცხადებით, ვერტმფრენები სოხუმისა და გუდაუთის მხრიდან შემოფრინდნენ და აწმახისა და ლანთიას მაღლობებისკენ გაფრინდნენ. მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, აფხაზებს იქ დესანტი გადაესხათ, ან ჩაეყვანათ ჩეჩენი ტერორისტი, ვინმე გოჩიაევი, რომლის კოდორის ხეობაში ყოფნის შესახებაც რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ორი დღის წინათ გაავრცელეს ინფორმაცები. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენებს ორშაბათს და სამშაბათს არ შეუსრულებიათ გაფრენა საქართველოს საზღვრების გასწვრივ და, მით უმეტეს, არ დაურღვევიათ საქართველოს საჰაერო სივრცე", - განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პრესცენტრის უფროსმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე დრობიშევსკიმ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონი 15 სექტემბერს ერთდღიან გეგმურ სამხედრო სწავლებას ჩაატარებს. სწავლება ოსური მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ ოსფრისის პოლიგონზე ჩატარდება. როგორც რუსული მხარე აცხადებს, უსაფრთხოების დაცვის მიზნით სროლები მხოლოდ დღისით მოხდება. რუსული სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო სწავლების შესახებ ქართული მხარე ინფორმირებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოჭის საბაჟოზე დააკავეს 55 წლის წლის მოსკოვის მკვიდრი. მის ბარგში აღმოჩნდა ორი ავტომატი "კალაშნიკოვი", 9 მმ კალიბრის რევოლვერი, ტყვიები და რეზერვუარი ფხვნილით (სავარაუდოდ, გვარჯილით). აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იარაღის და საბრძოლო მასალების კონტრაბანდის ბრალდებით. მიმდინარეობს მოკვლევა. **პრაიმ-ნიუსი**

## ქართველ მხატვართა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო,**

მოგმართავთ მხატვართა საზოგადოებრიობის, 1991-92წწ. "თბილისის ომის" დროს ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული კატეგორიის სახელით, აგრეთვე მათი სახელით, ვისთვისაც ძვირფასია ხელოვნების განვითარების, სულიერების გადარჩენის ბედი.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის მმართველებმა არათუ იზრუნეს მხატვრებისათვის დიდი კულტურული ცენტრის "მხატვრის სახლის" დაკარგვით გამოწვეული უზარმაზარი მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაციაზე, არამედ თავისი უნიათობით, დანაშაულებრივი უმოქმედობით, დაეხმარნენ გარკვეულ კლანურ დაჯგუფებებს მხატვრების მიმართ მორალური ტერორის განხორციელებაში, მათი უფლებების იგნორირებაში, ინვესტორთა შეცდომაში შეყვანაში.

მხატვართა მრავალწლიანი ბრძოლა სამართლიანობისათვის დამთავრდა მხატვართა გამარჯვებით - საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის დადგენილებით აღდგა მათი უფლებები, 1976 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გადმოცემული "მხატვრის სახლის" ტერიტორიაზე.

ამ აქტმა დიდი სიხარული მოუტანა ყველას, ვისაც აღელვებს თანამედროვე ქართული ხელოვნების ბედი.

სამწუხაროა, რომ გამოჩნდნენ გარკვეული ძალები ვინც მოწადინებულია მოახდინოს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზია, მათ შორის არიან ისინი, ვისაც ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა დანაშაულებრივ ქმედებათა გამო, რომელთაც დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენეს მხატვრებს, შეცდომაში შეყვანილ უცხოელ ინვესტორებს.

არადამაჯერებელი და მკრეხელურია მათი განცხადებებიც ვინც ერთმანეთს უპირისპირებს საქართველოს სახელმწიფოებრივ და სულიერ ინტერესებს, კულტურას.

სწორედ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესების განხორციელებისთვის იბრძვის მხატვართა საზოგადოება, როდესაც ქალაქის ცენტრში, "მხატვრის სახლის" (რუსთაველის 7) ადგილას გეგმავს დიდი კულტურული ცენტრის - განვითარებული ინფრასტრუქტურის, განახლებული ფუნქციების მქონე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აგებას, რომლის ფონდებში თავმოყრილი იქნება ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მთელი პოტენციალი, ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სხვა ქვეყნების - იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პატარა ჰოლანდიის მსგავსად, საქართველშიც შესაძლებელია ქვეყნის მხატვრობის უდიდესი პოტენციალის ეკონომიკური განვითარების, ტურისტული პოტენციალის ზრდის პროცესში ჩართვა, რაშიც მნიშვნელოვან როლს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც შეასრულებს.

ჩვენი მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, კომუნისტური მმართველობის 70 წლის განმავლობაში საქართველოში არ აშენებულა არცერთი სპეციალური სამუზეუმო შენობა, შეიძლება სიმბოლურია, რომ ეროვნული გალერეა დღემდე განთავსებულია რუსული იარაღის სადიდებლად აგებულ ტაძარში, ხოლო ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - სასულიერო სემინარიის ყოფილ შენობაში.

"მხატვრის სახლზე" ოცნებობდნენ მხატვართა თაობები ფიროსმანიდან დღემდე. თანამედროვე მუზეუმის იდეის მხარდაჭერაში, "მხატვრის სახლის" დაბრუნების მრავალწლიან ბრძოლაში მონაწილეობდა ბევრი გამოჩენილი ქართველი მხატვარი - გოგი ოჩიაური, ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, რადიშ თორდია, გივი თოიძე, სხვადასხვა თაობის ასობით მხატვარი, სტუდენტები, ხელოვნების მოყვარულნი, რომელთაც სჯეროდათ სამართლიანობის აღდგენისა, ეს მოლოდინი განსაკუთრებით გაიზარდა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ.

თბილისის ომის დროს რუსთაველის ან ოპერისა და ბალეტის თეატრი რომ განადგურებულიყო, იმედი გვაქვს არავის მოუვიდოდა აზრად მათთვის ტერიტორიის ჩამორთმევა, განსხვავებული დანიშნულების შენობის აგება. ვფიქრობთ, ანალოგიურად უნდა მოეპყრონ მხატვრებსაც, რომელნიც არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის იბრძვიან.

დარწმუნებულები ვართ, მომავალში, საჯაროობისა და გამჭვირვალეობის ვითარებაში თბილისის მერიასთან თანამშრომლობით ჩატარებული არქიტექტურული კონკურსების შედეგად აგებული შენობა უეჭველად გადაიქცევა ქალაქის მშვენებად, ჩაეწერება ამ უბანში არსებულ მრავალრიცხოვან კულტურულ კერათა - მუზეუმებისა და გალერეების კომპლექსში.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი დიდ როლს შეასრულებს თანამედროვე ქართული ხელოვნების მთელი სპექტრის საზოგადოებისთვის წარდგენაში, დადებითად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო ასპარეზზე. სახელმწიფოს მიერ გატარებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად შეძლებს, შეაჩეროს ქვეყნიდან მხატვრობის საუკეთესო ნიმუშთა გადინების ნეგატიური პროცესი, შეანელოს ნიჭიერ მხატვართა საზღვარგარეთ წასვლის პროცესი, დაეხმაროს შემოქმედებს სამშობლოში დაბრუნებაში.

ვარდების რევოლუციის დროს პირადად თქვენი და სამართლებლივი სახელმწიფოს აშენების იდეის მხარდაჭერაში მხატვრებმა დაინახეს ქვეყნის ხელოვნების გადარჩენის პერსპექტივა.

იმედი გვაქვს, ევროპაზე ორიენტირებული ახალი საქართველო დაძლევს ადრე არსებულ კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების სინდრომს. დარწმუნებულები ვართ, თქვენ შეძლებთ არ დაუშვათ უსამართლობა, შეილახოს მხატვრების და ქვეყნის სულიერების გადარჩენის ინტერესები.

*ულრმესი პატივისცემით*
*საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საზოგადოება - მსაჯული

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება საჯარო მოხელე.

არსებული კანონპროექტით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იმუშავებს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვაზე. უფრო კონკრეტულად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მონაწილეობას მიიღებს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ და კორუფციულ დანაშაულთა სასამართლო განხილვაში, რომლებიც 10 წელზე მეტ სადამსჯელო სანქციას ითვალისწინებს. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ გამოტანილი ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თავდაპირველად, მუშაობას დაიწყებს აფხაზეთის, აჭარის და თბილისის საოლქო სასამართლოში; შემდეგ კი ეტაპობრივად მოიცავს მთელ სასამართლო სისტემას.

მიიღებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საზოგადოება? შეძლებს თუ არა ეს სისტემა სასამართლოებში არსებული კორუფციისა და სხვა სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრას და იქნება თუ არა ის სამართლიანი ვერდიქტების გამოტანის გარანტი? - ეს ის კითხვებია, რომელიც საზოგადოების ნაწილს აწუხებს და რომელთა შესახებაც აზრი ორად გაიყო. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მომხრეები მრავლად ჰყავს, ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების ამ რევოლუციურ პოლიტიკურ ნებას სერიოზული დატვირთვა აქვს. სკეპტიკურად განწყობილთა აზრით კი, ეს ინსტიტუტი ვერ გაამართლებს. გახდება თუ არა მართლმსაჯულების პროცესში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩართვა საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების რეალური მონიტორინგის განხორციელების გარანტი, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მყარი საფუძველია,



იური ლობოდინის ფოტო

*მიიღებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საზოგადოება? შეძლებს თუ არა ეს სისტემა სასამართლოებში არსებული კორუფციისა და სხვა სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრას და იქნება თუ არა ის სამართლიანი ვერდიქტების გამოტანის გარანტი?*

## ნაფიცი მსაჯულები - განვითარების შანსი საზოგადოებას

*ერთ-ერთი პირველი, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედდება, თბილისის საოლქო სასამართლოა. თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი გოგიაშვილი იმათგანია, ვინც მართლმსაჯულების ამ ახალი ინსტიტუტის შემოღებას მხარს უჭერს; მეტიც, რევოლუციურ ცვლილებად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პოლიტიკური ინსტიტუტია.*

ინგა ალავიძე

**- ბატონო გიორგი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას მოწინააღმდეგეებიც მრავლად გამოუჩნდნენ.**

- ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ხელისუფლების მიერ საზოგადოების სერიოზული გამოწვევაა; მით უმეტეს, რომ საზოგადოებას საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები გააჩნია სასამართლო ხელისუფლებისადმი: სასამართლო ალიანსშია პროკურატურასთან, არ არის დამოუკიდებელი, განიცდის პროკურატურის სერიოზულ ზეწოლას - ამ და სხვა შინაარსის არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიებს საზოგადოებისგან ძალზე ხშირად მოისმენთ, ამიტომაც ის ჩანაწერი, რომელიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში გაჩნდა, საზოგადოების სერიოზული გამოცდაცაა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებით სახელმწიფო გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, გამოძიებამ დანაშაული გამოიძია და რამდენად წარმატებულად და კანონიერად - ეს უკვე საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა შეაფასონ.

**- ამ სიახლისადმი სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტები მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებაც საუბრობენ. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ინსტიტუტი, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, არ გაამართლებს.**

- ჩემთვის ცნობილია ის არგუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც აცხადებენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ გაამართლებს. ამბობენ - რადგან ნაფიცი მსაჯული არაპროფესიონალია, არ აქვს იურიდიული განათლება, ამიტომაც ვერ შეძლებს სამართლიანი ვერდიქტის გამოტანას. საუბარია, ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციებზეც - ნაცნობ-მეგობრობის ინსტიტუტზე; ნაფიც-მსაჯულთა დაშანტაჟება-დაშინებაზე და ა.შ. მართალია, ამ არგუმენტებში ლოგიკა არის, მაგრამ ისინი საფუძვლიანად არ შეიძლება ჩაითვალოს, ეს არ არის გლობალური, "გენერალური" არგუმენტი, რომლის გათვალისწინებაც ამ ინსტიტუტის შემოღებას ეჭვქვეშ დააყენებდა.

**- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ერთგვარად მართლმსაჯულების მონიტორინგის ფუნქციასაც ასრულებს. როგორ ფიქრობთ, დაიცავს ეს ინსტიტუტი სასამართლო ხელისუფლებას იმ ხარვეზებისგან, რაც დღეს ამ სისტემაში არსებობს?**

- რა თქმა უნდა. ეს არის მონიტორინგი საზოგადობის მხრიდან, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოება არ არის განზე დარჩენილი, ის მონაწილეა ამ პროცესის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლოს ერთიანი შემადგენელი ნაწილი ხდება და მის გარეშე მართლმსაჯულება ვერ განხორციელდება. საზოგადოებას უწევს ფაქტების შეფასება და ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზეა დამოკიდებული მოსამართლის საბოლოო გადაწყვეტილება - დასაჯოს თუ არა პირი, ანუ ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ გამოაქვს ერთ კაცს - მოსამართლეს, გადაწყვეტილებას ღებულობს საზოგადოება. მოსამართლე მარტო არ რჩება თავის გადაწყვეტილებასთან, რაც პროკურატურის ზეწოლის მომენტსაც ხსნის. ამიტომაც ეს ინსტიტუტი სერიოზული ბერკეტია, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას არსებული ხარვეზებისგან ნამდვილად დაიცავს.

**- როგორია საერთაშორისო პრაქტიკა?**

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იმდენად გაამართლა, რომ ამ ინსტიტუტის არსებობის გარეშე სამართლებრივი ქვეყნის არსებობა წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატურა მყარდებოდა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უქმდებოდა და პირიქით, რევლუციის შემდეგ თითქმის ყველა ქვეყანამ ეს ინსტიტუტი შემოიღო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რუსეთში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ამიტომაც ჯერ ექსპერიმენტის სახით რამდენიმე ოლქში დაიწყეს მისი ამუშავება. მოგვიანებით ამ ინსტიტუტმა დადებითი შედეგები გამოიღო, გაიზარდა გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლო იძულებული გახდა, მიეღო გადაწყვეტილება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხოლოდ რამდენიმე ოლქში მუშაობა არაკონსტიტუციურია, რუსეთის მოქალაქეების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებაა, რის შემდეგაც ეს ინსტიტუტი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამუშავდა და სერიოზული დადებითი შედეგებითაც.

პოლიტიკურად და სამართლებრივად ვერ საბუთდება, რატომ უნდა თქვას ქვეყანამ უარი ამ ინსტიტუტზე, იმდენად დიდი ეფექტები მოაქვს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. ეს ინსტიტუტი წარმატებით მუშაობს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, უკრაინაში, მაგრამ განსხვავებული მოდელით. საქართველოში ის ამუშავდება წმინდა კლასიკური, ამერიკულ-ინგლისური მოდელით - 12-ს პლუს ერთი. ასეთივე მოდელია რუსეთშიც, სადაც თუ ადრე გამამართლებელი განაჩენი იყო 0,4 პროცენტი, 2,5 პროცენტამდე ავიდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თითქმის გამორიცხავს უდანაშაულო ადამიანის დასჯის შესაძლებლობას. ამის ალბათობა, მხოლოდ ორი პროცენტია. ამის თაობაზე გამოკვლევაც ჩატარდა და დადგინდა, რომ 157 შემთხვევიდან უდანაშაულო ადამიანის დასჯის ალბათობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია.

**- როგორ ფიქრობთ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თუ მოექცევა ხელისუფლების პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ? თუ გახდება კორუფციული გარიგებების მონაწილე?**

- ადვილია ზეწოლა მოახდინო ერთ ადამიანზე, ამ შემთხვევაში - მოსამართლეზე, მაგრამ წარმოუდგენელია 12 ნაფიც მსაჯულზე მოახდინო ზეწოლა; თანაც, არსებობს მექანიზმები, რომელიც პროექტში ჩადებულია და რომელიც დაიცავს ამ ინსტიტუტს ყველანაირი ზეწოლისგან. საერთოდ, ნაფიც მსაჯულთა კეთილსინდისიერება და სამართლიანობა უმნიშვნელოვანესი მომენტია, რადგან, სხვა შემთხვევაში, ყველაფერი ბუმერანგივით დაუბრუნდება საზოგადოებას.

**- თქვენ აცხადებდით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო პოლიტიკური ინსტიტუტია, ვიდრე მართლმსაჯულებითი.**

- ახლაც ვრჩები ჩემს მოსაზრებაზე. ეს არის უფრო პოლიტიკური ინსტიტუტი, ვიდრე სამართლებრივი, რადგან იძლევა სერიოზულ პოლიტიკურ შედეგს. საქმე ისაა, რომ მართლმსაჯულების პროცესში, ხელისუფლების ნებით, ჩართულია საზოგადოება. ეს პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლებს, მოქალაქეები სწავლობენ სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებას, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი მომენტია. მით უმეტეს, რომ ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას აკლია სამართლებრივი კულტურა. რამდენად მზად აღმოჩნდება საზოგადოება ამ დიდი შეთავაზებისთვის, ვნახავთ. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ინსტიტუტი თავდაპირველად გარკვეული "ხარვეზით", მაგრამ საბოლოოდ მაინც წარმატებით ამუშავდება.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*"ახლაც ვრჩები ჩემს მოსაზრებაზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო პოლიტიკური ინსტიტუტია, ვიდრე სამართლებრივი, რადგან იძლევა სერიოზულ პოლიტიკურ შედეგს."*

## ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყველაზე სკანდალური ვერდიქტები

ინგა ალავიძე

*ამერიკის მართლმსაჯულების პრაქტიკაში ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი სკანდალური ვერდიქტები ისტორიაში შევიდა. ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პრეცედენტი გახდა O.J. Simpson-ის საქმე. ამ პროცესის მიმდინარეობის პერიოდში აშშ-მ დაკარგა 25 მილიარდზე მეტი, რადგან მოსახლეობა მასიურად ტოვებდა სამუშაოს, რათა სიმპსონის სასამართლო პროცესის ტრანსლაციისთვის ედევნებინა თვალი. ეს პროცესი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ განაჩენის გამოცხადებას ამერიკის მოსახლეობის 91 პროცენტმა უყურა. სიმპსონის სასამართლო პროცესს დღესაც "საუკუნის პროცესის" სახელით მოიხსენიებენ.*

### O.J. Simpson-ის საქმე

პროფესიონალური ფეხბურთის ვარსკვლავი, სპორტული კომენტატორი და მსახიობი სიმპსონი სამართალდამცველებმა ცოლის - ნიკოლ ბრაუნ-სიმპსონისა და მისი მეგობრის მკვლელობაში დაადანაშაულეს. სიმპსონის პროცესი 133 დღე გაგრძელდა და მასზე ჩვენება მისცა 150-მა მოწმემ. პროცესის ჩატარება 20 მილიონი დოლარი დაჯდა. სიმპსონმა აშშ-ში საუკეთესო ადვოკატები აიყვანა და სასამართლო პროცესზე მის ინტერესებს 11 პროფესიონალი ადვოკატისგან შემდგარი ჯგუფი იცავდა.

სიმპსონის ბრალდების გამაგრებაზე მუშაობდა 25 იურისტისგან დაკომპლექტებული ბრალმდებელთა ჯგუფი, რომელთაც, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეძლეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბოლომდე დარწმუნება, რომ სიმპსონისთვის საბოლოოდ გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანათ. ხანგრძლივი საქმის მოსმენა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამსაათიანი თათბირით დასრულდა და სიმპსონს ვერდიქტი გამოუტანეს. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტით, გაიმარჯვა დაცვის მხარემ, რომელმაც მოახერხა ბრალდების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაბათილება. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტით, ცნობილმა ფეხბურთელმა გადაიხადა 9 მილიონი დოლარის კომპენსაცია, 25 მილიონი დოლარის ჯარიმა, მაგრამ მიიღო თავისუფლება. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილ სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას - მხარი არ დაუჭირა, რადგან ჩათვალა, რომ ბრალდებამ მყარი მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ მოახერხა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ მოექცა საზოგადოებრივი გავლენის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანი სიმპსონის დასჯას, რომელსაც ბრალი ედებოდა თეთრკანიანი ცოლის მკვლელობაში, თეთრკანიან ამერიკელთა დიდი ნაწილი ითხოვდა.

"საუკუნის პროცესის" გარდა, ამერიკულ მართლმსაჯულებას ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი სხვა პრეცედენტული გადაწყვეტილებებიც მრავლად აქვს. ასეთია "ჯონ ხინკლის საქმე", როცა პრეზიდენტ რეიგანზე თავდასხმაში ბრალდებული ჯონ ხინკლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, აშშ-ს სასამართლოებში ყოველთვიურად განიხილება 50-60 ათასი სისხლის სამართლის საქმე. განხილულ საქმეთა მხოლოდ 12 პროცენტზე დგება გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან მოსმენილ საქმეთა უმეტეს ნაწილზე ბრალდება ვერ ახერხებს მყარი მტკიცებულებების წარმოდგენას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს.

### კაპიტან ულმანის საქმე

"ულმანის საქმე" ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ გამოტანილი ვერდიქტის გამო რუსეთის მართლმსაჯულებით სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალურად მოინათლა. ამერიკული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცა, რამაც სამართლიანი განაჩენის გამოტანას ხელი შეუშალა.

2002 წლის 11 იანვარს, ჩეჩნეთში, შატოის რაიონში რუსეთის სპეცსამსახურები "დაჭრილი ხატაბის" დასაკავებლად სპეცოპერაციას ატარებდნენ. ოპერაციას სადაზვერვო სამსახურის გენერალური შტაბის ჯგუფი ატარებდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაპიტანი ედუარდ ულმანი. სპეცოპერაცია უშედეგოდ დასრულდა, ჯგუფმა ხატაბის კვალს ვერ მიაგნო. უკან დაბრუნებულ ჯგუფს შემთხვევით გამვლელი "უაზის" მარკის მანქანა წამოეწია, რომელშიც ექვსი მგზავრი ისხდა. ულმანის ბრძანებით, ჯგუფის წევრებმა მანქანას ცეცხლი გაუხსნეს, რადგანაც კაპიტნის ბრძანებას მძღოლი არ დაემორჩილა და მანქანა არ გააჩერა. სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლებმა მანქანიდან გადმოიყვანეს მგზავრები და ჯერ 69 წლის სკოლის დირექტორი, საიდ მაგომედ ალასხანოვა დახვრიტეს, ორი საათის შემდეგ კი - სხვა მგზავრები. კვალის დაფარვის მიზნით, ულმანის ბრძანებით, მანქანა, დახვრეტილ მგზავრებთან ერთად დაწვეს. თუმცა, საქმე გაიხსნა და კაპიტანი ულმანი და ჯგუფის სხვა წევრები დააპატიმრეს. ხანგრძლივი გამოძიება და სასამართლო პროცესი 29 აპრილს ყველასთვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტით, კაპიტანი ულმანი და მისი ჯგუფის წევრები, რომელთაც 6 უდანაშაულო ადამიანის, მათ შორის - მცირეწლოვანი ბავშვის მკვლელობაში ედებოდათ ბრალი, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ნაფიც მსაჯულთა მოტივი ასეთი იყო - კაპიტანმა ულმანმა და მისი ჯგუფის წევრებმა სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობის ბრძანება შეასრულეს, რადგან მანქანის მძღოლი სპეცრაზმელთა მოთხოვნას არ დაემორჩილა.

"რა მოხდა 29 აპრილს ჩვენს ქვეყანაში? ეს ვერდიქტი ცინიკურია; ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს მკვლელები, რომელთაც უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეს. ნაფიცმა მსაჯულებმა შეასრულეს პოლიტიკური შეკვეთა. ეს იყო ჩეჩენთა წინააღმდეგ განხორციელებული კიდევ ერთი პოლიტიკური აქტი," - ასეთი შინაარსის პუბლიკაციები დაიბეჭდა რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში. პრესა "ულმანის საქმეზე" ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ ვერდიქტს ცალსახად უარყოფითად შეხვდა.

12-დან 7-მა ნაფიცმა მსაჯულმა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულ ულმანს ტაშიც კი დაუკრა და, მიუხედავად აშკარა მტკიცებულებებისა, ნაფიცმა მსაჯულებმა განსასჯელები გაამართლეს, ანუ ნაფიცმა მსაჯულებმა არსებული საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედეს, რის გამოც "ულმანის საქმემ" რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს იმიჯი

## "ყველა აპრობირებული სისტემა, შეიძლება, კარგადაც ამუშაო და ცუდადაც"

*საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, მომხრეთა გარდა, ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ ტურავა ამ სიახლის პრინციპულ მოწინააღმდეგეთა რიცხვს არ მიეკუთვნება, თუმცა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლო პროცესის წარმართვის დადებითი მხარეების გარდა, შესაძლო უარყოფით შედეგებზეც ამახვილებს ყურადღებას.*

სოფიკო ჩხაიძე

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადებითი მომენტი გახლავთ ხალხის მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, ანუ მართლმსაჯულებას ახორციელებენ არა მხოლოდ პროფესიონალები - მოსამართლეები, არამედ საზოგადოების წარმომადგენლები, რაც, ამ ინსტიტუტის მომხრეთა აზრით, აძლიერებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი, - ამბობს მერაბ ტურავა, - მაგრამ ბევრი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უარყოფით მომენტებზეც საუბრობს. ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ეს სისტემა იმ ქვეყნებში მოქმედებს, სადაც, ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე არსებობს, თორემ თავისთავად არაპროფესიონალების მიერ ადამიანის ბედი გადაწყვეტა უარყოფითი მომენტია. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი დასაბუთებას არ საჭიროებს და, როგორც წესი, არ საჩივრდება; ანუ საჩივრდება მხოლოდ პროცესუალური დარღვევები და არა დამნაშავეობა-უდანაშაულობა. პროფესიონალებს - მოსამართლეებს კი განაჩენის დასაბუთების ვალდებულება აქვთ და ასევე მათი განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას ექვემდებარება. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოწინააღმდეგეები საუბრობენ დიდ ხარჯებზე, რომელსაც ამ ინსტიტუტის ნორმალურად ფუნქციონირება ითხოვს. ეს მართლაც ასეა, რადგან სახელმწიფო უზრუნველყოფს მთელი სასამართლო პროცესის მანძილზე თორმეტივე ნაფიცი მსაჯულის შენახვას, მათ ტრანსპორტირებას, საზოგადოებისგან იზოლირებას და ასე შემდეგ.

სხვა საკითხია კორუფცია. აქაც ორი აზრი არსებობს - ერთი, რომ მოსამართლის კორუმპირებულობას მსაჯულთა არაკორუმპირებულობა დაუპირისპირდება და მეორე, საწინააღმდეგო, რომ მსაჯულთა მოსყიდვა (სულაც, მათი დაშინება) გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე ფიზიკურად და სოციალურად ბევრად უფრო დაცული მოსამართლის. ამის თავიდან ასაცილებლად კი სახელმწიფომ ნაფიც მსაჯულთა მრავალმხრივი უზრუნველყოფა უნდა იკისროს.

**- და შესაბამისად, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ფინანსურად ძლიერ სახელმწიფოებში მოქმედებს. რამდენად მზად არის საქართველო, რომ ეს პასუხისმგებლობა იკისროს?**

- მოგეხსენებათ, ეს ინსტუტიტი, კლასიკური სახით, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს. საქართველოშიც სწორედ ანგლო-ამერიკული მოდელის სასამართლოს მიღებაა ნავარაუდევი. ეს სისტემა აქამდე მხოლოდ რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ გადმოიღო: ესპანეთმა, ნორვეგიამ და ბელგიამ. არის არატრადიციული სახის სისტემები, მაგალითად - საფრანგეთში. ტრადიციულ, კონტინენტალურ ევროპის ქვეყნებში კი, როგორიცაა გერმანია, მართალია, ხალხის მონაწილეობით მართლმსაჯულების განხორციელებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ ამას აღწევენ ჩვეულებრივ მსაჯულთა დახმარებით, რომლებიც გადაწყვეტილებას მოსამართლესთან ერთად იღებენ. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულებს, ისინი მოსამართლისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. მოსამართლე მხოლოდ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის მიხედვით განსაზღვრავს სასჯელის ზომას.

სისტემა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და ნაკლიც ყველას შეიძლება ჰქონდეს. მთავარია, რომ ამ სისტემამ კარგად იმუშაოს. ეს კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სისტემის ასამუშავებლად სახელმწიფო ყველა საჭირო პირობის შექმნას უზრუნველყოფს. თავისთავად, ეს არ იქნება მარტივი პროცესი. გაცილებით ადვილია მოსამართლის მონაწილეობით პროცესის ორგანიზება, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა დასწრებით პროცესის წარმართვა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მნიშვნელობა აქვს, რამდენი ბრალდებული განაცხადებს ერთდროულად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გასამართლების სურვილს. მაგალითად, ამერიკაში დაახლოებით ასეთი შეფარდებაა: სისხლის სამართლის საქმეების 95 პროცენტი გარიგებითი მართლმსაჯულებით სრულდება, ორ-სამ პროცენტს ნაფიცი მსაჯულების სასამართლო განიხილავს, ორ-სამ პროცენტს კი სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით მთლიანად უძლევება მოსამართლე. დაახლოებით იგივე ხდება დიდ ბრიტანეთში. ცხადია, ამგვარი შეფარდების პირობებში საქართველოშიც უფრო მეტი შანსი არსებობს, რომ ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის პროცესი ყველა მოთხოვნის შესაბამისად წარიმართოს.

დღესდღეობით, ხელისუფლების პოზიცია ცალსახაა - მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებისთვის ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფა. რადგან სახელმწიფო იღებს ასეთ ვალდებულებას, უხერხულიც კი იქნება, ვინმემ გამოთქვას ეჭვი, შეასრულებს თუ არა იგი დანაპირებს. შედეგებზე კი მხოლოდ კონკრეტული პრაქტიკის არსებობის შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

**- და მაინც, სამართლებრივი თვალსაზრისით, რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ეს ინსტიტუტი?**

- პირდაპირ ვიტყვი - ჩვენ ნაფიცი მსაჯულებისგან არ ველით, რომ ისინი ყოველთვის მიიღებენ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას. მათი გადაწყვეტილება სუბიექტურია და ზოგჯერ შეიძლება სწორი იყოს, ზოგჯერ - არა. მაგრამ აქ საქმე გვაქვს ხალხის გადაწყვეტილებასთან და, შესაბამისად, პრინციპთან - ხალხმა ასე გადაწყვიტა და მოსამართლე არაფერ შუაშია. ეს კი სასამართლოს თავიდან აარიდებს მუდმივ ეჭვს მოსამართლეთა მიკერძოებულობის გამო არასამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანაზე.

**- საქართველოს მსგავსი ფინანსური მდგომარეობის ქვეყნებში როგორ მუშაობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები?**

- საქართველოს ტიპის ქვეყნებში ეს პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სასამართლო პროცესში მსაჯულთა მონაწილეობის პრაქტიკას ვხვდებით, ოღონდ ეს არ გახლავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, ამ ინსტიტუტის ტრადიციული გაგებით. ასეთი სისტემა მხოლოდ რუსეთში მოქმედებს. სხვათა შორის, ესპანეთში მთელი 100 წელი ემზადებოდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოსაღებად. 100 წელიწადს მიმდინარეობდა ამაზე სჯა-ბაასი და რომ გადაწყდა, 17 წელი კანონ-პროექტს წერდნენ. ახლა კი, 80-იანი წლებიდან დღემდე, იქ სულ 80 საქმე აქვს განხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

**- აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთან ეს ყველაფერი ნაჩქარევად ხდება?**

- ეს პოლიტიკოსების გადასაწყვეტია. მე, როგორც მოსამართლემ, არ მინდა შეფასება მივცე მათ მუშაობას. მე მოგახსენეთ მხოლოდ ის, რა ხდებოდა სხვაგან.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

სიახლე
მეწარმეების დაფინანსებაში!

ფინანსური ლიზინგი -
მეწარმეებისათვის საჭირო დანადგარებისა და
აღჭურვილობის დაფინანსება

უზრუნველყოფისა თუ გირაოს გარეშე!*

დაფინანსების მოცულობა: 20,000 აშშ დოლარიდან - 200,000 აშშ დოლარამდე.

* ლიზინგის დროს უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს თავად ლიზინგის საგანი.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
*მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა ახალი ფინანსური მექანიზმებით!*

კოსტავას ქ. N70, თბილისი 0171
თბილუნივერსალბანკის შენობა, მე-2 სართული
ტელ.: (995 32) 33 27 21, ფაქსი: (995 32) 33 27 24,
ელ. ფოსტა: info@glc.com.ge

# გაზი იქნება

ნიკა მარიამიძე

დღეიდან "გაზპრომი" საქართველოს საჭირო ოდენობის გაზს სრული მოცულობით მიაწვდის. ამის სანაცვლოდ კი, ქართულმა მხარემ ყველა დავალიანება, რაც რუსეთის ენერგოგიგანტის მიმართ მიმდინარე წლის აგვისტოს თვის ჩათვლით დაუგროვდა, 2005 წლის 1 ივლისამდე უნდა დაფაროს.

"გაზპრომთან" ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე შეთანხმებას "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ და გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ მიაღწიეს, რომლებიც მოსკოვს საგანგებოდ მას შემდეგ ეწვივნენ, რაც ზამთარში თბილისის გაზმომარაგება ეჭვქვეშ აღმოჩნდა.

"გაზპრომთან" საუბარი დიდად არ გაჭიანურებულა. მას შემდეგ, რაც "გაზექსპორტმა" და "თბილგაზმა" ვალის დაფარვის გრაფიკი და გაზის საფასურის 100 პროცენტიანი გადახდის გარანტია დამატებითი კონტრაქტის გაფორმებით განამტკიცეს, ქართულმა მხარემ რუსული კომპანიისგან გაზის სრული მოცულობით მოწოდების პირობა მიიღო. კონტრაქტის მიხედვით, ქართულმა კომპანიამ აგვისტოში მოხმარებული აირის საფასური და 12,7 მლნ დოლარის ოდენობის ძველი დავალიანება 2005 წლის 1 ივლისამდე უნდა დაფაროს. შედეგად, საქართველო დღეღამეში 400 კუბურ მეტრ გაზს მიიღებს.

გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და "გაზპრომსა" და "გაზექსპორტს" "კონსტრუქციული მიდგომისთვის" მადლობა გადაუხადა.

მინისტრი "თბილგაზის" გენერალურ დირექტორს დავით მორჩილაძესა და "გაზპრომის" შვილობილ კონცერნ "გაზექსპორტს" შორის გამართულ მოლაპარაკებებს წარმატებულად აფასებს. გილაურის თქმით, თბილისის გაზმომარაგების სრული რეჟიმით აღდგენა იმაზე ადრე გახდა შესაძლებელი, ვიდრე იგეგმებოდა. "მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება, "გაზპრომისა" და "გაზექსპორტის" ხელმძღვანელობის საკითხისადმი კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა, ამისთვის მათ დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ," - განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, მომავალი კვირისთვის დედაქალაქის გაზმომარაგება სრულად აღდგება.

გაზის თემასთან დაკავშირებულ დამაიმედებელ ამბებთან ერთად, გუშინ ნიკა გილაურს პრესკონფერენციაზე შემაშფოთებელი ინფორმაციის "გამხელაც" მოუხდა. საქმე ისაა, რომ დაუდგენელმა პირებმა გუშინ დილით ქალაქ ხაშურთან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2"-ის ანძა ააფეთქეს, რის გამოც მთელი აღმოსავლეთ საქართველო ელექტრომომარაგების შეწყვეტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. "აფეთქებული ანძა არ წაქცეულა, მაგრამ მისი წაქცევის შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველო ელექტროენერგიის გარეშე დარჩება. ამჟამად ენერგეტიკოსები ავარიის ლიკვიდაციას ცდილობენ. შევეცდებით, ეს ისე გავაკეთოთ, რომ ელექტრომომარაგების შეწყვეტა საჭირო არ გახდეს," - განაცხადა გილაურმა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ჯერჯერობით დაუდგენელია, იყო თუ არა ეს საბოტაჟი. ამის გარკვევას, უშიშროების სამინისტროსთან ერთად, ენერგეტიკის სამინისტროც შეეცდება. თუმცა, ენერგეტიკის მინისტრი არ გამორიცხავს, რომ მომხდარს საბოტაჟის კვალიფიკაცია მიეცეს.

აჭარის, გურიისა და სამეგრელოს
სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს რეგიონებში არსებული სააქციო საზოგადოებებისათვის თემაზე **"კორპორაციული მართვის საფუძვლები - სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, ფინანსური ანგარიშგება".**

სემინარი გაიმართება ა.წ. 16 სექტემბერს 10:30 საათზე, ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, I კორპუსი, III სართული).

სემინარი განკუთვნილია სააქციო საზოგადოებათა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარის შემდეგ მსურველებს გაეწევათ უფასო კონსულტაციები იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. მსურველებს ვთხოვთ, წინასწარ დაგვიდასტურონ მონაწილეობა შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 8 32 91 30 96, 8 32 91 26 89, 8 32 91 29 58.

# კახელების სატკივარი

*კახეთის რეგიონი სართვლოდ ემზადება, მაგრამ ამ მამა-პაპეულ ტრადიციას ხიბლი აკლია. ამის მიზეზად გლეხები მთავრობისგან შრომის დაუფასებლობას ასახელებენ: "ჩვენ განა ტაშის დაკვრა გვინდა, არამედ გვაინტერესებს რამდენს გადაგვიხდიან, რათა ოჯახები ვარჩინოთ," - ამბობენ კახელები. მათ პესიმისტურ განწყობას ამჯერად ყურძნის ფასების დარეგულირების გაჭიანურებაც ემატება. განსაკუთრებით ქიზიყი ღელავს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი მეღვინეებსა და მევენახეებს ერთად დგომას ურჩევს, კახეთის გუბერნატორი აზერბაიჯანიდან ყურძნის შემოტანას კრძალავს. საერთო ჯამში კი ახალი მთავრობა მევენახეებისთვის 600 ათას ლარს ჩამოდის.*

ზვიად რუაძე

ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ბიზნესმენების კახეთის რეგიონით დაინტერესების მიზნით, თელავში "გადამხდელთა კავშირის" სხდომაც გაიმართა. სხდომას ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა, მან მეწარმეებს ღვინის წარმოებისკენ მოუწოდა და ამ კუთხით ყველა პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

ასეთმა ინფორმაციამ გლეხიც დააიმედა. იფიქრა, ყურძნის რეალიზების პრობლემა მოეხსნებოდა და ბიზნესმენთა შორის კონკურენცია ყურძნის ღირებულებას საგრძნობლად გაზრდიდა.

ყურძნის რეალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით, სოფელ ბაკურციხის მოსახლეობამ, ჯერ კიდევ გასულ წელს, მათთან რთველში მყოფ ნინო ბურჯანაძეს შესჩივლა. პარლამენტის თავმჯდომარის დაპირებით, ახალი პარლამენტის შეკრებისთანავე დადგებოდა ყურძნის ფასის დარეგულირების საკითხი. ცვლილება რომ არ მოხდა, გლეხებმა პარლამენტის თავმჯდომარეს თავიანთი გასაჭირი წერილობით კიდევ ერთხელ შეახსენეს, მაგრამ ამაოდ ....

ხელისუფლების უყურადღებობის გამო, 50 წლის მერაბ მამულაშვილი, რომლისთვისაც ყურძენი ოჯახის საარსებო წყაროა, იძულებული ხდება, ვაზი ამოძირკვოს. **"ღვინის ქარხნების მეპატრონეები პროდუქციას თავიაანთ სასურველ ფასებს ადებენ. გარდა ამისა, ქარხნის პატრონები რთვლის სეზონს განგებ აჭიანურებენ. ყურძნის სიტკბო 22 გრადუსს რომ მიაღწევს, უნდა დაიკრიფოს, მაგრამ მათ კიდევ უფრო მაღალგრადუსიანობა აწყობთ და ყურძნის მიღებასაც გვიან იწყებენ, გადამწიფებული ნაყოფი კი წონაში იკლებს. ასე რომ, ქარხანა ძვირადღირებულ პროდუქციას ნაკლებ ფასად ყიდულობს, მარცვალი კი ძირს ცვივა და გლეხიც ზარალობს. თუ ყურადღება არავინ მოგვაქცია, იძულებული გავხდები, ვაზი ჩემი ხელით გავჩეხო,"** - ამბობს ნოდარ მამულაშვილი.

ყურძნის ფასი გარემო პირობების გათვალისწინებით დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში, რეგიონის მეწარმეებთან საერთო შეთანხმებით დგინდება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გლეხის ბედით სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოგვიანებით დაინტერესდა. თუმცა მინისტრი გლეხებთან და მეწარმეებთან შეხვედრებზე გუშინაც ირწმუნებოდა, რომ ყურძნის მოსავლის რეალიზებას პრობლემა არ შეექმნება. საგულისხმოა, რომ სახელმწიფომ ყურძნის დამზადების ორგანიზებულად წარმართვისთვის 600 ათასი ლარი გამოყო, მაგრამ ამ თანხის გასანაწილებლად გამოცხადებული ტენდერი ჯერ კიდევ არ შემდგარა. **"ვალს ქარხნები მას შემდეგ გაგვისტუმრებენ, როცა წარმოებული პროდუქციიდან მოგებას ნახავს. რაც შეეხება თანხას, იგი კილოგრამზე 15 თეთრი იქნება, დანარჩენს კი ინვესტორი აანაზღაურებს,"** - აცხადებს შერვაშიძე. ვიდრე ტენდერი გაიმართება, როგორც კახელები ხუმრობენ, ვაზს მტევნები აღარ შერჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მტკივნეულად რთვლის დაწყებას ქიზიყელები აღიქვამენ, რადგან იქ მოწეულ ვაზის ჯიშის - "ვაქირულას" რეალიზებას ყოველთვის პრობლემა ექმნება. ამ ბოლო დროს კი აჟიტირებულმა ინფორმაციებმა მათში გაღიზიანება გამოიწვია.

**"50 წელია რაც "ვაქირულას" ვუვლი და ახლა გახდა ეს კიბოს გამჩენი და უვარგისი? მაგრამ აქ ძაღლის თავი სხვაგან მარხია. თუ ასეთი ცუდია, რატომ იკლავს ამ ყურძნის შესასყიდად "ჯი-ვი-ეს"-ის ღვინის ქარხანა თავს? ანდა რის საფუძველზე ამტკიცებს კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ნოდარ ჩხარტიშვილი და მეცნიერი თამარაშვილი, რომ ვაზი არ ვარგა და იგი უწამლია? თუ ასეა, მაშინ 13-ჯერ რაღაზე მოვწამლე ვენახი. ესენი ჰყავთ მოქრთამული იმ ხალხს, ვისაც ჩვენი შრომის მიწასთან გასწორება უნდა,"** - ამბობს სოფელ ვაქირის მკვიდრი შოთა ქემაშვილი.

გუშინ გურჯაანში მეწარმეებთან გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა შერვაშიძემ სოფლის მეურნეობის განვითარების სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. გლეხებისთვის უმთავრესი პრობლემა - ყურძნის ფასების განსაზღვრა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. თუმცა მინისტრი ირწმუნება, რომ რთვლის პროცესს თვალს თავად მიადევნებს და გლეხებს პრობლემები არ შეექმნებათ. კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი კი აზერბაიჯანის საზღვრის გამკაცრებულ კონტროლს აწესებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაციონალური ეკონომიკური კლუბის" პრეზენტაცია გაიმართა. კლუბის პრეზიდენტის დეივ სმიტის განცხადებით, ორგანიზაციის მიზანი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა იქნება. კლუბის ინიციატივით, ეკონომიკის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მოეწყობა საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან საქართველოში იმპორტირებული ბენზინი ევროპულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. როგორც საქსტანდარტის ხელმძღვანელმა მიხეილ ჯანიკაშვილმა განაცხადა, ბენზინის სტანდარტის შეცვლა ეკოლოგიურად საშიში და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ბენზინისგან თავდაცვის მიზნით მოხდა. "საქართველოს ნავთობის მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის ინფორმაციით, ახალ სტანდარტებზე გადასვლა 1 ლიტრი ბენზინის ფასს საშუალოდ 25-30 თეთრით გაზრდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის ღვინის ქარხნები სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ყურძენს ველარ ჩაიბარებენ. კახეთის გუბერნატორის პრესსამსახურის ინფორმაციით, გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა ღვინის ქარხნის დირექტორები დაავალდებულა ყურძენი მხოლოდ გლეხებისგან მიიღონ. სახელმწიფო ღვინის ქარხნებს ნახევარ მილიონ ლარს გადაურიცხავს, რათა მათ სრულად შეძლონ კახელი გლეხებისგან ყურძნის ჩაბარება. ამასთან, დადგინდა ყურძნის სავარაუდო ფასებიც. კერძოდ, საფერავის ჩასაბარებელი ფასი იქნება 2 ლარი, რქაწითელის და სხვა მწვანე ფერის ყურძნის ფასი კი 50 თეთრი. **პრაიმ-ნიუსი**

ახალი საპროცენტო განაკვეთი
ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



*პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში*

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ავტორიტარიზმი დემოკრატიის სანაცვლოდ

პირველი გვერდიდან



"New Yorker"-ის თანახმად, კომუნიზმის ნგრევის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში ლიბერალური, დემოკრატიული წესრიგის აღმოცენების იმედები მხოლოდ პოლონეთში, ჩეხეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გამართლდა. რუსეთის შემთხვევაში კი, ბევრი რამ "როგორც ყოველთვის, ისე გამოვიდა". რუსეთის ბედი მთლიანად სამხრეთში მყოფი ტერორისტებისა და კრემლში პარანოიკი-პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი უარს აცხადებს დემოკრატიულ პრინციპებსა და პოლიტიკის გადახედვაზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ მეტი სისხლისღვრის მომტანია.

ისეთი გავლენიანი გაზეთი, როგორიც "ნიუ-იორკ ტაიმსია", წერს, რომ ბუშის ადმინისტრაცია თავს იკავებს პუტინის წინადადების კომენტარისაგან. "ეს რუსი ხალხის საშინაო საქმეა," - აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი, რომელიც არ ასახელებს საკუთარ ვინაობას და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების გზით სიარული რუსეთისათვის.

როგორც ამერიკული "The International Herald Tribune" წერს, ვლადიმირ პუტინს აღარ შეუძლია, ხისტ ჩეჩნურ კურსს გადაუხვიოს. იგი უშიშროების სამსახურებისადმი თავისივე უსაზღვრო ნდობის მძევლად იქცა, აქედან გამომდინარე კი - "კავკასიელ ტყვედ".

"The New York Times"-ის მიხედვით კი, ვლადიმირ პუტინი ხელისუფლების სათავეში ყოფნის განმავლობაში სწორედ ახლა აღმოჩნდა უკიდურესად კრიზისულ მდგომარეობაში და იგი არც მალავს თავის ბნელ ინსტინქტებს. ტერორიზმთან საბრძოლველად მყიფე რუსული სპეცსამსახურები მართლაც საჭიროებენ რეფორმირებას, მაგრამ ნაცვლად ამისა, პუტინი ფარად ბესლანის ტრაგედიას ირჩევს, რათა საბოლოოდ გაანადგუროს ელცინის დროინდელი დემოკრატიის ნარჩენები. "რუსეთის პრობლემების გადასაწყვეტად, მათ შორის ტერორიზმისა და კორუფციის დასაძლევად, მეტი დემოკრატიაა საჭირო და არა პირიქით," - აღნიშნავს გაზეთი. მხოლოდ პუტინია დამნაშავე იმაში, რომ რუსმა ხალხმა დღემდე ვერ მოახერხა ჩეჩენ სეპარატისტებთან პოლიტიკური დიალოგის გამართვა. დღეს, როგორც არასდროს, ნათელია, რომ რუსულ დემოკრატიაზე უარის თქმა ქვეყნის რეალურ პრობლემებს ვერ გადაჭრის. პუტინიც, როგორც ნებისმიერი ჩიხში მომწყვდეული დიქტატორი, უმალ სხვებს დაადანაშაულებს, ვიდრე თავად შეეცდება რეალურად ცვლილებების განხორციელებას.

იგივე პათოსს იზიარებს გერმანული გაზეთიც "დი თაგესცაიტუნგი", როცა წერს იმის შესახებ, რომ ტერორიზმთან კრემლის ბრძოლის მეთოდები საბოლოოდ დაასამარებს ოცი წლის წინ მიღებულ რუსეთის გარდაქმნის პროექტს. ნადგურდება უკანასკნელი, ისედაც დასუსტებული პოლიტიკური და სტრუქტურული თვითმმართველობის ციტადელები. პუტინი ამას "ძალაუფლების ვერტიკალის" გამყარებას უწოდებს. ამ კონცეფციით მოვიდა იგი ხელისუფლების სათავეში ხუთი წლის წინ. შედეგები კი კატასტროფულია: აღარ არსებობს დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტები, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია. გაცილებით სერიოზულია ის, რომ პუტინის იმპერია ისეთი არასტაბილურია დღეს, როგორც არასდროს. ავტოკრატიას სტაბილურობას ყოველდღიური პოლიტიკური საქმიანობის არარსებობა უმყარებს. თვითიზოლაციის საფრთხე იზრდება, ხელისუფლება კიდევ უფრო მეტად ემსგავსება გვამს. მცირდება საზოგადოებასა და ხელისუფლებას, ბიუროკრატიასა და კრემლს შორის ურთიერთკავშირი. ამან ასი წლის წინ მონარქია გადაჩეხა უფსკრულში, ოცი წლის წინ - საბჭოთა კავშირის პოლიტბიურო, ახლა კი ვლადიმირ პუტინის ჯერია, რომელმაც, შესაძლოა, თან მთელი რუსეთი გადაიყოლოს.

ფრანგული "L'Express" ასევე აღნიშნავს, რომ პუტინის რუსეთი სულ უფრო შორდება დემოკრატიას. ბესლანში კრემლის მიერ გამოვლენილი სისასტიკე დემოკრატიის რეგრესის შედეგია. მაგრამ კითხვაზე: უნდა აქციოს თუ არა ზურგი რუსეთმა პუტინს? ორგვარი მოსაზრება არსებობს. პირველი ის, რომ რუსებისთვის დიქტატურა თავს არავის მოუხვევია, ეს მათივე არჩევანი იყო. პუტინის მმართველობა რუსეთის ევოლუციის სტადიაა, რომელთან თანაცხოვრების სწავლაც რუსეთის მოქალაქეებისთვის აუცილებელია. რაც შეეხება ჩეჩნურ საკითხს, ეს უკვე აღარ არის კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. რუსეთის არმია უზარმაზარ ტკივილს აყენებს ჩეჩნებს, ისინი კი იძულებულნი არიან, ფანატიკოსებს დაეყრდნონ, რაც ჩეჩნების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ დიდი ხნით დისკრედიტაციას უქადის.

ბრიტანული გაზეთების შეფასებით კი, პუტინი ბესლანის ტრაგედიას კრემლის ძალაუფლების შემდგომი გამყარებისთვის იყენებს. "პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული რადიკალური ზომები რუსეთში ტოტალიტარიზმის ეპოქის დაბრუნების შიშს ამკვიდრებს," - აღნიშნავს "დეილი ტელეგრაფი". "ბიუროკრატიული სისტემისა და უშიშროების სამსახურების რეფორმა აუცილებელია, თუმცა პრობლემა ჩეჩნეთთან მიმართებაში კრემლის პოლიტიკაშია საძიებელი," - წერს გაზეთი.

არანაკლებ მკაცრია შეფასებებში "The Financial Times"-იც. "დღეს, როგორც არასდროს, მაღალია ფსონები. ევროკომისიის ახლადარჩეულ შემადგენლობაში, რომელიც 1 ნოემბრიდან შეუდგება მუშაობას, რუსეთის სამი წარმომადგენელი ირიცხება. ნატო-ს შენობის კორიდორებში უკვე ფრთხილად და შეუმჩნევლად დააბიჯებენ რუსეთის გენშტაბის ოფიცრები," - წერს ბრიტანული გაზეთი. რუსეთი არ არის გაწონასწორებული, ლიბერალური დემოკრატიისაკენ მიმავალი ქვეყანა, რისი იმედიც დასავლეთს ჰქონდა. "პუტინი სპეცსამსახურებსა და ნავთობოლიგარქებზე დაყრდნობით მართვის სადავეებს ინარჩუნებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩეჩნური კრიზისიც თავად პუტინის მოწყობილია, რათა ეჩვენებინა ყველასთვის, რომ იგი შეუდრეკელი მებრძოლია. დღეს კი ამავე კრიზისს დემოკრატიული ოპოზიციის გასანადგურებლად იყენებს არა მარტო კავკასიის სასაზღვრო რეგიონებში, ასევე მთელ რუსეთშიც. ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხის შესახებ მის მიერ გაკეთებული განცხადებები სრული სიცრუეა," - ასკვნის გავლენიანი ბრიტანული გაზეთი.

# ისრაელი სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დგას



*არიელ შარონი ებრაული დასახლებების გამოყვანასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებას უკვე მომავალი წლის დასაწყისში აპირებს.*

მიმდინარე კვირის დასაწყისში, ღაზას მკვიდრი ათასობით ებრაელი და მათი მომხრე ღაზას სექტორიდან და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ზოგიერთი რაიონებიდან ებრაული დასახლებების ევაკუაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად იერუსალიმის ქუჩებში გამოვიდა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, მისი პარტიის ზოგიერთი წევრის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, ებრაული დასახლებების გამოყვანასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებას უკვე მომავალი წლის დასაწყისში აპირებს.

იერუსალიმში დემონსტრაცია მზარდი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. ქვეყანაში ძალადობის კერების წარმოქმნის საშიშროება მატულობს, შარონი კი ზოგიერთ თავის მემარჯვენე ოპონენტს სამოქალაქო ომის გაღვივების მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც სააგენტო "ფრანს პრესი" იუწყება, იერუსალიმის ქუჩებში ათასზე მეტი პოლიციელი მორიგეობდა, რომლებიც დემონსტრანტებისაგან პროვოკაციული მოწოდებებისაგან თავის შეკავებას და სიმშვიდის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. ესოშიეითიდ პრესის გადმოცემით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა უმრავლესობას ახალგაზრდები და ორთოდოქსი-იუდეველები წარმოადგენდნენ.

ღაზას სექტორში 1,3 მილიონი პალესტინელის გვერდით დაახლოებით 8 ათასი ებრაელი ცხოვრობს. შარონის გეგმის თანახმად, დასავლეთ სანაპიროდან კიდევ ოთხი ებრაული დასახლების ევაკუირება უნდა განხორციელდეს.

არიელ შარონის აზრით, ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დგას, რასაც მისი მემარჯვენე ოპონენტები უწყობენ ხელს. "უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ სერიოზული "წაქეზების კამპანიის" მომსწრენი გავხდით," - განაცხადა ისრაელის პრემიერმა. "მე ვიტყოდი, რომ ზოგიერთი მოწოდება სინამდვილეში სამოქალაქო ომისაკენ არის მიმართული".

ბიბისი-ს გადმოცემით, ისრაელში ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარება ძალზე წააგავს 1995 წლის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს, როდესაც მემარჯვენე აქტივისტებმა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინისა და მის მიერ მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმოების წინააღმდეგ საკმაოდ მრისხანე კამპანია წამოიწყეს. ყველაფერი კი მემარჯვენე ექსტრემისტის მიერ იცხაკ რაბინის მკვლელობით დასრულდა.

მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, სამშაბათს ისრაელის უსაფრთხოების კაბინეტმა, ანუ შარონთან ყველაზე დაახლოებული და გავლენიანი მინისტრების ჯგუფმა, ებრაელი მოსახლეებისათვის კომპენსაციების გადახდის გეგმა მოიწონა. კაბინეტის ცხრა წევრმა ხმა გეგმის სასარგებლოდ მისცა. გეგმას მხარი არ დაუჭირა ერთადერთმა მინისტრმა, რომელიც ნაციონალურ რელიგიური პარტიის წევრი გახლავთ და მოსახლეთა ინტერესებს იცავს. კომპენსაციის პროგრამა ღაზას სექტორში დასახლებულ ყველა ოჯახს შეეხება. ზოგი მათგანი, კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, მზად არის მალევე დატოვოს რეგიონი, ზოგი ოჯახი კი არსად წასვლას არ აპირებს.

პრესაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, თითოეული ოჯახი, რომელიც ღაზას სექტორს და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დატოვებს, კომპენსაციის სახით 200-დან 500 ათას დოლარამდე მიიღებს. ამასთან, თანხის ერთი მესამედი დაუყოვნებლივ იქნება გადახდილი.

საბოლოო თანხა დამოკიდებული იქნება რეგიონში ცხოვრების ხანგრძლივობაზე და ისრაელის ქალაქებში საცხოვრებელი ბინების ყველაზე მაღალ ფასებსაც გაითვალისწინებს.

შარონი აღნიშნული გეგმის პარლამენტში კენჭისყრაზე გატანას მიმდინარე წლის 3 ნოემბრამდე აპირებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ შარონის მიერ წარმოდგენილ ევაკუაციის გეგმას ებრაელთა უმრავლესობა მხარს უჭერს.

# თურქეთი კოალიციასთან თანამშრომლობის შეწყვეტით იმუქრება

ანტიერაყული კოალიციის პრობლემები დღითიდღე მატულობს. ერაყის დასახლებულ პუნქტებში ტერაქტების გახშირების პარალელურად, აშშ-ს მოკავშირეებიც აქცევენ ზურგს. უკვე რამდენიმე ქვეყანამ დატოვა კოალიციის რიგები - ზოგი ტერაქტების საფრთხის გამო წავიდა ერაყიდან და საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს გაუფრთხილდა, ზოგი ტერორისტთა მიერ მძევლების აყვანამ აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. უკანასკნელ დღეებში კოალიციასთან თანამშრომლობის გაწყვეტით თურქეთიც იმუქრება. ანკარის განცხადებით, კოალიციასთან თანამშრომლობა შეწყდება, თუ ამერიკული ძალები ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, თურქმენული ტომებით დასახლებულ ტალაფარზე შეტევას გააგრძელებენ. განცხადებაში ნათქვამია, რომ აქციების დროს ამერიკელთა მხრიდან "სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალის გადამეტებულ გამოყენებას აქვს ადგილი". თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გიულმა ამის შესახებ საქმის კურსში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც ჩააყენა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კოალიციის შემადგენლობაში სამხედრო ძალით არ არის წარმოდგენილი, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული კოალიციის ძალების მომარაგება თურქეთიდან, თურქული სატვირთო მანქანებით ხდება.

შეგახსენებთ, მარტო 9 სექტემბრის ღამეს ამერიკული ავიაციის მიერ ტალაფარის დაბომბვისას 45 ადამიანი დაიღუპა და 80 დაიჭრა. დაბომბვა თითქმის ცხრა საათი გრძელდებოდა. მეორე დღეს კოალიციური ჯარების სარდლობა აცხადებდა, რომ ამერიკელმა სამხედროებმა ერაყის ახლადშექმნილ ეროვნულ გვარდიასთან ერთად ტალაფარში "ქალაქის ტერორიზმისაგან საბოლოოდ გათავისუფლების" ოპერაცია ჩაატარეს. ოპერაციის მიზანი წესრიგის დამყარება და ქალაქის კანონიერი ხელმძღვანელისთვის ძალაუფლების გადაცემა იყო.

აღნიშნული დასახლებული პუნქტის მიმართ გაძლიერებულ ინტერესს ამერიკელები იმით ხსნიან, რომ ტალაფარის გავლით სირიიდან ტერორისტები შემოდიან. ამერიკელი სამხედროების ცნობით, ოპერაციის შედეგად 57 ტერორისტი გაანადგურეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატები სამოქალაქო პირების დაღუპვაზე პასუხისმგებლობას არ კისრულობს. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ოფიციალურმა ანკარამ თავისი პრეტენზიები ერაყის ახალ მთავრობას უნდა წაუყენოს და არა კოალიციის ჯარებს.

მიუხედავად ამისა, აშშ საკმაოდ დააფიქრა თურქეთის მუქარამ და ირწმუნებოდა, რომ ამ რაიონში კოალიციის ჯარების ქმედებები არა სამოქალაქო მოსახლეობის, არამედ ამბოხებულთა წინააღმდეგაა მიმართული.

თურქეთის მხრიდან ტალაფარის შემთხვევის გამო გაღიზიანების მიზეზი ნათელია. ამერიკული ჯარების შეტევით შესაძლო იყო, ქურთებს ესარგებლათ. ქურთები ამ რეგიონის ძირითად ნაწილს აკონტროლებენ და, ბუნებრივია, მეამბოხე მოქთადა ას-სადრის მომხრე თურქმენი შიიტების ადგილის დაკავებას შეეცადნენ. ოფიციალური ანკარა ვერაფრით დაეთანხმება საკუთარი საზღვრის სიახლოვეს, მონათესავე თურქმენული ტომების, არცთუ კეთილად განწყობილი ქურთებით ჩანაცვლებას. მართალია, თურქეთში აშშ-ს ელჩი ერიკ ედელმანი კატეგორიულად უარყოფს რეგიონში დემოგრაფიული ვითარების რაიმენაირად შეცვლის მცდელობას, მაგრამ ადგილობრივი წყაროები იუწყებიან, რომ ქალაქის 50 ათასმა თურქმენული წარმომავლობის მცხოვრებმა შეტაკებების შედეგად საცხოვრებელი ადგილი დატოვა. თურქული მედია ავრცელებს ცნობებს, რომ ამის შედეგად მათ საცხოვრებლებში ქურთები ცდილობენ შესვლას.


## ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:
- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

***როლი და პასუხისმგებლობა:***
განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

**გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

**როგორ შეავიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

**ადამიანთა რესურსების განყოფილება**
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
აღმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო



## სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**15 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I და II კვარტლების; ვაზისუბნის I, II და IIა მიკრორაიონების, ვაზისუბნის დასახლების, ვარკეთილის IV მიკრორაიონის III კვარტლის; ვაზისუბნის III მიკრორაიონის I და II კვარტლების მაცხოვრებლებს.

**16 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), წყალტუბოს, სამტრედიის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 სექტემბერს, 11.00-დან 14.00-სთ-მდე:**
გლდანის I, II(ნაწილობრივ), VII და VIII მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

**16 სექტემბერს, 09.00-დან 16.00-სთ-მდე:**
გორგასალის(ნაწილობრივ), ქუმსიაშვილის, ცურტაველის, საბანისძის, ბეთლემის, ნადიკვარის, ოპიზარის, წალკის, გრიშაშვილის, თელეთის, მერჩულის, ეფრემ მწირის, ვეზიროვის, ოფრეთის, ალგეთის, მუხათის, შავნაბადის, ნიზამის, დეკაბრისტების ქ.

**16 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ცოტნე დადიანის II მიკრორაიონის, დადიანის(ნაწილობრივ), კოკინაკის, მოლოკოვის, ჯავის, ასურეთის, ლუბოვსკის, ზეკარის, კიშინიოვის, სვირის, დარკვეთის, გეგუთის, ბენდელიანის, წერონისის, მირზაანის, სანავარდოს, მაჩხაანის, ლისაშვილის, თოდრიას, ბუგეულის, ძმობის, კახიანის, ურიდიას, კისისხევის, წრომის, ქებურიას, უიარაღოს, მუშათა, მესხის, ცქიტიშვილის, წაღვერის, ნოსტეს, ნოვოროსიისკის, მანჯგალაძის, ხიმშიაშვილის, ჩხიკვაძის, მიქატაძის, ასკურავას, ჩოხატაურის, სურგულაძის, ლალიონის, რაჭის, ბახმაროს, ახტალის, ჟღენტის, გომარეთის, ლეჩხუმის, ზიარის, რიონჰესის, ცინცაძის, სააკაძის, იმერეთის, სვანეთის, სანერგის, დიდი ჯიხაიშის, ხევსურეთის, ნიკო მარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 სექტემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), ენგურის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**16 და 17 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ვაზისუბნისა და ნავთლუღის დასახლებების, ხარაბაძის ქუჩის მაცხოვრებლებს.

# ფულადი საჩუქარი მესტიისთვის

ნონა მაისურაძე

მესტიაში ორი დღის წინათ მოუთოვია და, ჩვენდა ბედად, როგორც იქაურები ამბობენ, გუშინ თოვლი "შეტრიალებულა", რამაც სასაზღვრო ძალების თვითმფრინავს ფრენის საშუალება მისცა. მისიაც შესრულდა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სტიქიით დაზარალებულ მესტიის რაიონს საჩუქარი მოუმზადა - საკუთარი ხელით პენსიები ჩაუტანა. საქართველოს რამდენიმე რაიონს, სადაც საპენსიო დავალიანება საერთოდ აღარ არის, მესტიაც მიემატა. 252 320 ლარის ოდენობის თანხა, რომლის ადგილამდე მიტანა სახალხო ბანკის საინკასაციო სამსახურისა და სახელმწიფო ფონდის საერთო ძალებით გახდა შესაძლებელი, მთლიანად დაფარავს ამ რაიონში საპენსიო დავალიანებას. რაც შეეხება პენსიონერთა რეგისტრაციას, აქ ეს პროცესი დაწყებულია და პრობლემები მხოლოდ უამინდობის გამო იქმნება. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან ერთად სასიკეთო მისია სახალხო ბანკმაც იტვირთა. მესტიაში 2001 წელს შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაყაჩაღებული პედაგოგების თანხები ნაწილობრივ დაიფარა. სახალხო ბანკმა ამჯერად პედაგოგებს საკუთარი რესურსით ერთი თვის ხელფასები ჩაუტანა. ასეთი საჩუქარი საახალწლოდაც ელით მესტიელებს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ოკრიბელაშვილი: "ფონდის სახელით თანადგომას ვუცხადებთ მაღალმთიან რაიონს. დღევანდელი ჩამოსვლა მესტიაში უკავშირდება საპენსიო დავალიანების სრულად დაფარვას რეგიონში. წლეულს, ზაფხულში, მესტიაში სტიქიურმა უბედურებებმა საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. ჩვენ შევეცადეთ, მათთვის ასეთი ფორმით აღმოგვეჩინა მხარდაჭერა.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მესტიის რაიონული ფილიალის უფროსი ლალი გულედანი: "რაიონის მასშტაბით 18 სოფელს ვემსახურებით. კრიმინოგენული სიტუაციის გამო, ჩვენთან ფულის შემოტანა პრობლემა იყო. სასიამოვნოა, რომ ეს საკითხი მოგვარებულია. ახლა პრობლემად გზა გვრჩება, რადგან უამინდობის გამო სოფლებს ვერ ვუკავშირებით და პენსიონერებისთვისაც ძნელია მესტიაში ჩამოსვლა. რაც შეეხება რეგისტრაციის პროცესს, თითქმის ფინალში გავდივართ. დარჩენილია მხოლოდ ორი სოფელი - უშგული და კალა, რომლებიც მეწყერის გამო მოწყვეტილი იყვნენ რაიონს.



*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სტიქიით დაზარალებულ მესტიის რაიონს საჩუქარი მოუმზადა.*

ალეკო შერვაშიძის ფოტო

# უზრუნველი სიბერის გარანტია

*ნებისმიერ ქვეყანაში სტაბილური საპენსიო სისტემის არსებობა ადამიანის უზრუნველი სიბერის გარანტიას იძლევა. დღევანდელმა საპენსიო სისტემამ პენსიონერები ქვეყნის ულატაკეს ფენად აქცია. ამ სფეროში პირველი ექსპერიმენტი ჩილეში ჩატარდა და კაცობრიობამ დაინახა, რომ თუ ადამიანი თავად დააგროვებს თავის საპენსიო ფულს, მას გაცილებით უკეთესი პირობები ექნება სიბერეში. დღეს მსგავსი სისტემა ათეულობით სახელმწიფოში მოქმედებს. სამი წლის წინათ ჯი-პი-აი ჰოლდინგმა შექმნა საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი, რომელმაც ქვეყანაში პენსიის დაგროვებითი სისტემა ჩამოაყალიბა. გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" შეკრებილ საზოგადოებას ჯი-პი-აი ჰოლდინგმა წარუდგინა საპენსიო სისტემის გარდაქმნის თავისი ვერსია, რასაც სპეციალისტების დიდი მოწონება მოჰყვა.*

თამარ დვალი

**"სანამ რეფორმაზე დავიწყებთ საუბარს, ჯერ სახელმწიფო სტრატეგია უნდა გავარკვიოთ, თუ რა მიმართულებას ვირჩევთ. უკვე სამი წელიწიადია, რაც ჯი-პი-აი ჰოლდინგი საპენსიო საკითხებზე მუშაობს და მეტ-ნაკლებად ერკვევა არსებულ პრობლემებში. ჩვენი აზრით, გამოსავალი დღევანდელი განაწილებითი სისტემიდან დაგროვებით სისტემაზე გადასვლაა. ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას დემოგრაფიული სიტუაციაც უწყობს ხელს. სტატისტიკური მონაცემებით, ერთ პენსიონერს ერთი გადამხდელიც ვერ აფინანსებს. ეს სისტემა უნდა შეიცვალოს. ადამიანი, რომელიც მუშაობს, თავიდანვე იზრუნებს საპენსიო ფონდის დაგროვებაზე. თუ როგორ დააგროვებს, ეს უკვე ტექნიკის საკითხია. შესაძლოა, უშუალოდ შემოიტანოს ან ხელფასიდან დაექვითოს. ჩვენი იდეაა, სოციალური გადასახადი გაიყოს. ნაწილი წავა ერთიან ფონდში, ნაწილს კი თავად გადამხდელი დააგროვებს. ეს სისტემა დღევანდელ პენსიონერებს ვერ დაეხმარება, მაგრამ მომავალში სახელმწიფოს უდიდეს ტვირთს მოხსნის. ამ სისტემის ყველაზე დადებითი მხარე ისაა, რომ ადამიანს არჩევანის საშუალება ექნება. იგი თავად აირჩევს კომპანიას, რომელსაც თავის დანაზოგს მიანდობს,"** - განაცხადა ჯი-პი-აი ჰოლდინგის დირექტორმა გიორგი ჟურულმა. მისივე აზრით, ამ საქმიანობაში კერძო სექტორი უნდა იყოს ჩართული, რადგან ის უფრო ეფექტურად შეძლებს თანხის მართვას, ვიდრე სახელმწიფო. ამ სისტემის მიხედვით, თანხა არა მარტო დაგროვდება, არამედ ფული წლების განმავლობაში იბრუნებს. მართალია, საპენსიო დაზღვევაზე კანონი 1997 წლიდან არსებობს, მაგრამ კანონის უმოქმედობის გამო პირველი კომპანია 2001 წელს ჩამოყალიბდა.

სპეციალისტთა აზრით, დღევანდელი საპენსიო სისტემა ვერ მუშაობს და თუ ძირეული ცვლილებები არ განხორციელდა, მუდმივი პრობლემების წინაშე ვიდგებით. ახალი სისტემის თანახმად, ადამიანი დამოკიდებული არ იქნება იმაზე, თუ რა რაოდენობის პენსიას განუსაზღვრავს სახელმწიფო, მას თავად შეეძლება სიბერეში თავის შენახვა.

**"ჯი-პი-აი ჰოლდინგმა წარმოადგინა მოწინავე იდეოლოგია. ამაზე უკეთესი სისტემა კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია. საქართველოში ნებაყოფლობით საპენსიო დაზღვევას მხოლოდ კერძო კომპანიები აწარმოებენ, რისი შესაძლებლობაც ფართო ფენებს არა აქვთ და, აქედან გამომდინარე, ვერც პრობლემა მოიხსნება. არსებობს სამსვეტიანი სისტემა, რომლიდანაც მეორე სვეტმა უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს, ანუ უნდა მოხდეს სავალდებულო შენატანების საფუძველზე ანგარიშებზე კაპიტალის აკუმულირება. სავალდებულო უნდა იყოს საპენსიო ფონდის შექმნა. ეს რეფორმა გაუცემელი პენსიებისა და დავალიანების პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ იმის გარანტიას მოგვცემს, რომ 10-20 წლის შემდეგ ახლანდელ ახალგაზრდობას მათხოვრობა არ მოუწევს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი მარკეტინგის" დირექტორმა ალექსანდრე ტუღუშმა.

ჯი-პი-აი ჰოლდინგის პროექტის განსახილველად სპეციალისტები და დაინტერესებული პირები გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" ნაციონალური ეკონომიკური კლუბის ინიციატივით შეიკრიბნენ. კლუბი მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმათა მხარდაჭერასა და ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ხელშეწყობას. ასევე უცხოელ ექსპერტთა ინიციატივების წარმოჩენას. კლუბის მეშვეობით ყოველი ასეთი ინიციატივა საჯარო განხილვის საგნად იქცევა. გუშინდელ განხილვას ქართველი პარლამენტარები, უცხოური ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

# საფრთხე ბენზინგასამართ სადგურებსაც ემუქრება

*დღეიდან სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია თბილისში არსებული ბენზინგასამართი სადგურების შემოწმებას იწყებს. ამ შემოწმებას კი, როგორც ინსპექციის ხელმძღვანელობა აცხადებს, ბევრი სადგურის დახურვა და დაჯარიმება მოჰყვება.*

ნანა ქადაგიშვილი

დედაქალაქში არსებული ბენზინგასამართი სადგურების ზუსტი რაოდენობა, "მარშრუტკებისა" არ იყოს, დღემდე არავინ იცის. თუმცა, სამარშრუტო ტაქსებისგან განსხვავებით, თბილისს ბენზინგასამართი სადგურები დღითიდღე ემატება. საბედნიეროდ, იმ რაოდენობით არა, როგორც რამდენიმე წლის წინათ. საბედნიეროდ კი იმიტომ, რომ უკონტროლოდ, ქაოსურად განლაგებული სადგურებისგან მოსალოდნელ საფრთხეზე კარგა ხანია, საუბრობენ, საქმით კი არაფერი გაკეთებულა.

როგორც სანიტარიული ინსპექცია აცხადებს, ოფიციალური მონაცემებით, დედაქალაქში 350 ბენზინგასამართი სადგურია აღრიცხული, მაგრამ რეალურად ბევრად მეტი ივარაუდება. პრობლემას მათი სიმრავლე კი არა, სანიტარიული ნორმების დაუცველად განლაგება-მოწყობა ქმნის. **"ბენზინგასამართი სადგური, რომელიც 500 მანქანაზე მეტს ემსახურება, დასახლებული ადგილიდან 100 მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო რომელიც 500 მანქანაზე ნაკლებს ემსახურება - 50 მეტრით. ეს სანიტარიული ნორმა სადგურების მეპატრონეთა დიდ უმრავლესობას არ გაუთვალისწინებია. სოციალური გამოკითხვით დავადგინეთ, რომ ამის გამო მოსახლეობა ხშირად იწამლება. მოწამვლის უმთავრესი სიმპტომი თავბრუსხვევაა. ამიტომ მოქალაქეები მოწამვლის მიზეზს ხანდახან ვერც კი ხვდებიან. თუმცა, მხოლოდ ბენზინგასამართი სადგურების დასახლებულ ადგილებთან სიახლოვე როდი ქმნის საფრთხეს. სადგურების უმრავლესობას არა აქვს ნავთობდამჭერი, სანიაღვრე და ორთქლის გასაუვნებელი მოწყობილობები, რის გამოც ბენზინი კანალიზაციის ქსელში ჩადის. ეს კი დაავადების საშიშროებას აორმაგებს,"** - აცხადებს სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.

მოსახლეობის დაავადების საფრთხე განსაკუთრებით იზრდება, როცა ბენზინგასამართი სადგურების ახლოს საკვებით მოვაჭრე ობიექტები მდებარეობს. ასეთი შემთხვევა კი ქალაქში არცთუ იშვიათია. ამიტომ სანიტარიული ინსპექციის მიერ დაწყებული ღონისძიება დაგვიანებული თუ არა, ნაადრევი ნამდვილად არ არის. იმ ბენზინგასამართ სადგურებს, რომლებიც დასახლებული ადგილიდან ნორმების დაუცველად არიან დაშორებულნი, ინსპექცია დახურვით ემუქრება. დანარჩენი სანიტარიული ნორმის დარღვევის შემთხვევაში კი პირველადი ჯარიმა 100 ლარია. მართალია, ეს თანხა შემაშინებლად ვერ გამოიყურება, მაგრამ ინსპექციის თანამშრომლები ბენზინგასამართი სადგურების სისტემატურ კონტროლს გვპირდებიან. მეორადი ჯარიმა კი, არც ისე მცირე, 500 ლარია. ექსპლუატაცია შეუჩერდებათ, აგრეთვე, სადგურებთან ახლოს მდებარე საკვებით მოვაჭრე ობიექტებს.

სანიტარიული ინსპექცია აცხადებს, რომ დაპირების შესრულება შეუძლია. ერთი თვის თავზე ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების ნუსხასა და შედეგებს გაგაცნობთ და თვითონ დარწმუნდებითო, გვპირდება მესხიშვილი. თუმცა, რაც არ უნდა იაქტიურონ სანიტარიულმა სამსახურებმა, ბოლო სიტყვა მაინც სასამართლოსა და აღმასრულებელ უწყებებზეა. მათი ხელშეწყობის გარეშე (რაც არცთუ ხშირია) მხოლოდ შემოწმებითა და საჯარიმო აქტების შედგენით არაფერი გამოვა.

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კონკურსს**

გურჯაანის რაიონში, სოფ. ვაჩნაძიანის IX საუკუნის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრული ანსამბლის მთავარი ტაძრის კონსტრუქციული გამაგრების საპროექტო წინადადებასა (I ეტაპი) და პროექტირებაზე (II ეტაპი)

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა პროფესიონალმა არქიტექტორმა, კონსტრუქტორმა ან პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებს სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა სპეციფიკას, შეიმუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას და რომელსაც გააჩნია სათანადო ლიცენზია.

პროექტი უნდა შეიცავდეს:

- მთავარი ტაძრის დაბზარული კედლების კონსტრუქციული გამაგრების წინადადებას (სამშენებლო მასალა, ტექნიკური დეტალები, ხარჯთაღრიცხვა)
- წინადადებას ტაძრის კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლისა და დაზიანებათა მითითებისა და რეაბილიტაციის მეთოდებზე,
- პროექტის შედგენისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას
- საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო სამუშაო გეგმას ვადების მითითებით

**გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, საპროექტო წინადადების სამეცნიერო დასაბუთება, ხარჯთარიცხვა, ძეგლის რეაბილიტაციის ოპტიმალური მეთოდიკა.**

**გამარჯვებული საპროექტო წინადადების ავტორსა თუ ავტორთა ჯგუფს მიეცემა დაკვეთა საპროექტო სამუშაოებზე. პროექტის მიხედვით ძეგლზე ფიზიკურ სამუშაოებზე გამოცხადდება ტენდერი, რომელშიც მონაწილეობის მიღების საშუალება ექნებათ პროექტის შემსრულებლებს. შესაძლებელია პროექტის ავტორთა არქიტექტურული მეთვალყურეობის უზრუნველყოფა.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 5 ოქტომბერი, 2004 წელი**
**საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 15 ოქტომბრამდე.**

**მისამართი: თბილისი, სანაპიროს N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი N404**
**ტელ.: 98-74-20**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კონკურსს**

ოზურგეთის რაიონში, სოფ. შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიის XII-XIVსს-ის დაზიანებული ფრესკების კონსერვაციისათვის საჭირო არსებული მდგომარეობის სადიაგნოსტიკო სამუშაოების ჩასატარებელ წინადადებაზე

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა ლიცენზირებულმა პროფესიონალმა ან პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებს ჩასატარებელ სამუშაოთა სპეციფიკას და შეიმუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას.

წინადადებით გათვალისწინებული უნდა იყოს:

- მოხატულობის მდგომარეობის შესწავლა და დაზიანების მიზეზების კვლევა;
- დაზიანებების აღმოფხვრის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება;
- საკონსერვაციო მეთოდიკის შემუშავება;
- გრაფიკული და ფოტო დოკუმენტაცია დაზიანებათა ტიპისა და ადგილის ჩვენებით;
- საკონსერვაციო პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს ძეგლის მდგომარეობისა და კონსერვაციის მეთოდიკის შესახებ სრულ დასაბუთებულ ინფორმაციას შესასარულებელი სამუშაოების მოცულობის ჩვენებით.

**გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, საპროექტო წინადადების სამეცნიერო დასაბუთება, ხარჯთარიცხვა.**

**შემდგომ ეტაპზე ძეგლზე საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებზე გამოცხადდება ტენდერი, რომელშიც მონაწილეობის მიღების საშუალება ექნებათ გამარჯვებული პროექტის შემსრულებლებს.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 5 ოქტომბერი, 2004 წელი**
**საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 15 ოქტომბრამდე.**

**მისამართი: თბილისი, სანაპიროს N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი N404**
**ტელ.: 98-74-20**

HEINRICH BÖLL STIFTUNG

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის**
უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**(ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის)**

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ტრანსფორმაცია
- ქალაქის სოციალური და კულტურული ბიოგრაფია
- პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
- წინააღმდეგობა ტოტალიტარიზმთან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1920-1950-იან წწ.
- დისიდენტობის ისტორია, ეროვნული მოძრაობები და ადამიანის უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1953 წ. შემდეგ

სოციოლოგია:
- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
- ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
- რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

მდგრადი ქალაქგანვითარება:
- ქალაქის ეკოლოგიური და სოციალური განახლება
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- არქიტექტურა და ხელისუფლება
- ურბანული ტოპოგრაფია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1969-1982 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2005 - 31.12.2005. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი , info@boell.ge**

# ყოფილი მძევლები მევლუდ ჭიჭიაშვილს დღეს სასამართლოში ნახავენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ლეგენდად ქცეული პანკისელი კრიმინალის, 30 წლის შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილის 24-ტომიანი საქმის არსებითი განხილვა უზენაესმა სასამართლომ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო. გუშინდელი სასამართლო სხდომა მთლიანად ჭიჭიაშვილის საბრალდებო დასკვნის კითხვას დაეთმო, თუმცა სკანდალური დანაშაულებრივი საქმიანობით ცნობილი კრიმინალის, წლების განმავლობაში ძებნილი მევლუდ ჭიჭიაშვილისთვის პროკურატურის მიერ დაწერილი საკმაოდ ვრცელი საბრალდებო დასკვნის ბოლომდე გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*დღეს სასამართლო მტკიცებულებების გამოკვლევას მევლუდ ჭიჭიაშვილისა და მისი ჯგუფის წევრების მიერ თბილისში, 1997 წელს, მიხეილ დათიკაშვილის ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმით და დათიკაშვილისა და მისი მეუღლის - ნათია რუსეიშვილის პანკისის ხეობაში, "ცისკარას" ტყეში გატაცების საქმით დაიწყებს.*

ესპანელი ბიზნესმენების გატაცების ცნობილი საქმის დეტალების გამოქვეყნების შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის იმ ნაწილზე შეჩერდა, რომლის მიხედვითაც, მევლუდ ჭიჭიაშვილი და მისი დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი გამოძიების მიერ, ჯერჯერობით, დაუდგენელ პიროვნებას, ზედმეტსახელად - "თუთეს" ცხინვალში დაუკავშირდნენ და მას რუსეთის მოქალაქეობის პასპორტებისთვის 1200-1500 დოლარს დაჰპირდნენ, მოგვიანებით კი მას გატაცებული ძვირად ღირებული ავტომანქანაც მიართვეს.

მევლუდ ჭიჭიაშვილი კვლავ დუმილის უფლებით სარგებლობს. სასამართლოსთვის ჩვენების მიცემას, ჯერჯერობით, არ აპირებს. **"ჩემს პოზიციას ჩემი ინტერესების დამცველი გამოხატავს"**, - განუცხადა გუშინ განსასჯელმა მოსამართლე იური ტაბუცაძეს. რაც შეეხება ასევე სასამართლოს გალიაში მყოფ თენგიზ ფარეულიძეს, რომლის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჭიჭიაშვილის საბრალდებო დასკვნის მხოლოდ ერთ ეპიზოდში - ესპანელების გატაცების საქმეში ერთიანდება, გუშინ მოსამართლეს განუცხადა, რომ ქართული არ ესმის და თარჯიმანს საჭიროებს. **"გამოძიების მასალებში არსად ჩანს, რომ ფარეულიძეს არ ესმის და ვერ მეტყველებს ქართულად. მით უმეტეს, მას ქართული საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. ყველა ქისტს ესმის ქართული"**, - ასეთი გახლდათ მოსამართლის პოზიცია.

გუშინდელ პროცესზე გაირკვა, რომ საბრალდებო დასკვნა, რომელიც ფარეულიძეს საქმის გასაცნობად იზოლატორში მიუტანეს, ბრალდებულს არ ჩაუბარებია. საბრალდებო დასკვნა მას მოგვიანებით გააცნო ადვოკატმა. ფარეულიძის ინტერესების დამცველმა ირმა ჭკადუამ გუშინ დაყენებული შუამდგომლობით ესპანელი ბიზნესმენების, ყოფილი მძევლების - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას სასამართლო პროცესზე მოწვევა მოითხოვა. **"24-ტომიან საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც თენგიზ ფარეულიძის დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებდეს. არსებობს ერთადერთი ფარატინა ქაღალდი - ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი. მთელი გამოძიების პროცესში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან არავინ დაუპირისპირებიათ, მისი ამოცნობა არ ჩატარებულა. მართლაც მონაწილეობდა თუ არა ფარეულიძე ესპანელების გატაცებაში, ამის მტკიცება მხოლოდ ყოფილ მძევლებს შეუძლიათ"**, - ასეთი არგუმენტაციით დაასაბუთა ადვოკატმა საკუთარი შუამდგომლობის მოთხოვნა. სხვათა შორის, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, სწორედ თენგიზ ფარეულიძე დარაჯობდა გატაცებულებს.

**"ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესს და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას საქართველოს ხსენებაც არ უნდათ. სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე მათ კატეგორიული უარი განაცხადეს. ეთანხმებიან და ადასტურებენ წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებებს. ამდენად, მათი პროცესზე დასწრება გამორიცხულია"**, - აცხადებს სახელმწიფო ბრალმდებელი.

ერთი სიტყვით, ყოფილი ესპანელი მძევლები სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობას არ მიიღებენ. სასამართლო პროცესზე მათი იძულებითი წარმოდგენის პროცედურა უცხოეთის მოქალაქეებზე არ ვრცელდება.

როგორც გუშინდელ პროცესზე გადაწყდა, იმის გამო, რომ შოთა ჭიჭიაშვილის 24-ტომიანი საქმე მრავალეპიზოდიანია და თითოეულ ეპიზოდთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი მოწმეა დასაკითხი, მტკიცებულებების გამოკვლევა ცალკეული ეპიზოდის მიხედვით მოხდება. **"ამოვწუროთ ერთი ეპიზოდი და შემდეგ გადავიდეთ სხვა ეპიზოდის მტკიცებულებების შესწავლაზე, სხვაგვარად ამ საქმის სასამართლო განხილვა წარმოუდგენლად მიმაჩნია"**, - მოსამართლის ეს წინადადება ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა როგორც განსასჯელების დამცველებისთვის, ასევე სახელმწიფო ბრალმდებლისთვისაც.

დღეს სასამართლო მტკიცებულებების გამოკვლევას მევლუდ ჭიჭიაშვილისა და მისი ჯგუფის წევრების მიერ თბილისში, 1997 წელს, მიხეილ დათიკაშვილის ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმით და დათიკაშვილისა და მისი მეუღლის - ნათია რუსეიშვილის პანკისის ხეობაში, "ცისკარას" ტყეში გატაცების საქმით დაიწყებს. სხვათა შორის, ეს საქმე წლების წინ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში იხილებოდა. ყოფილმა მძევლებმა ერთ-ერთ პროცესზე გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება შეცვალეს და ჭიჭიაშვილის გატაცებაში მონაწილეობა უარყვეს. მაშინ მოსამართლემ საქმე წინასწარ ძიებაში დააბრუნა. თბილისში დაკავებული მევლუდ ჭიჭიაშვილი კი გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლდა. დღევანდელ პროცესზე ჩვენების მიცემა და ჭიჭიაშვილთან დაპირისპირება ყოფილ მძევლებს კვლავ მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ გამტაცებლებმა მაშინ ცოლ-ქმარი - მიხეილ დათიკაშვილი და ნათია რუსეიშვილი - მძევლობიდან 50 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაა-

# ბადრაგი და პატიმარი უკვე გაირჩევა ერთმანეთისგან

თამარ კაციტაძე

**"თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში პირველად შევედი. გადავწყვიტე, დაწესებულების ტერიტორია დამეთვალიერებინა. ეზოში უცხო პიროვნება დამხვდა და თავაზიანად მომესალმა. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ჩავთვალე, რომ თანამშრომელი იყო. ამ პიროვნებამ დაწესებულება მომატარა, შენობები მოვინახულე და ეზოს რომ ვათვალიერებდი, შევამჩნიე, რომ ნაცნობი თანამშრომლები გაოცებულები მიყურებდნენ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ჩემი მეგზური ჩვეულებრივი მსჯავრდებული იყო"**, - გვიამბო იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. იმის გამო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს და, მით უმეტეს, ქართველ პატიმრებს შესაბამისი ფორმები არ გააჩნდათ, ასეთი კურიოზები, თურმე, ხშირად ხდებოდა. მაგრამ, როგორც იუსტიციის დღევანდელი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ირწმუნება, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი შემთხვევები აღარ მოხდება, რადგან დღეს ყველა თანამშრომელს აქვს სპეციალური ფორმა და პატიმრისა და თანამშრომლის ერთმანეთში არევა გამორიცხულია.

სწორედ იმის დემონსტრირებისთვის, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცდანაყოფისა და სპეცდანიშნულების ყველა წევრი აღჭურვილია შესაბამისი ტანსაცმლითა და აღჭურვილობით (იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღი, ხელჯოხები და ა.შ.). გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ეზოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად მოეწყო სამწყობრო დათვალიერება. სხვათა შორის, იმის საჩვენებლად, რომ დეპარტამენტის სპეცრაზმი დამნაშავეების წინააღმდეგ სრულად არის უზრუნველყოფილი, სამწყობრო დათვალიერებისას გამოყვანილი ჰყავდათ სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებიც. თანამშრომელთა განმარტებით, ოთხფეხა მეგობრებს ისინი იყენებენ გაქცეული პატიმრების კვალის მისაგნებად, ნარკოტიკული და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოსაჩენად და სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოს შესასრულებლად.

დათვალიერებას, რომელშიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცდანაყოფების 230 თანამშრომელი მონაწილეობდა, იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა დაესწრო.

**"ამ სისტემის თანამშრომლებს, თავის დროზე, არა მარტო სათანადო აღჭურვილობა, ფორმაც არ გააჩნდათ და მათი გარჩევა პატიმრისგან შეუძლებელი იყო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები ნორმალურ პირობებში ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. პირობების გაუმჯობესება კი აუცილებელია, რათა შევინარჩუნოთ ღირსეული თანამშრომლები და შევძლოთ ახალი კადრების მოზიდვა"**, - განაცხადა თანამშრომლებთან წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში იუსტიციის მინისტრმა.

გიორგი პაპუაშვილმა სასჯელაღსრულებით დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მათი პირობების გაუმჯობესებით დაინტერესებულია არა მარტო იუსტიციის სამინისტრო, არამედ დღევანდელი ხელისუფლებაც. მაგრამ მინისტრმა იქვე აღნიშნა, რომ სამინისტრო, თანამშრომლებზე ზრუნვის პარალელურად, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პატიმართა უფლებების დაცვის კუთხითაც.

**"უახლოეს მომავალში იგეგმება ახლი ციხეებისა და საპყრობილეების მშენებლობების დასრულება, რომლებიც კვალიფიციური კადრებით უნდა დაკომპლექტდეს. გვესმის, თანამშრომელმა კეთილსინდისიერად რომ აღასრულოს დაკისრებული მოვალეობა, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურებაც. რასაც ვერ ვიტყვით დღევანდელ ხელფასებზე. დაგეგმილია, რომ სექტემბრიდან პენიტენციარული სისტემის თანამშრომელთა ხელფასი გაორმაგდეს, მომავალში კი მოსალოდნელია მისი კიდევ გაზრდა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ სისტემის თანამშრომელთა ხელფასი მათი შრომის შესაფერისი იყოს"**, - აღნიშნა პაპუაშვილმა.

სამწყობრო დათვალიერება დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმელთათვის მედლების გადაცემითა და თანამშრომელთათვის მადლობის სიგელების გადაცემით დასრულდა. ქვეყნის პრეზიდენტმა აჭარის მოვლენების დროს მხედრული მამაცობისთვის დააჯილდოვა სპეცდანიშნულების რაზმის ხუთი წევრი. ხოლო მინისტრმა მადლობა გამოუცხადა სასჯელაღსრულების სისტემის სპეცდანაყოფების ათეულობით თანამშრომელს, მათ შორის - რუსთავის N1 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს დავით გოგოლაძეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ლაშა კლდიაშვილს, ქალთა კოლონიის უფროსს მედიკო ალანიას და სხვებს. მადლობის სიგელების გადაცემას ბევრი თანამშრომელი ვერ დაესწრო. მინისტრის თქმით, ისინი იმ დროს სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ. ერთ-ერთი თანამშრომელი კი პაპუაშვილმა მხედრული მამაცობისთვის მედალზე წარადგინა, რომელიც მან შეიარაღებული პატიმრისთვის გაწეული წინააღმდეგობის გამო დაიმსახურა.

# შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობისკენ მოგვიწოდებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად აპროტესტებს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას მისი თანამშრომლების მხრიდან მავანი მაღალჩინოსნის მიერ ავტოავარიის დეტალების საიდუმლოდ შენახვის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებით, პრეს-ომბუდსმენის მიერ ქართული სამართლებრივი სივრცის გაკრიტიკებას.

**"შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამალი არაფერი აქვს,** - ამბობს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე, - **ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის გასაცემად სპეციალურად არსებობს ჩვენი სამსახური და აქ ინფორმაციის სრული გამჭვირვალობაა უზრუნველყოფილი. ავარია მართლაც მოხდა, თუმცა მისი გამომწვევი შინაგან საქმეთა მინისტრად გია ბარამიძის ყოფნის დროს მისი მოადგილე ავთო ანთაძე კი არ ყოფილა, არამედ ვინმე ავთო ანთიძე. ამ ერთმა ასომ ჟურნალისტებიც შეცდომაში შეიყვანა და პრეს-ომბუდსმენიც. არადა, მიღებული ინფორმაცია ჩვენთან რომ გადამოწმებული ყო, ეს შეცდომა არ გაიპარებოდა. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ უსაფუძვლო კრიტიკაზე შედეგიანია ჩვენთან თანამშრომლობა".**

*24 საათი*






## მოკლედ

### აჭარას ახალი შს მინისტრი ეყოლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დავით ღლონტი თანამდებობიდან გათავისუფლებულია. გავრცელებული ინფორმაციით, ავტონომიის შს მინისტრის გათავისუფლების მიზეზი რამდენიმე დღის წინ მისი უწყების სამი თანამშრომლის, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორების - შაქრო და თამაზ დავითაძეებისა და ზაქრო ბარამიძის ფულის გამოძალვის ფაქტზე დაკავება გახდა. ოფიციალური კომენტარი დავით ღლონტის მინისტრობიდან გათავისუფლების მიზეზის შესახებ გუშინ მთელი დღის განმავლობაში არ გაკეთებულა.

სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ ბათუმში ჩასულმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა დავით ღლონტს ავტონომიის ტერიტორიაზე კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორებისთვის გარკვეული ვადა მისცა. "თუ სიტუაცია არ გამოსწორდება, აჭარის შს მინისტრი სახლში წავა", - ასეთი განცხადება გააკეთა მაშინ ირაკლი ოქრუაშვილმა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დავით ღლონტის თანამდებობაზე, სავარაუდოდ, ავტონომიის პროკურორი გიორგი პაპუაშვილი დაინიშნება. რამდენიმე დღის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის თანამშრომლების დაკავებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საზოგადოებას, საჩქაროდ მოწვეული ბრიფინგის საშუალებით, სწორედ გიორგი პაპუაშვილმა ამცნო. **24 საათი**

### ქუთაისის ავტოქარხნის აღმასრულებელი დირექტორი გაათავისუფლეს

ქუთაისის N2 საპყრობილე კიდევ ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა დატოვა. პროკურატურამ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის აღმასრულებელი დირექტორის შიო ობოლაძის სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ იგივე საპყრობილე საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ამირან ნაცვლიშვილმაც დატოვა. ორივე მათგანს გამოძიება დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მითვისებას ედავებოდა. ქუთაისის ავტოქარხნის ყოფილი დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი 75 ათასი ლარის გადახდის შემდეგ გათავისუფლდა პატიმრობიდან. იმერეთის ოლქის პროკურორის მიხეილ ჩოგოვაძის განცხადებით, ორივე მეწარმემ სახელმწიფოს 5 მლნ 900 ათასი ლარის ღირებულების აქციები გადასცა. გარდა ამისა, შიო ობოლაძემ ბიუჯეტის სასარგებლოდ 30 ათასი ლარი გადაიხადა. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** სახალხო დამცველის აპარატის ზუგდიდის რეგიონულმა წარმომადგენლობამ ზუგდიდის N4 საპყრობილეში მყოფი ხუთი პატიმრის შესახებ 14 სექტემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში რეკომენდაცია გააგზავნა. როგორც რეგიონული წარმომადგენლები აცხადებენ, ხუთი პატიმარი - ემზარ ფონიავა, ლევან ძაძუა, ზურაბ ყოლბაია, გენო ქულავა და მერაბ ფირცხალავა - სამართალდამცავებმა დაკავებისას სცემეს. პოლიციელებმა მათი დაკავებისას დაარღვიეს პროცესუალური ნორმები და აუცილებელია რეგირება იმ პირების ქმედებაზე, რომლებმაც პატიმრები აწამეს. რეკომენდაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პოლიციელების წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წალენჯიხის შს განყოფილებისა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას სამძებრო სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს ნარკომანიისთვის ძებნილი, 21 წლის სპარტაკ კვარაცხელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ე.წ. "შავი სამყაროს" აქტიური წარმომადგენელი, ორჯერ ნასამართლევი, 26 წლის შ.ყ., რომელიც ცდილობდა დავით ხელაძის ავტომანქანის "ვაზ-2106"-ის გატაცებას. დაკავებისას შ.ყ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა და დანით ხელში დაჭრა საპატრულო პოლიციის ინსპექტორი ს. ლომიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, ორჯერ ნასამართლევი, 16 წლის მ.ქ., მეტსახელად - "მახოხია", რომელიც ამჟამად პირობით სასჯელს იხდის. მან 31 წლის ნინო დონაძეს დანის მუქარით ხელჩანთა გასტაცა. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას სამართალდამცავებმა დააკავეს სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისთვის ძებნილები, 22 წლის ვალერიან და 20 წლის თეიმურაზ დალაქიშვილები. **მედია-ნიუსი**

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# რუსეთის "დემოკრატიული" მცოცავი ანექსია აფხაზეთში

თემურ ჩილაჩავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის პრორექტორი, პროფესორი

ისტორიულად, მოსკოვი იყენებდა თბილისის ნებისმიერ მცირე შეცდომას იმისთვის, რომ ძალა მოეკრიფა აფხაზურ სეპარატიზმს, რათა მომავალში გამოელო მისთვის სასურველი ნაყოფი.

ასე იყო 1947 წლის გამოსვლები - აფხაზურ სკოლებში რუსულის ნაცვლად მეხუთე კლასიდან ქართული სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით; 1954 წლის გამოსვლები, რომელიც მოჰყვა პავლე ინგოროყვას წიგნის "გიორგი მერჩულე"-ს გამოქვეყნებას, სადაც მართლაც საკამათო თეზისები იყო მოყვანილი, რომელთა განხილვა აუცილებელი იყო უფრო ფართო სამეცნიერო წრეში.

1967 წლის მორიგი გამოსვლები უკავშირდება თვალის ასახვევად ტოპონიმიკის, ხოლო ძირითადად, საკადრო საკითხებს.

1977 წლის დეკემბერს აფხაზური სეპარატისტული ელიტის ერთმა ჯგუფმა ანტიქართული სულისკვეთების წერილი მოსკოვის დაკვეთით გაუგზავნა საკავშირო ხელმძღვანელობას, რომელშიც მოითხოვა აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხის შესწავლა, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთება, აფხაზეთის ტელევიზიის შექმნა და სხვა.

1985 წლიდან დაწყებულმა "პერესტროიკად" წოდებულმა პროცესებმა ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცილებით მაღალ ხარისხში აიყვანა.

1988 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმართება ხალხმრავალი აქციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რაც მოსკოვისა და აფხაზ სეპარატისტთა მწვავე და ნეგატიურ რეაქციას იწვევს.

1988 წლის 3 დეკემბერს სოხუმში ჩატარდა ქართველ "არაფორმალთა" მიტინგი, რომელიც მიეძღვნა 1988 წლის 17 ივნისს აფხაზი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მიერ (მწერალ ალექსი გოგუას ხელმძღვანელობით) მოსკოვში გაგზავნილ ე.წ. "აფხაზურ წერილს", რომელშიც სეპარატისტები ითხოვდნენ, განეხილათ საკითხი აფხაზეთის ასსრ საკავშირო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

1988 წლის ნოემბერში სოხუმში შედგა აფხაზთა საინიციატივო ჯგუფის შეკრება, რომელზეც დაფუძნდა აფხაზთა სახალხო ფორუმი "აიდგილარა" ("ერთიანობა").

1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში "აიდგილარას" ინიციატივით შეიკრიბა მრავალი ათასი აფხაზი, რომლებმაც მიიღეს მიმართვა მიხეილ გორბაჩოვისადმი.

მიმართვის მთავარი ლაიტმოტივი იყო 1921-31 წლების აფხაზეთის სტატუსის აღდგენის მოთხოვნა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიის მდგომარეობას თითქოსდა განსაზღვრავდა საქართველოსგან დამოუკიდებლად.

1989 წლის 25 მარტს სოხუმში ჩატარებულმა მრავალათასიანმა მიტინგმა, რომელსაც აფხაზეთის ყველა რაიონის წარმომადგენლობა ესწრებოდა, სიტუაცია შეაფასა როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებით გამოწვეული პოლიტიკური ხასიათის კრიზისი და არა ქართულ-აფხაზური დაპირისპირება.

ქართველთა საპროტესტო გამოსვლების გაგრძელება იყო 1 აპრილს დაბა ლესელიძეში ჩატარებული მიტინგი (ორგანიზატორი მერაბ კოსტავა), რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართულ-აფხაზური უთანხმოების ინსპირატორი რუსეთია და აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდა მშვიდობიანი დიალოგისკენ. რუსების მიერ დეზინფორმირებულმა, ეგზალტირებულმა და გონებააბნეულმა 500-მდე აფხაზმა უკან, სოხუმისკენ მიმავალ მომიტინგეთა ავტობუსებზე მოაწყო თავდასხმა დაბა ბზიფთან და ქ. გუდაუთასთან. იმ დღეს რამდენიმე ათეული ქართველი დაიჭრა. მთელი სოხუმი გაოგნებული შეხვდა ფანჯრებჩალეწილ ავტობუსებში მსხდომ დასისხლიანებულ ადამიანებს.

ეს იყო პირველი სისხლიანი, მოსკოვისთვის ასე ნანატრი შედეგი.

ქართულმა ეროვნულ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, დაპირისპირების შემდგომი ესკალაციისა და შესაძლო შეტაკებათა თავიდან აცილების მიზნით, აქციები აფხაზეთიდან თბილისში გადაიტანეს.

აღნიშნულ პერიოდში მოსკოვმა აფხაზეთში შექმნა ანტიქართული ორგანიზაციები: "სლავიანსკი დომი", "ალანი", "კრუნკი", რომლებიც აფხაზური "აიდგილარას" მოკავშირეები გახდნენ და სსრკ-ს შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს.

ამ მოვლენებს მოჰყვა დაძაბულობის გაღრმავება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქართველმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მოითხოვეს ანტიქართულად განწყობილი უნივერსიტეტის გაზეთის მთავარი რედაქტორის ნიკოლოზ ჯონუას გადაყენება და რექტორის პროფ. ა. გვარამიას მხრიდან 18 მარტის ლიხნის წერილზე ხელმოწერის დეზავუაცია. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ სასწავლო დარგში არასწორი საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილო ქართულმა ნაწილმა 4 აპრილს დატოვა უნივერსიტეტის კედლები.

1989 წლის 2 მაისს, ქართველი სტუდენტების ინიციატივით, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართულ თეატრთან დაიწყო მჯდომარე გაფიცვა. გაფიცულთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო უნივერსიტეტის გაყოფის საკითხი. მას მხარი დაუჭირა საქართველოს მრავალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. აქციას შეუერთდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები (სულ 118). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეფექტური იყო სოხუმის რკინიგზელთა თანადგომა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ეს აქცია გახდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პოლიტიკური გამოსვლა.

1989 წლის 14 მაისს დაკმაყოფილდა აქციის ორგანიზატორთა ერთი მოთხოვნა და შეიქმნა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.

თსუ სოხუმის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით საკავშირო ხელისუფლებამ ორჭოფული პოზიცია დაიკავა, რითაც ხელი შეუწყო დაძაბულობის გაღრმავებას.

სსრკ უმაღლესი საბჭოს კომისიამ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: Группа народных депутатов СССР (ვ. არძინბა, ბ. შინკუბა, ბ. ადლეიბა, ვ. თარბა) настаивает на отмене указанного решения и осуществлении безотлагательных и действенных мер по восстановлению АГУ.

14-15 ივლისის ღამეს "აიდგილარის" აქტივისტებმა მოშალეს სოხუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მოწყობილი 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა პატივცემის დროებითი სტენდი.

აფხაზეთის სახალხო ფორუმმა თხოვნით მიმართა საკავშირო ხელმძღვანელობას აფხაზეთში ჯარების შემოყვანის თაობაზე.

აფხაზმა მწერლებმა - ბ. შინკუბამ (სეპარატიზმის აღიარებული იდეოლოგი) და ა. გოგუამ ("აიდგილარა"-ს მაშინდელი ლიდერი) - სასწრაფო დეპეშა გაუგზავნეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ლუკიანოვს (თანამედროვე შავრაზმელი, ვ. არძინბას ერთ-ერთი მფარველი) და შს მინისტრს ვ. ბაკატინს: Просим незамедлительно решить вопрос о выделении войсковых сил МВД СССР так как 16 июля незаконно созданный филиал намеревается приступить к приёмным экзаменам.

მოსკოვიდან მხარდაჭერამ არ დააყოვნა და 15 ივლისს, ძირითადად, გუდაუთის რაიონიდან ჩამოსულმა აფხაზთა ჯგუფებმა ალყაში მოაქციეს სოხუმის ქართული პირველი საშუალო სკოლა, სადაც დროებით განთავსდა თსუ-ს სოხუმის ფილიალის მიმღები კომისია და სასტიკად სცემეს კომისიის წევრებს, მთლიანად დაარბიეს შენობა.

სეპარატისტთა ვანდალიზმით აღშფოთებული ათასობით ქართველი დაიძრა სამეგრელოდან სოხუმისაკენ (მოსკოვის სცენარში არ შედიოდა).

ათასობით ქართველი, რომელიც სოხუმისკენ მიიწევდა, შეაჩერეს "წითელმა ბერეტებმა" ღალიძგასთან (ოჩამჩირის რაიონი).

ქართველების აქტიურობამ იმ დროისათვის ჩაშალა მოსკოვის და "აიდგილარა"-ს ერთობლივი გეგმა, რომლის მიხედვით, შეიარაღებული დაპირისპირება საშუალებას მისცემდა ცენტრს, ავტონომიის ტერიტორიაზე შემოეღო საგანგებო მდგომარეობა, რითაც თბილისი დაკარგავდა ამ რეგიონზე კონტროლს. ეს კი სეპარატისტებს გზას უხსნიდა, საქართველოსგან აფხაზეთი მოწყვეტილიყო (მოსკოვის გეგმის საბოლოო მიზანი).

ამჯერად, მათ საერთო ძალისხმევა არ ეყოთ, მაგრამ 1989 წლის ივლისის მოვლენები სეპარატისტების და, განსაკუთრებით, მათი მრჩევლების მიერ გამოყენებული იქნა მომავალი ბრძოლებისთვის უკეთ მოსამზადებლად.

მოსკოვი დარწმუნდა, რომ საქართველოს ცენტრიდანული ძალების ნეიტრალიზებისა და ქართველთა დასჯისათვის გაცილებით უფრო ფუნდამენტური მომზადება იყო საჭირო. მათ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები და მომავალი ბრძოლებისთვის დაისახეს სამი უმთავრესი ამოცანა:

1. "აიდგილარას" აქტივისტების მაქსიმალური რაოდენობით ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოსვლა;

2. საქართველოს დაქუცმაცების პროცესებში ჩრდილოეთ კავკასიის აფხაზებთან ეთნიკურად მონათესავე ხალხების ჩართვა;

3. საქართველოს "ხერხემლის" - სამეგრელოს განეიტრალება, რომელიც ისტორიული, გეოგრაფიული თუ სხვა პარამეტრებით, აფხაზეთის ქართველობასთან ერთად, ამ რეგიონში საქართველოს ინტერესების უპირველეს დამცველად რჩებოდა.

როგორც მომავალში გაირკვა, საუბედუროდ, მოსკოვმა ეს ამოცანები მეცნიერულ დონეზე არა მარტო დაისახა, არამედ გეგმაზომიერად, ცინიკური მეთოდებით განახორციელა კიდეც.

1991 წლის დეკემბრის ბოლო დეკადაში რუსეთის უშუალო ხელშეწყობითა და სამხედრო ტექნიკის დახმარებით საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მოჰყვა სამოქალაქო ომი, დაუმორჩილებლობისთვის სამეგრელოს სამჯერად "ეგზეკუცია" (მოსკოვის სცენარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შუალედური წარმატება).

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის - არძინბას ბრძანებით, 1992 წლის იანვარში შეიქმნა მონონაციონალური სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც დაექვემდებარა მხოლოდ ხელისუფალს.

28 აფხაზმა დეპუტატმა და სხვა არააბორიგენი ეროვნების პროაფხაზურად განწყობილმა 6 დეპუტატმა უკანონოდ, უბრალო და არაკვალიფიციური უმრავლესობით მიიღეს 1925 წლის კონსტიტუციის პროექტის აღდგენის დადგენილება, რომლის თანახმად, აფხაზეთი ცხადდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და წყვეტდა ყოველნაირ სამართლებრივ ურთიერთობას დანარჩენ საქართველოსთან.

არძინბა იმ პერიოდში უმაღლესი საბჭოს სესიაზე და ტელევიზიაში ხშირად იმეორებდა - "ჩვენ ვაიძულებთ ქართველებს, ესროლონ აფხაზებს."

ამ მოვლენათა განვითარების ფონზე არძინბას პროვოკაციული მოთხოვნის - თბილისიდან გაგზავნილ საჯარისო შენაერთებს დაეცვათ რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალები - დაკმაყოფილება თბილისის იმჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკური შეცდომა იყო, რომელიც მოსკოვმა კარგად გამოიყენა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საუკუნენახევრის განმავლობაში იმპერიული რუსეთი (შემდგომში - ბოლშევიკური რუსეთი) იდეოლოგიური, ძირგამომთხრელი მუშაობით ცდილობდა, აფხაზებში ჩაენერგა აზრი იმის თაობაზე, რომ აფხაზი ერის ყველანაირ უბედურებაში დამნაშავეები არიან ქართველები, რომლებიც მათ "ჩაგრავენ". ამიტომ, თუ აფხაზები მოწყდებიან საქართველოს, მათთვის გაიღება "ედემის ბაღის" კარები და მოკლე დროში მათი ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ამიტომ 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა ქართულმა, "რბილად" რომ თქვათ, საჯარისო ფორმირებებმა გადალახეს ენგური, აფხაზის თვალში, საუბედუროდ, ისინი უკვე აღიქმებოდნენ როგორც "მტრის" ჯარი. რა თქმა უნდა, ელვისებურად ჩაირთო რუსეთისა და აფხაზი სეპარატისტების ერთობლივი საინფორმაციო მანქანა და გამოცხადდა სამამულო ომი აფხაზებისთვის, რომლებსაც ქართველები ართმევენ სამშობლოს.

ამ დროს კრასნოდარის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთის სხვა რეგიონებში უკვე მომზადებული იყვნენ რუსეთის უშიშროების სამინისტროს მიერ შექმნილი მთიელ ხალხთა კონფედერაციის საჯარისო ფორმირებები, აგრეთვე დაქირავებული სამხედრო სპეციალისტები, ძირითადად - კაზაკები, ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ჩეჩნები... ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისთვისაც ომი და ადამიანის კვლა იყო საყვარელი და სარფიანი საქმე. ამიტომ უკვე ადგილობრივი თუ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ქართველებისთვის ომი გახდა სამამულო, რუსეთ-საქართველოს შორის დაწყებული.

მოვიყვან მხოლოდ ერთ ეპიზოდს, რომელიც ნათლად ადასტურებს იმას, რომ 1992-93 წლებში აფხაზეთში საქართველოსთან ომობდნენ არა მხოლოდ რუსეთიდან ჩამოსული "ბომჟები", არამედ რუსეთის სახელმწიფო.

1993 წლის 31 მაისიდან 17 ივნისამდე, რუსებისა და აფხაზების კატეგორიული მოთხოვნითა და შეთანხმებით, ტყვარჩელის აქცია ტარდებოდა, რომელიც ითვალისწინებდა ტყვარჩელში იზოლირებულად დარჩენილი, ძირითადად, აფხაზური მოსახლეობისთვის სოხუმის გავლით ჰუმანიტარული ტვირთის (ფქვილი, შაქარი, ზეთი და სხვა) რუსეთიდან ჩატანას. რამდენიმე პიროვნება ჩავედით სოხუმიდან ადლერში, სადაც სამმხრივ კომისიას (რუსები, აფხაზები, ქართველები) რუსეთ-საქართველოს საზღვართან (მდ. ფსოუს სიახლოვეს) უნდა გაეკონტროლებინა სატვირთო მანქანების ჩატვირთვა.

ჩვენ თვალწინ დღისით მართლაც მოჰქონდათ ჰუმანიტარული ტვირთი, მაგრამ ღამით სატვირთო მანქანებს ატანდნენ "ჰუმანიტარულ ტვირთს" - ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ნაღმები. ამის თაობაზე ჩვენ ვატყობინებდით ქართულ ხელმძღვანელობას, მაგრამ სოხუმში, სამწუხაროდ, ქართულ "სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის გამო" არ ხდებოდა ამ მანქანების დათვალიერება, რაც უფრო აძლიერებს იმ აზრს, რომ საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსული სცენარის თანახმად.

სამმხრივ კომისიაზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი იმის თაობაზე, რომ გაგრელი ქართველებისთვის, რომლებიც ტყვარჩელის მოსახლეობაზე უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, აგრეთვე ჩაგვეტანა ჰუმანიტარული ტვირთი.

მართლაც, 16 ივნისს სამმხრივი კომისიის წარმომადგენლები ქართულ მხარეს წარმოვადგენდით. მე და მიხეილ კოკაია (უნიჭიერესი სოხუმელი მეცნიერი, ჟიული შარტავას მრჩეველი) ჩავედით გაგრაში, რომელიც 1992 წლის ოქტომბრის დასაწყისში იყო აღებული რუსეთის თანამედროვე ტანკების მეშვეობით. ჩვენ დაგვხვდა საშინელი სურათი: ქართველები ჰყავდათ ძალიან დაჩაგრული, ფაქტობრივად - მონებად, მათ ეკრძალებოდათ საუბარი ქართულ ენაზე.

ბუნებრივია, რომ ჰუმანიტარული ტვირთი დარიგდა და საღამოს აფხაზებმა ლავრენტი ბერიას აგარაკზე გამართეს ვახშამი. თამადობდა რუსლან ბგამბა, არძინბასთან დაახლოებული პიროვნება, რომელმაც შემოგვთავაზა დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს სადღეგრძელო. რუსეთს წარმოადგენდა ალექსანდრე პანოვი (რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე), რომელმაც აიტაცა ეს სადღეგრძელო, მიესალმა აფხაზეთის დამოუკიდებლობას და იოცნება, რომ გამხდარიყო რუსეთის პირველი ელჩი აფხაზეთში.

ბუნებრივია, რომ ჩვენ გამოვთქვით განსხვავებული აზრი, რაზედაც რუსეთის დელეგაციის სხვა საკმაოდ მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა გვითხრეს (1993 წლის 16 ივნისია): "Ребята, не езжайте назад в Сухуми, мы Сухуми возьмем!"

სხვათა შორის, ამ აზრს ხშირად გამოთქვამდნენ ადლერში რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის მოადგილე იური ვორობიოვი (ს. შოიგუს მაშინდელი მოადგილე და მარჯვენა ხელი), რუსეთის მიგრაციის მაშინდელი მინისტრი ტატიანა რეგენტი და სხვა მაღალჩინოსანნი. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ სოხუმს მალე აიღებდნენ და "ჩვენზე ზრუნავდნენ," "მეგობრულად" გვირჩევდნენ სოხუმში არდაბრუნებას.

სოხუმში ჩასვლისთანავე (17 ივნისი) ეს ყველაფერი და აგრეთვე ის, რომ რუსები და აფხაზები გაგრაში ამზადებდნენ საავადმყოფოებს მომავალ საომარ მოქმედებებში დაჭრილებისთვის, ჩვენ დაუფარავად ვთქვით, მაგრამ ვრცელი ინტერვიუ, რომელიც მივეცი ჟურნალისტ ირმა ინაშვილს, როგორც გაირკვა, დაიბლოკა პრინციპით - "არ ვაწყენინოთ რუსებს".

რუსეთმა გეგმაზომიერი მუშაობით შეძლო, რომ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა ორი მოძმე - აფხაზი და ქართველი, რომლებიც, თავისი ღრმა რწმენით, ომობდნენ სამშობლოსთვის.

ამ სამამულო ომს აფხაზეთში ჰყავს მხოლოდ ერთი გამარჯვებული, იმედია - დროებითი და ეს, რა თქმა უნდა, რუსეთია.

1992-93 წლების აფხაზეთის მოვლენებმა, რუსეთის ფედერაციის მიერ ჩეჩნეთში, საკუთარ ტერიტორიაზე წარმოებულმა ჩეჩენი ხალხის გენოციდზე გათვლილმა ომმა, ბოლოდროინდელმა შემზარავმა ფაქტმა ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ბესლანში საბოლოოდ უნდა დაარწმუნოს კავკასიის ხალხი, რომ მათი მთავარი არაკეთილმოსურნე რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკაა.

ამ არაადამიანური პოლიტიკის "გენეტიკური კოდია" - დაუპირისპირე ყველა ყველას, იბატონე ყველაზე, ვისზე შეძლებ ბატონობას და ამით მოახდინე მეზობელი ტერიტორიების "დემოკრატიული მცოცავი ანექსია".

ქართველებმა უშუალო, სრული, თუნდაც მძიმე სიმართლეზე დამყარებული პირდაპირი დიალოგით უნდა აღვადგინოთ ურთიერთობა მოძმე აფხაზ ხალხთან. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვძებნოთ სხვების მიერ ხელოვნურად ურთულეს ლაბირინთებად ქცეული გზა აფხაზების გულებისკენ.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

რუსეთის დელეგაციის სხვა საკმაოდ მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა გვითხრეს: "Ребята, не езжайте назад в Сухуми, мы Сухуми возьмем!"

# აფხაზებს აფხაზური ამბები უფრო აინტერესებთ

ლელა მარგიანი

*2003 წლის მარტიდან თბილისსა და სოხუმში გამოდის თექვსმეტგვერდიანი გაზეთი "პანორამა", რომელიც ყოველთვიური გამოცემაა და გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე. გაზეთი ქართველი და აფხაზი ჟურნალისტების თანამშრომლობის შედეგია. მას ჰყავს სამი - ქართველი, აფხაზი და ინგლისელი თანარედაქტორი. გვესაუბრება გაზეთის ქართული ვერსიის რედაქტორი, "ომისა და მშვიდობის ინსტიტუტის" კავკასიის რეგიონული კოორდინატორი მარგარიტა ახვლედიანი.*

მარგარიტა ახვლედიანი: " ჩვენი გაზეთისთვის მუშაობს 8 ქართველი და 8 აფხაზი ჟურნალისტი. ქართველი ჟურნალისტებიდან ორია მხოლოდ თბილისელი, დანარჩენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები არიან. ყველა აფხაზი სოხუმელია. გაზეთი ერთდროულად იბეჭდება სოხუმსა და თბილისში. ვრცელდება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ტირაჟის მნიშვნელოვან ნაწილს უფასოდ ვავრცელებთ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში. გაზეთის გამოცემის პარალელურად, ჩვენს მკითხველებში ვაწარმოებთ ყოველთვიურ გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგებს კი ვაქვეყნებთ გაზეთის მორიგ ნომერში. მუშაობის ასეთმა სტილმა საშუალება მოგვცა, აღმოგვეჩინა, რომ ადამიანები, ვინც აქ, თბილისსა და დანარჩენ რეგიონებში კითხულობენ ჩვენს გაზეთს, უფრო მეტად ინტერესდებიან აფხაზეთის ამბებით. ისინი ხშირად გვეკონტაქტებიან: ზოგჯერ არ გვეთანხმებიან, კამათობენ ჩვენთან, მაგრამ ფაქტია, რომ მათ აფხაზეთის ამბები აინტერესებთ, რადგან არ არსებობს სხვა გაზეთი, რომელშიც შეიძლება უშუალოდ სოხუმიდან გამოგზავნილი მასალის წაკითხვა; მაგალითად, ბოლო ნომერში გაშუქებულია აფხაზეთში წინასაარჩევნო მდგომარეობა, არის დიდი მასალა ალექსანდრე ანქვაბის შესახებ.

ჩვენ გამოკითხვებს ვატარებთ აფხაზეთშიც და საინტერესო რამ აღმოვაჩინეთ: როდესაც მივიღეთ გაგრელი, სოხუმელი, ბიჭვინთელი მკითხველების პასუხები, აღმოჩნდა რომ მათ თავისი აფხაზური ამბები უფრო აინტერესებთ, ვიდრე ქართული. იცით, რატომ ხდება ასე?1 იმიტომ, რომ აფხაზეთში, ფაქტობრივად, არ არსებობს სხვა პრესა. არის რამდენიმე გაზეთი, მაგრამ თავისუფალი პრესა არ არსებობს. სოხუმში გამომავალი გაზეთები ან მთავრობის ზეგავლენის ქვეშაა, ან ოპოზიციის.

ჩვენ კი ადამიანებს ისეთ საკითხებზე ვესაუბრებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პოლიტიკასთან. ისინი სხვაგან ვერსად წაიკითხავენ მასალებს, ვთქვათ, ჩაის მრეწველობის მდგომარეობაზე, ან თუნდაც ახალ მშენებლობებზე, იქაურ ცხოვრებაზე. ჩვენს გაზეთზე აფხაზეთში დიდი მოთხოვნილებაა, ორ საათში იყიდება, ამიტომ ტირაჟის გაზრდასაც კი ვაპირებთ 2500-მდე.

**- როგორია თქვენი საქმიანობის სხვა სფერო?**

- პროექტის ფარგლებში სამ თვეში ერთხელ გაზეთზე მომუშავე მთელი ჯგუფი, ქართველი და აფხაზი ჟურნალისტები ვიკრიბებით ხოლმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე. გვაქვს ხუთდღიანი შეხვედრები. მართალია, ძალიან გვინდა შეხვედრის ჩატარება სოხუმში, მაგრამ ჯერ ეს ვერ მოვახერხეთ. ბოლო შეხვედრა ერევანში გვქონდა. მანამდე ვიყავით სოჭში, მოსკოვში, თურქეთში. ჩვენ იძულებულნი ვართ, ასე ვიმოგზაუროთ, რადგან სოხუმში ქართველი ჟურნალისტების ჯგუფის ჩაყვანა შეუძლებელია. ასევე ვერ ხერხდება აფხაზ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფის ჩამოყვანა. იმედი გვაქვს, აფხაზეთში არჩევნების ჩატარების შემდეგ მოვახერხებთ სოხუმში შეხვედრას.

ადრე ოთხი აფხაზი ჟურნალისტი თბილისში ორჯერ ჩამოვიყვანეთ საკუთარი კორესპონდენტების რანგში. ბოლოს იანვარში თბილისში იყვნენ ბეჭდური პრესის ორი და თითო-თითო ტელე და რადიოჟურნალისტი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან თანამშრომლობამ ეს ხალხი საგრძნობლად შეცვალა.

მახსენდება, სამი წლის წინათ შეხვედრა გვქონდა ვარშავაში. ჯგუფში იყო ერთი აფხაზი გოგონა, ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი ემა ტანია, რომელსაც ომში დაეღუპა მამა და ძმა (სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინათ ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა). მაშინ იგი პირველად იღებდა მონაწილეობას ერთობლივ შეხვედრაში და ქართველების დანახვაც კი არ შეეძლო. ჩვენთან ერთად მაგიდასთანაც კი არ ჯდებოდა. ქართულის გაგონებაზე კი დეპრესიაში ვარდებოდა. ერთი კვირის შემდეგ იგი მდგომარეობიდან გამოვიდა და ქართველი ჟურნალისტებისგან ინტერვიუ აიღო. ეს იყო უდიდესი მიღწევა, მასში ნდობის ჩასახვა. ესაა მთავარი, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით. გვინდა, აფხაზური საზოგადოება ღია იყოს. წლების მანძილზე ჩვენ ეს ვერ შევძელით. აფხაზური საზოგადოება კი საკუთარ თავში ჩაიკეტა და ხსნის გზას რუსეთში ხედავს. სამწუხაროდ, ჩვენ გავხადეთ ისინი იძულებულნი, რუსეთისკენ წასულიყვნენ! ჩვენ თვითონ მოვჭერით ის ტოტი, რომელზეც ვისხედით!

ლაკერბაიასგან ხშირად გამიგია, ვიცით, რომ რუსეთი ჩვენთვის "მგელია", მაგრამ საქართველო "ვეფხვიაო".

ჩემი აზრით, ათი წელი ჩვენ მათ მხოლოდ ვემუქრებოდით, იმის ნაცვლად, რომ "Вскрыть эту консервную банку и открыть им мир, чтобы показать им, что мир это не только Россия!".

აი, ასე უნდა მოვქცეულიყავით. ის 16 ადამიანი, ვინც მონაწილეობს ჩვენს პროექტში, ახლა სულ სხვა ხალხია და მოვლენებს სხვაგვარად უყურებს და აფასებს.

**- თქვენ ხშირად ჩადიხართ სოხუმში, როგორი განწყობაა ქართველების მიმართ?**

- უნდა აღვნიშნო, რომ სოხუმში რუსული პრესის საშინელი გავლენაა. იქ საშინელი ამბები მესმის ხოლმე ჩვენი ქვეყნის შესახებ. ლამისაა დაგვაბრალონ, რომ ქართველები "ბავშვებს ვჭამთ საუზმეზე". იქ არ არის ქართული ტელევიზია, CNN, BBC. არის მხოლოდ რუსული ტელეარხები და იქაური მორჩილი პრესა, რომელშიც საქართველო, რა თქმა უნდა, ცუდი სახითაა წარმოდგენილი. ჩვენ აქ, თბილისშიც კი გვთრგუნავს რუსული ტელევიზიის მოსმენა და იქ, აფხაზეთში, სადაც სხვა არხებს უბრალოდ ვერ უსმენენ, ეს საშინელია. ჩვენც დავაშავეთ, როცა არაფერი გავაკეთეთ სიტუაციის შესაცვლელად. უნდა ყოფილიყო საერთო ტელე და რადიოგადაცემები. ახლა "მწვანე ტალღა" ცდილობს იქაურ რადიოსადგურ "სომასთან" თანამშრომლობას, მაგრამ რატომ მხოლოდ ახლა, როდესაც შეიძლებოდა ბევრი კარგი რამის გაკეთება!

ჩემი შთაბეჭდილებით, ახალგაზრდობას ძალიან აინტერესებს თბილისში მიმდინარე მოვლენები. მათ აინტერესებთ, თუ რა ხდება ქართულ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საერთოდ, როგორ ვცხოვრობთ თბილისში. როგორი შეიძლება იყოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მომავალი. უფროსი ასაკის ადამიანებს უფრო მწარედ ახსოვთ ომი. მათში ომმა გაცილებით უფრო დიდი კვალი დატოვა და ის ჯერ ბოლომდე არ მოშუშებულა. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არის ურთიერთგაგების რესურსი. როდესაც სოხუმში, მაღაზიაში რამეს ვყიდულობ და გულახდილად ვეუბნები, რომ ვარ ქართველი, რომელიც ჩამოვედი თბილისიდან და მინდა მათთან საუბარი, ზურგს არავინ მაქცევს. პირიქით, მეკითხებიან, რა ხდება ჩვენთან ახალი? ხშირად იგონებენ ქართველ მეზობლებს, მეგობრებს, აინტერესებთ, სად არიან ისინი, როგორ არიან. შეიძლება ითქვას, რომ იქ დიდია ინტერესი, მაგრამ დიდია შიშიც, რადგან ხალხი ოფიციალური ხელისუფლების დიდ ზე-



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*მარგარიტა ახვლედიანი: "ჩემი შთაბეჭდილებით, ახალგაზრდობას ძალიან აინტერესებს თბილისში მიმდინარე მოვლენები."*

ბიბლიური თემა მინიერად



B3

ჩემპიონთა ლიგა დაიწყო



B4

საქართველოს სახელმწიფო დროშა შუასაუკუნეების სოხუმის თავზე



B7

მის საქართველო

# ფინალისტები



თაკო ასათიანი



ნინო გაბელაია



ნატო ხინთიბიძე

ირმა ბარიქაძის ფოტოები

**თაკო ასათიანი:**
**"მოდელობა ყოველთვის იოლი მეგონა, თურმე ძალიან ძნელი ყოფილა".**

18 წლის; სიმაღლე 170 სმ; 93-69-84

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი.

მიაჩნია, რომ სილამაზის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

გატაცება - მანქანის მართვა.

**- შენი ყველაზე დიდი ოცნება?**

- მქონდეს მანქანების კოლექცია.

**- რამდენი გყავს?**

- ახლა არც ერთი, მაგრამ ძალიან მინდა.

**- განსაკუთრებით რომელი მანქანა გიყვარს?**

- ძალიან მიყვარს "ლამბორჯინი".

**- რამდენად რეალურია შენი ოცნება?**

- თუ საქმიანი ადამიანი გავხდები, რატომაც არ მეყოლება.

**- "მის საქართველო" თუ გახდები "ტოიოტაც" გეყოლება....**

- კი, "ტოიოტაც" მინდა, მომწონს.

**- მანქანების კოლექციაზე თუ ფიქრობ, მოდელობა რამ გადაგაწყვეტინა?**

- ყოველთვის მომწონდა მოდელობა და მინდოდა, მაგრამ წელს პირველად მოვხვდი და მიხარია.

**- მოხვდი შემთხვევით თუ აქამდეც გიცდია?**

- შემთხვევით, მეგობარს გავყევი კასტინგზე. ისე მოხდა, რომ ის დარჩა და მე ამირჩიეს.

**- რამდენად სპორტული ხარ?**

- მიყვარს ცურვა და ფეხბურთის ყურება.

**- ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობდი?**

- იტალიას.

**- ყველაზე მეტად რითი დაგამახსოვრდება კონკურსის მოსამზადებელი პერიოდი?**

- გავიცანი ძალიან ბევრი გოგო. დავმეგობრდით. მოდელობა ყოველთვის იოლი მეგონა, თურმე ძალიან ძნელი ყოფილა და ეს ყველაფერი აქ გავიგე. კიდევ იმით დამამახსოვრდება, რომ მთელი ზაფხული თბილისში გავატარე.

**ნინო გაბელაია:**
**"ადამიანი, თუკი მოინდომებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს".**

17 წლის. სიმაღლე 180 სმ. 81-62-90

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი.

საკუთარ თავს ახასიათებს როგორც პატიოსან და მიზანდასახულს.

სურს გახდეს განთქმული მხატვარ-დიზაინერი და ჰქონდეს საკუთარი სახელოსნო.

მისი საყვარელი გამოთქმაა: "მთავარია, მოინდომო და ყველაფერი გამოგივა".

**- აკადემიაში რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?**

- წელს ჩავაბარე მოდელირების ფაკულტეტზე.

**- საკუთარ თავს ახასიათებ როგორც პატიოსან ადამიანს. როგორია შენთვის პატიოსანი ადამიანის სახე?**

- პატიოსანი - თავმდაბალი, ყურადღებიანი და რა ვიცი, რასაც გულისხმობს პატიოსნება.

**- ბევრს ხვდები ცხოვრებაში ასეთ ადამიანს?**

- არა და ძალიან გული მწყდება. ძალიან იშვიათად მხვდებიან პატიოსანი ადამიანები.

**- საერთოდ, ბევრ ადამიანთან გიწევს ურთიერთობა?**

- კი, საკმაოდ.

**- როგორ ფიქრობ, რომელია ყველაზე ცუდი თვისება, რომელიც გაღიზიანებს იმ ადამიანებში, ვისაც ხშირად ხვდები ცხოვრებაში?**

- ყველაზე მეტად მაღიზიანებს მეტიჩარა ხალხი.

**- ძირითადად, გოგონებს გულისხმობ?**

- არა, უფრო მასაა ასეთი. რა თქმა უნდა, არიან კარგებიც, მაგრამ უფრო მეტი ასეთია...

**- რაც მოგინდომებია ცხოვრებაში, ყველაფერი გამოგსვლია?**

- კი. ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანი, თუკი მოინდომებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს.

**- მონდომებაში რას გულისხმობ?**

- ადამიანმა უნდა გააკეთოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

**- რამდენად დიდი შანსი გაქვს მოხვდე "მის საქართველოს" გამარჯვებულებს შორის?**

- მგონი, მაქვს შანსი. მთავარია, როგორ წარმოვაჩენ საკუთარ თავს.

**- გიფიქრია, რა შეიძლება მოხდეს იმ დღეს ისეთი, რომ ვერ შეძლო შენი შესაძლებლობების რეალიზაცია.**

- არაფერს არ მივაქცევ ყურადღებას და მაქსიმალურად შევეცდები, ბოლომდე დავიხარჯო.

**ნატო ხინთიბიძე:**
**"ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ყველაფერი, რაც საქართველოშია".**

19 წლის. სიმაღლე 175 ს. 87-65-92

სწავლობს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო საქმეზე.

ოცნებობს გახდეს განთქმული მოდელი და მომღერალი.

სურს იმოგზაუროს ვენეციაში, მაგრამ ცხოვრებას საქართველოს გარდა არსად ისურვებდა.

**- ახლოს ხარ პროფესიულ სცენასთან თუ, უბრალოდ, გიყვარს მუსიკა?**

- ხუთი წლიდან სცენაზე ვარ. ორი წელიწადი რუსეთშიც ვმღეროდი.

**- გაქვს ჩანაწერები?**

- გამოცემული არა, ისე, ჩანაწერები მაქვს გაკეთებული.

**- სიმღერებს თვითონ წერ?**

- არა, არც მიცდია. სიმღერებს სხვადასხვა კომპოზიტორები მიწერდნენ. ასევე, ვმღეროდი სხვა მომღერლების სიმღერებსაც.

**- ძირითადად, რა სტილის იყო ეს სიმღერები?**

- თანამედროვე, საესტრადო.

**- ქართველი მომღერლებიდან თუ მოგწონს ვინმე?**

- გამორჩეულად არავინ.

**- უცხოელებიდან?**

- არც უცხოელებიდან.

**- რატომ გინდა მაინცადამაინც ვენეციაში მოგზაურობა?**

- იმიტომ, რომ ყველაზე გამორჩეული ქალაქია.

**- ამბობ, რომ საქართველოს გარდა ვერსად იცხოვრებ. რატომ?**

- იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ყველაფერი, რაც საქართველოშია.

**- და რა არ მოგწონს საზღვარგარეთ?**

- იქაური ცხოვრების წესი.

**- რას გულისხმობ?**

- ძალიან თავისუფლად ცხოვრობენ.

**- აქ არ ცხოვრობენ ძალიან თავისუფლად?**

- ზოგიერთი კი, მაგრამ მასა არ არის ასეთი.


საჩუქრის ახალი ფორმა!

გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.

ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# დელეგაცია "პატარა პომპეიში"

## დედოფლის გორაზე არქეოლოგიური გათხრები განახლდა

ვერა ნეფარიძე

*დედოფლის გორა საქართველოში უნიკალური არქეოლოგიური ძეგლია, სადაც აღმოჩენილია ანტიკური ხანის სამეფო სასახლე; ამიტომ მას არქეოლოგები ხშირად "პატარა პომპეიდაც" მოიხსენიებენ. კულტურული მემკვიდრეობის ეს უნიკალური ნიმუში და 13 წლის შემდეგ დედოფლის გორაზე განახლებული არქეოლოგიური გათხრები გუშინ თბილისიდან ჩასულმა დელეგაციამ ინახულა.*

დედოფლის გორა ქარელის რაიონში, სოფელ დოღლაურის ტერიტორიაზე მდებარეობს. ლეგენდის მიხედვით, აქ თამარის ლაშქარს შეუსვენია და ეს გორაც მათი ფეხსაცმლის ტალახს დაუტოვებია. რასაკვირველია, ეს ლეგენდაა მხოლოდ. პირველი დასახლება კი იქ, 7 ათასი წლის წინათ გაჩნდა. დღეისათვის, დედოფლის გორაზე აღმოჩენილი სასახლის ნანგრევები ერთადერთია საქართველოში, რომელიც ანტიკური დროიდანაა შემორჩენილი.

უნიკალურ არქეოლოგიურ ძეგლს 70-იან წლებში (უფრო ზუსტად კი, 1972 წელს) სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია, როდესაც დედოფლის გორიდან ოთხი კილომეტრის მოშორებით (ამჟამად ესაა სოფლების: წვერისა და არდენის ტერიტორიები) აღმოაჩინეს სატაძრო კომპლექსი. "ქართლის (მაშინდელი იბერიის) მეფეთა საგვარეულო სამლოცველო ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნეში ერთიანი გეგმით აშენებული უზარმაზარი სატაძრო კომპლექსი ყოფილა. ტაძრები მოხატული იყო. ტაძრებისა და კარიბჭეების გარეთ გახსნილი პორტიკების სვეტებს კეთილი ჩუქურთმით მდიდრულად შემკული ქვის კაპიტელები აგვირგვინებდა", - ჩატარებული სამუშაოების შედეგად გვამცნობს არქეოლოგების მიერ შედგენილი საინფორმაციო ტექსტი დედოფლის გორის შესახებ. როგორც ირკვევა, მოსახლეობისთვის საუკუნეების განმავლობაში ეს ადგილი იმდენად წმინდა იყო, რომ 30-იანი წლების კოლექტივიზაციამდე გუთანი არ გადაუტარებიათ. სამწუხაროდ, ამ საშიშროებას მაინც ვერ გაექცნენ არქეოლოგები: მოსახლეობამ ეს ტერიტორია 1993 წელს მაინც მოხნა. ამჟამად დედოფლის მინდორზე გაჩერებულია არქეოლოგიური გათხრები. თუმცა, როგორც დედოფლის გორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს - იულონ გაგოშიძეს შეჰპირდა ქარელის რაიონის გამგებელი მალხაზ კორკოტაძე, რაიონის ხელმძღვანელობა ამ პრობლემას აუცილებლად დადებითად გადაჭრის. ამჟამად კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე მიმდინარეობს (აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოები დოღლაურის მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროა).

არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე 13 წლის წინათ შეჩერდა. შედეგად, ძეგლი გაძარცვის საშიშროების წინაშე დადგა. მაგრამ, წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიური გათხრები დააფინანსა. როგორც არქეოლოგები ამბობენ, ესაა პირველი შემთხვევა 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაოდ გარკვეული თანხა მიიღო. ამ შემთხვევაში, თანხა შესაძლებელია, არც ისე კოლოსალური მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მთავარია პრეცედენტი და პერსპექტივა - სამინისტრო დედოფლის გორაზე არქეოლოგიურ სამუშაოებს ისევ დააფინანსებს. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს გათხრილი ფართობისა და ჭრილების გრაფიკული და ფოტოფიქსაცია, ნაპოვნი ნივთიერი არქეოლოგიური მასალის პასპორტიზაცია და დამუშავება, რაც არსებულ სიტუაციაში ძეგლის დაცვის საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული. სამომავლოდ კი დედოფლის გორაზე ჩაფიქრებულია მუზეუმის ამოქმედება.

მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს ელის ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის დასაწყისში აგებული სამსართულიანი სასახლე (აღმოჩენილია 12 ოთახი), რომელსაც 3 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი ეჭირა (აქვე ნახავთ ანტიკური ხანის ფურნეს). სასახლის ორი სართული თურმე ქრისტეს შობიდან ოთხმოციან წლებში უეცარმა ცეცხლმა შეიწირა. როგორც არქეოლოგებმა გვითხრეს, ხანძარი ეტყობა ისეთი სწრაფი იყო, რომ ვერაფრის გადარჩენა ვერ მოასწრეს. თუმცა, მათ ჯერჯერობით არც დამწვარი ადამიანის ნაშთები აღმოუჩენიათ.



*სტუმრად დედოსფლის გორაზე*



*ანტიკური სასახლის ნანგრევები*

ვახო ბესელიას ფოტოები

1985-1993 წლებში მიმდინარე გათხრების შედეგად ნაპოვნ ნივთებს შორისაა: ლითონის, ხისა და ძვლის ავეჯი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი - საჭურველი, თიხის, მინისა და ლითონის ჭურჭელი, სამკაული, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, კამათლები და სათამაშო კოჭები, ძვლის გრავირებული სათამაშო - სამკითხაო ფირიტებიც კი. აღმოჩენილ ნივთებს შორის აღსანიშნავია "დიპლომატიური საჩუქარი": ვერცხლის ბეჭედში ჩასმული ღვინისფერი გრანატის თვალი, რომელზეც ქრისტეს შობამდე მესამე საუკუნის ეგვიპტის დედოფლის არსინოე მეორის პორტრეტია ამოკვეთილი. ექსპონატების ნაწილი თბილისში, ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში, ნაწილი კი ქარელის რაიონის მუზეუმში ინახება. როგორც არქეოლოგები ამბობენ, დედოფლის გორის სასახლეში უფრო მეტია ნაპოვნი ბრინჯაოს იტალიური ჭურჭელი, ვიდრე მთელ დანარჩენ საქართველოში.

ათწლეულების განმავლობაში აქ არქეოლოგიურ გათხრებს ჯანაშიას სახელობის სახემწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იულონ გაგოშიძე ხელმძღვანელობს. მისი თქმით, ამ დროისათვის არქეოლოგების ჯგუფმა დედოფლის გორაზე ტერიტორიის ერთი მეხუთედის გათხრა მოახერხა. უახლოეს დღეებში (10-12 დღეში) ფინანსების ამოწურვის გამო, სამუშაოები დროებით შეჩერდება და ის, სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს გაგრძელდება. ამის გარანტია არქეოლოგებს გუშინდელმა დელეგაციამაც მისცა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან (დედოფლის გორას სტუმრობდნენ: მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩეიშვილი, რეგიონალური დეპარტამენტის დირექტორი პაპუნა დავითაია, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პაატა დავითაშვილი და სამინისტროს რეგიონალური კოორდინატორი რობერტ მაღლაკელიძე) ერთად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლზე ზრუნვის სურვილი ადგილობრივმა ხელმძღვანელებმაც - ქარელის რაიონის გამგებელმა (მალხაზ კორკოტაძე) და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის წარმომადგენელმაც გამოთქვეს.

# შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის პრობლემისათვის

თემურ ხუციშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი

როგორც ცნობილია, გრიგოლ ხანძთელისა და მის მოწაფეთა მიერ VIII-IX საუკუნეებში აშენებულ თუ განახლებულ მონასტრებს, სახელდობრ, კლარჯეთის თორმეტ სავანეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო "საქართველოს სინაი" ეწოდა. შატბერდი ამ თორმეტშიც გამორჩეულია: იგი უშუალოდ გრიგოლ ხანძთელმა ააგო ბაგრატ I კურაპალატის შემწეობით; აქ მოღვაწეობდნენ იოანე-ზოსიმე, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმინდელი; აქ გადაიწერა შემონახულთაგან უძველესი "მოქცევაი ქართლისაი"; ადიშის, ჯრუჭის, პარხლის სახარებები; უდაბნოს მონასტრის მრავალთავი და ბევრი სხვა დღემდე დაცული ხელნაწერი ("შატბერდის კრებული").

ცნობილი მიზეზების გამო ტაო-კლარჯეთის და კერძოდ კლარჯეთის თორმეტი სავანის შესწავლა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა შესაძლებელი. ტაძრების იდენტიფიკაცია და შესწავლა გიორგი ყაზბეგის 1874 წლის მოგზაურობიდან დაიწყო, ოპიზის აღწერით. შემდგომ დიმიტრი ბაქრაძემ (1879 წ.) ოპიზაც აღწერა და დოლისყანაც, რომელიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, შეცდომით შატბერდად მიიჩნია. კლარჯეთის სავანეთა შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ნიკო მარის 1904 წლის ექსპედიცია, რომლის შემდეგაც დადგენილ იქნა მიძნაძოროის, ბარეთელთას, პარეხისა და მერეს ადგილმდებარეობა. ნიკო მარმა შატბერდად ქვემო ფორთაში მდებარე სამონასტრო კომპლექსი მიიჩნია, რომელიც შემდგომში ხანძთა აღმოჩნდა.

სხვადასხვა დროს ტაო-კლარჯეთის ძეგლებს სწავლობდნენ მ. ბროსე, ი. ზდანევიჩი, ნ. სარგისიანი, ე. თაყაიშვილი, ვ. ჯობაძე, ვ. ბერიძე, პ. ზაქარაია, ჟ-მ და ნ. ტიერები, ბ. ბაუმგარტნერი, დ. ხოშტარია და სხვები. ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან; თურქეთის ტერიტორიაზე ეწყობა მრავალი ექსკურსია და ექსპედიცია, აღიწერება და ფიქსირდება არქიტექტურის ძეგლები, მუშავდება შესაბამისი საინფორმაციო და სამეცნიერო ლიტერატურა.

დღესდღეობით იდენტიფიცირებულია კლარჯეთის თორმეტივე სავანე, მათგან ზოგი (მერე, ბერეთელთა) გამქრალია და მხოლოდ ტოპონიმებიღაა შემორჩენილი, ხოლო უმრავლესობა ნანგრევების სახითღა არსებობს. თუ თერთმეტი სავანის ადგილმდებარეობა ეჭვს აღარ იწვევს, შატბერდის მდებარეობის საკითხი - ჩვენი აზრით - მაინც სათუოდ რჩება. შევეცდებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

საკითხით დაინტერესებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ შატბერდი არტანუჯის აღმოსავლეთით "ენი-რაბათად" წოდებული ლონგოთხევის (თანამედროვე Bulanik) ეკლესიაა. (ეს ჯვარგუმბათიანი ეკლესია კარგადაა შემონახული და დაწვრილებითაა შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის დავით ხოშტარიას მიერ). 2004 წლის აგვისტოში "ქართუ ჯგუფისა" და "გია ქავთარაძე და პარტნიორების" ფინანსური დახმარებით ტაო-კლარჯეთში განვახორციელეთ რიგით მეექვსე საძიებო ექსპედიცია, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო შეგვემოწმებინა პავლე ინგოროყვას ჰიპოთეზა არტანუჯის დასავლეთით, შაგორასთან, შატბერდის მონასტრის ნანგრევების არსებობის შესახებ. (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ 316-318). ცნობები ამ ადგილებში ეკლესიის ნანგრევების შესახებ ჰქონდათ თურქ მკვლევარებსაც. ოსმან აითექინის მიხედვით "ოქუმუშლარის (ბოსელთას) სოფლის ეკლესიის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, შუა საუკუნეების ძეგლია, ბაგრატოვანთა ეპოქაში აგებული" (Aytekin, Osman "Orta◊a ‘dan Osmanl1 dQnemi sonuna kadar Artvin ‘deki mimari eserler", Ankara, Kqltqr Bakanl11, 1999, გვ. 281). ამ ძეგლის შესახებ ისაუბრა მ. ქადიროღლუმაც თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, 2003 წელს გამართულ შეხვედრაზე, მაგრამ საქართველოში იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ენი-რაბათის შატბერდობაში, რომ შატბერდს აღარც კი ეძებდნენ.



*შატბერდის მონასტერი ბოსელთას ციხის ფონზე.*

2004 წლის 19 აგვისტოს, არტანუჯის მცხოვრებლების დახმარებით, ექსპედიციის წევრმა ვიქტორია ბილოუსენკო-შტორმმა და ამ სტრიქონების ავტორმა მიაკვლიეთ დიდი სამონასტრო ნაგებობის კვალს, რომელიც მდებარეობს არტანუჯის დასავლეთით, სოფელ აგარასა (Aillar) და სოფ. ბოსელთას (Okumu_lar) შორის, ღრმა ხეობაში. ჩვენი აზრით, სწორედ აგარასთან არსებული ნანგრევებია შატბერდის მონასტერი.

მოვიყვანოთ არგუმენტები:

1. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ზუსტადაა აღწერილი მარშრუტი, რომლითაც გრიგოლ ხანძთელმა და სამეფო ოჯახმა მოინახულეს კლარჯეთის სავანეთა ნაწილი. "...წინა წარმოუძღუა (გრიგოლ ხანძთელი) მთავართა მათ (ბაგრატ I-სა და მის ძმებს) და პირველად მიიყვანნა შატბერდს... და რაჟამს წარმოვიდეს შატბერდით ხელმწიფენი იგი... მოიწინეს ჯმერკს და ბერთას... და დაბას... და მოილოცნეს წმიდანი ადგილნი... და მოიწინეს ოპიზას... და წარემართნეს ხანცთად...". პირველწყაროს მიხედვით მარშრუტი ასეთია: არტანუჯი-შატბერდი-ჯმერკი-ბერთა-დაბა-ოპიზა-ხანძთა.

თუ შატბერდი აგარასთანაა, გრიგოლ ხანძთელისა და სამეფო ოჯახის გზა ფრიად რაციონალურად გამოიყურება. აქედან უახლოესი სავანე ჯმერკია;

2. აგარასთან ჩვენ მიერ დაფიქსირებულია და მიახლოებით აზომილია დიდი სამონასტრო კომპლექსი. (დღემდე შემორჩენილია: ა) 30-15 მ-ის ზომის ჯვრის გეგმის მქონე დიდი ტაძარი; საკურთხევლის აბსიდის სიმაღლე 6-7 მ-ია; ბ) სატრაპეზოს 25 მ. და 15 მ. სიგრძის კედლები; გ) სენაკი ზომებით 4X6 მ. (დარჩენილია სამი კედელი); დ) სენაკის ნაშთები (დარჩენილია 4 მ. სიმაღლის კუთხე); ე) მოშანდაკებული ადგილი 30-30 მ-ის ზომებით).

3. პირველადი ანაზომებისა და ფოტომასალის გაცნობის შემდეგ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დიმიტრი თუმანიშვილი აღნიშნულ ტაძარს IX-X საუკუნეებში აშენებულად მიიჩნევს. კედლის წყობა და მოპირკეთება "...უფრო X საუკუნეზე უნდა მიგვანიშნებდეს... განახლება ხომ, გიორგი მერჩულის უტყუარი ცნობით, X საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა". (ეს მოსაზრება მოყვანილია მკვლევარის ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ ხელნაწერში);

4. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, "შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...". რუკაზე ჩანს, რომ შატბერდი დანარჩენი მონასტრების ზონას, მართლაც, მცირედ დაშორებულია;

5. შატბერდთან უნდა ყოფილიყო სამეურნეო სავარგულები, რათა ბერებს მოსავალი მოეყვანათ, რადგან ხანძთასთან "...სათესავი ყანაი და სათიბელი ქუეყანაი რაითურთით არა არს..." ...და რის გამოც აშოტ კურაპალატმა "...შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა". ნამონასტრალთან ახლოს, სოფ. აგარის ქვევით, ადგილთან, რომელსაც ვაზისხევი ჰქვია (ალ. ჯავახიშვილის 1932 წლის რუკა), კილომეტრზე მეტი სიგრძის ნაყოფიერი მიწაა, რომელიც ირწყვება და სადაც ახლაც ბაღებია გაშენებული. ნამონასტრალთან ახლოს არის სოფელი ბოსელთა (Okumu_lar), რაც შეიძლება აგრეთვე მიუთითებდეს მეურნეობის (ბოსლების) არსებობაზე;

6. საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრება: "საგეოგრაფიო სახელად გვხვდება "აგარა"-ც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. "აგარა", როგორც ეტყობა, სოფელზე ყოფილა დაკავშირებული; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მაგ. აღნიშნულია, რომ აშოტ კურაპალატმა "შეწირნა... შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა" (გვ. იზ);" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1983, გვ. 15);

7. თ. ჟორდანიას 1890 წელს ჩაწერილი აქვს მესხეთის მხარეთა კარგი მცოდნის გრიგოლ გურიელის ცნობა, რომ "სოფელი **შახბედი** მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მთაზედ" (იხ. ქრონიკები, I, გვ. 97)" (ციტირებულია პ. ინგოროყვას წიგნიდან "გიორგი მერჩულე", თბილისი, 1954, გვ. 318).

ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა ხეობას, სადაც ნამონასტრალია, **"შარბეთს"** ("^arbet") უწოდებს. შესაძლებელია ეს მსგავსებები "შატბერდთან" შემთხვევითია, მაგრამ, ალბათ, მაინც საყურადღებო დამთხვევაა;

8. ტოპონიმი "შატბერდი" კომპოზიტია და შედგება "შატ" და "ბერდ" ნაწილებისგან. ლურსმულ დამწერლობაში (კერძოდ ბაბილონურ-ასურულში) მარცვლების "შატ", "შად",... "მად" გადმოსაცემად გამოიყენებოდა ნიშანი, რომელსაც მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის "მთა" (გ. მელიქიშვილი, "როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები", თბილისი, 2004; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, გვ. 455, "სოლისებრი დამწერლობა").

"ბერდი" *b[h]er[h] - როგორც ინდოევროპულ, ასევე ახლოაღმოსავლურ არაინდოევროპულ ენებზე, (მაგ. ურარტული burgana, სირიული bkrg) ნიშნავს "სიმაგრეს", "ციხესიმაგრეს". (Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, стр. 744, 745).

ამრიგად, "შატბერდი" ბაბილონურ-ასურულ-ურარტულზე ნიშნავს - "მთისციხეს". ეს ენობრივი მონაცემები გარკვეული მინიშნება შეიძლება იყოს, რადგან ნამონასტრალი **მთის** თხემზე აგებულ **ციხესთან** მდებარეობს.

მოყვანილი არგუმენტები აგარასთან არსებული დღემდე უსახელო ნამონასტრალის შატბერდთან იდენტიფიკაციის საშუალებას გვაძლევს.

თუ ქართველ მეცნიერებს თურქ კოლეგებთან ერთად შატბერდის ნამონასტრალის გათხრისა და შესწავლის საშუალება მიეცემა, შეიძლება მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენის მოწმენი გავხდეთ.

# ბიბლიური თემა მიწიერად



ზღვის ლომები. კუნძული სანტა ფე. ეს პატარა ლომი ჩემს თვალწინ გაჩნდა. დილის ექვსი საათი იყო. ნამშობიარებ ზღვის ლომს თავს ქორები დაესხნენ, ისინი პლაცენტას გატაცებას ცდილობდნენ, მაგრამ დედამ ქორების დაფრთხობა მაინც შეძლო.



ზღვის იგუანა. კუნძული რაბიდა. ისინი მეგობრულები და მიმტევებლები არიან. პელიკანები ტანზე უნისკარტებენ, მაგრამ ისინი არაფერს იმჩნევენ, ზღვის ლომები კუდზე ეთამაშებიან, მაგრამ იგუანები მაინც არ ბრაზდებიან.

თამარ ბაბუაძე

გასული საუკუნის 80-იანი წლები. ბრაზილია კვლავაც საშინლად განვითარებადი თუ განსავითარებელი ქვეყანაა. ე.წ. "გარიმპეიროები", ღატაკი ბრაზილიელები ტალახიან შახტებში ოქროს ეძებენ - უიმედობაში იმედს, სასოწარკვეთაში ნატვრის თვალს, გარიყვაში ერთად დგომას, მოკლედ, სიბინძურეში სიწმინდეს. ერთი მელოტი კაცი კი ამ დროს განზე დგას, აკვირდება და ფოტოაპარატით ყველაფერს იღებს. კადრები შავ-თეთრია, მაგრამ არ ვიცი, ქაღალდის ბრალია, თუ მოჭარბებული ტალახის, ფოტოები მაინც მოყავისფრო გამოდის. პორტრეტები და მსხვილი პლანიც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც პანორამები. ყველაფერი იმდენად ნამდვილი და რეალისტურია, რომ თითქოს ფოტოს ზედაპირზე იბურცება ტალახში გაბერილი წყლის ბუშტები, ჭუჭყიანი კენჭები და ადამიანების დაღმეჭილი სახეები; თითქოს ფოტოებს ჟღერადობაც და სურნელებაც მოჰყვებათ და ტალახის ჭყაპა-ჭყუპიც ისმის, სუსხიან ნისლში გაზავებული შახტის სუნიც მოდის.

ჩვენი ფოტოგრაფიის პროფესორი, ლინდა მალეკი სლაიდოსკოპთან დგას და გვეკითხება, რას ხედავთ? იწყება ჯერ ხელის აწევით, კანტიკუნტად გაჩენილი მშრალი ვარაუდები - "ტალახს"; "ყოველი შემთხვევისთვის, ოქროს - არა", მერე კი ფიქრის, ფანტაზიის გაქანების შედეგად უკვე ხელის აწევის გარეშე წამოსროლილი პასუხები - "სიღარიბეს", "შეუპოვრობას", "იმედს", "ძიებას". "ძიებას როგორს?" - ახალი კითხვა. "ძიების ხიბლს", "ძიების აზარტს", "ძიების სევდას", "ძიების ამაოებას" - ვარაუდები ჭრელია და თავისუფალი. მაგრამ ლინდა კმაყოფილია, ჩვენც რაღაც ქვეცნობიერ კომფორტს და აჟიტირებას ვგრძნობთ, ისეთს, გახსნილად ფიქრი რომ განგაცდევინებს ხოლმე. გაკვეთილი მთავრდება და იმ დღეს ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში შემოდის ფოტოს კიდევ ერთი დიდოსტატი, სებასტიაო სალგადო - პორტუგალიურ-ლიტვურ-ებრაული წარმოშობის ბრაზილიელი - ის მელოტი კაცი, რომელმაც ფოტოგრაფიას ბანკირობის შემდეგ 30 წლის ასაკში მოჰკიდა ხელი და რომლის ოქროსმაძიებლებმაც ზოგს ბოსხის "ჯოჯოხეთი" გაახსენა, ზოგს - დანტესი.

ოქროს მაძიებლების გარდა სებასტიაო სალგადოს ასეთივე ემოციურობით კიდევ ბევრი სერია აქვს შექმნილი: მექსიკელი ინდიელები, ლტოლვილი ბავშვები, მიგრანტები, მუშები... და ახლა კიდევ ერთი ახალ პროექტზე მუშაობს.

არტურ მილერი მის ფოტოებზე ამბობს, რომ ისინი ფოტოგრაფის თავგანწირვის აქტს წარმოადგენენ, თვითონ კი დასძენს, რომ ყოველ კადრს მთელი იდეოლოგიით იღებს. თუმცა, ახლახან, სადღაც წავიკითხე, რომ სალგადოს უთქვამს - "რელიგიური საერთოდ არ ვარ". მაშინ, რა არის მისი იდეოლოგია? რჩება შთაბეჭდილება, რომ ადამიანი და თვითონ ჩვენი პლანეტა - დედამიწა - ეს არის მისი შთაგონების წყარო. შესაბამისად, ყოველ რელიგიურ თემას და სიმბოლოს სალგადო "ამიწიურებს".

მის უახლეს პროექტსაც ბიბლიური სახელი აქვს და აი, როგორ ქმნის უკვე არსებული ბიბლიური თემისგან სალგადო საკუთარ ექსკლუზიურ რწმენას:

ის კონტრაქტს დებს გაზეთ "გარდიანთან", რომლის მიხედვითაც ყოველ საკვირაო ნომერში, მთელი რვა წლის განმავლობაში, მისი სერიის რამდენიმე ფოტო უნდა გამოქვეყნდეს. შეთანხმება ასეთია - სალგადომ "გარდიანის" მკითხველს უნდა წარუდგინოს ის უიშვიათესი ადგილები დედამიწაზე, სადაც სიცოცხლე სულ პირვანდელი სახით დღემდე გრძელდება.

ცხადია, სალგადოს გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა იმხელა პატივია, რომ "გარდიანი" ახალ წამოწყებას დიდ რეკლამას უკეთებს. სწორედ ამ საპრომოუტერო პუბლიკაციებიდან ვიგებთ, რომ სებასტიაო სალგადომ სამი თვე გალაპაგოსის კუნძულებზე დაჰყო - იქ, სადაც 169 წლის წინ დარვინი სტუმრობდა და ხვეწდა ევოლუციის თეორიებს. ეს მისი პირველი გაჩერებაა მომავალი რვა წლის მანძილზე, თუმცა, ფოტოგრაფი ამბობს, რომ "დაბადება" მისი უკანასკნელი დიდი პროექტიც იქნება.

მოკლედ, დაბადება - მეორე ბიბლიური სახელი პირველის შემდეგ - Exodus - (ებრაელების გამოსვლა ეგვიპტიდან) ასე ერქვა მის პროექტს მიგრანტების შესახებ. სალგადო ამბობს, რომ მიგრანტებმა მისი რწმენა კაცობრიობის ბუნების შესახებ ეჭვქვეშ დააყენა. მან ხომ უამრავი გაჭირვება, სიღატაკე და სიძნელე ნახა, რისი გადატანაც ადამიანებს ერთმანეთის გაუტანლობის და სიცუდის გამო უხდებათ. "ღრმა ჭრილობა მივიღე. ნანახმა და განცდილმა შემზარა. უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩავვარდი." - ამბობდა მაშინ სალგადო და ეძებდა გზას, რომ ადამიანის მიმართ რწმენა აღედგინა. და ასე გაჩნდა დაბადება.

დიახ, ჩვენ უკვე გავანადგურეთ პლანეტის რესურსების 50 პროცენტი, მაგრამ სალგადოს სურს, ფირზე გადაიტანოს ის, რაც ჯერ კიდევ დაგვრჩა და დაგვანახოს, რომ მასზე ზრუნვაა საჭირო. მოკლედ, ფოტოგრაფი უკვე დაბადებულის, ღმერთის მიერ შექმნილის რეინკარნაციას ახდენს, და 21-ე საუკუნის ადამიანის ტერაქტებსა და ცათამბჯენებზე მიყინულ მზერას პირვანდელი სამყაროსკენ მიაპყრობს ხელახლა.

აქ არიან გიგანტური კუები, რეპტილიები, თევზები, იგუანები, ზღვის ლომები, უძველესი მცენარეები. "გარდიანი" მოგვახსენებს: " ეს ყველაფერი იმდენად არარეალურია, იმდენად პრეისტორიულია, რომ სპილბერგის იურიული პერიოდის პარკი გვახსენდება. თუმცა, სალგადოს სულ სხვა რამის თქმა უნდა. ის გვიმტკიცებს, რომ ეს არსებები ნამდვილები არიან, და რომ ისინი გადარჩნენ და ცოცხლობენ მხოლოდ იქ, სადაც ადამიანის ხელი არ ჩაერია".

სრულ პრეისტორიულ ყოფაში ფოტოგრაფმა მთელ სამ თვეს იცხოვრა (თუმცა, ეს მისი ჩვევაა - ყოველთვის ცდილობს, იმ გარემოს ნაწილი გახდეს, რაც ფირზე გადააქვს). სალგადო იხსენებს: "ერთხელ გიგანტური კუს პირისპირ აღმოვჩნდი, რომელიც, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, დარვინის ვიზიტის დროსაც, 170 წლის წინ, ცოცხალი იყო და იქ ცხოვრობდა. ვიდექი და ვიღებდი ამ გიგანტურ არსებას. ისიც გაუნძრევლად იდგა და ისე მედიდურად მიყურებდა, როგორც 200-წლიანი გამოცდილების მქონე კუს შეუძლია, მხოლოდ გამოგხედოს... იგუანებმა და ზღვის ლომებმა უფლება მომცეს, მათ სივრცეში გავრეულიყავი, ეს, მართლაც, ფანტასტიკური იყო".

გალაპაგოსის ნაციონალური პარკის ხელმძღვანელობამ სალგადოს სრული უფლება მისცა, კუნძულებზე ნებისმიერი კუნჭული მოენახულებინა. მართალია, იქ ტურისტებს და მეთევზეებს ისედაც უშვებენ, მაგრამ სალგადოსავით - არა ყველას. ფოტოგრაფმაც დაიქირავა ნავი და მთელი ამ თვეების განმავლობაში ფრინველებისა და ცხოველების გარდა გვერდით არავინ გაიკარა. ერთი სიტყვით ობიექტივი მოაშორა დიდი ხნის წინ შესწავლილ ობიექტს - ადამიანს და პირვანდელ ბუნებას ჩაუღრმავდა.

ამ ფოტოების ნახვა დროდადრო ყველას შეუძლია გაზეთ "გარდიანის" ოფიციალურ ვებ-გვერდზეც. ისევე, როგორც სალგადოს სხვა სურათებს, მათაც მოჰყვებათ ჟღერადობისა და სურნელების ასოციაცია - ისმის პირველყოფილი ბუნების მდუმარება, იგრძნობა ამოფრქვეული ლავის სიცხე.

სალგადო ამბობს: "გზის ბოლოს, ვხვდებით, რომ ერთადერთი რაც დაგვრჩენია, ჩვენი პლანეტაა. მეც გადავწყვიტე, მომენახულებინა დედამიწის ყველაზე ხელშეუხებელი ადგილები და გადამეღო ისინი ყველაზე გულწრფელი ხერხით, რაც კი ვიცი. ეს კი, რა თქმა უნდა, შავ-თეთრი ფოტოა. ვნახოთ, თუ შევძლებ ამ ფოტოებში ბუნების უბიწოების გადმოცემას". ესეც თქვენი ახალი იდეოლოგია; "დაბადების" - ბიბლიური თემის "გამიწიურება".

მოკლედ, პროექტი გაიხსნა. სალგადო საკუთარ ფილოსოფიას გვთავაზობს, მაგრამ როგორც ნამდვილი ხელოვანი, არ გვზღუდავს და თავისუფალი ფიქრისკენ გვიბიძგებს. ჩვენც ვიფიქროთ მანამ, სანამ ფოტოგრაფი კვლავაც მარტო არ ეწვევა გორილებს აფრიკაში და ვეშაპებს არგენტინაში. დანარჩენს კი მომავალი 8 წელი გვიჩვენებს.



ზღვის იგუანები. კუნძული სანტაფე. დაწყვილების სეზონზე მამრები, როგორც წესი, ჩხუბობენ. მდედრებიც ერთმანეთს კვერცხის დადებისას ედავებიან. დანარჩენ შემთხვევებში ზღვის იგუანები კეთილგანწყობილნი არიან და სხვა ცხოველებთან ერთად ჰარმონიულად ცხოვრობენ.



სკალესია ვილოსა. გალაპაგოსის კუნძულებზე სკალესიას 15-მდე სახეობა და 6 ქვესახეობა ხარობს.



გიგანტი კუები. კუნძული იზაბელა. ეს მამრი კუ, რომელიც 250კგ.-ს იწონის, თავის მეწყვილესთან ერთად განმარტოებულა. მდედრი კუები უფრო პატარა ზომისანი არიან. კოპულაციის პროცესი შეიძლება, რამდენიმე საათს გაგრძელდეს.



სხვა რეპტილიების მსგავსად, ზღვის იგუანა ექთოთერმული არსებაა და საკუთარი სხეულის ტემპერატურა თვითონ უნდა არეგულიროს. როგორც კი მზე ამოდის, ის ძირს წვება და მზეს ეფიცხება. როცა სხეულის ტემპერატურა 35.5 ცელსიუსს აღწევს, იგუანა გვერდს იცვლის, რომ არ გადახურდეს. ცურვის, მოძრაობის და საჭმლის მონელებისთვის, იგუანას სხეულის მაღალი ტემპერატურა სჭირდება.

სამსონ ლეჟავას სვეტი

## ტრადიციული ქართული მუსიკის კრიზისი, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა



ტრადიციული ქართული სიმღერის ფასეულობის ფორმალური აღიარების (თავისი მრავალხმიანობის ფორმებით, განსაკუთრებული ჰარმონიული, მელოდიური და რიტმული მახასიათებლებით) მიუხედავად, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მისი ხვედრითი წილი მიზერულია.

ამის უპირველეს მიზეზად მასმედიის გულგრილობაც უნდა ჩაითვალოს, რომელმაც ლომის წილი დაუთმო უსულგულო და უგვან ფსევდო-მუსიკას, თავისი გარეგნული აქტიურობით, ყალბი ეფექტურობითა და ვითომ - თავისუფლებით. მთელი ეს ვაკხანალია უკვე ჩვეულ მოვლენად იქცა, რომლის გარდუვალობაში თანდათანობით რწმუნდება ახალი თაობა. მას მეტწილად ამ გზით მიეწოდება ინფორმაცია მუსიკაზე, რის გამოც მსგავს სატყუარას უკვე საკუთარი სულიერი სამყაროს ნაწილად აღიქვამს. კულტურის პოლიტიკის თვალსაზრისით ეს მახინჯი მოვლენა სავალალოა, ვინაიდან ჩვენს ახალ თაობას წარმოდგენა ესპობა ჭეშმარიტ მსოფლიო და ეროვნულ კულტურულ მონაპოვრებზე. არსებითად, მას მიეწოდება ცრუ უწყება ამის შესახებ, რომ ყველაზე უარესის გარდა, თუნდაც მუსიკაში, არაფერი არსებობს. ამ გზით ქრება არჩევანის შესაძლებლობა, და აუცილებელი "სულიერი მინიმუმიც" კი ცნობიერების მიღმა რჩება, შედეგად კი ნადგურდება თაობათა შორის ინფორმაციის უწყვეტობა.

მოკლედ, კულტურის მიმართ ბერლინის ოდიოზურ კედელზე გაცილებით ყრუ კედელია აღმართული, ხოლო ჭუჭყიანი, ეკოლოგიურად მავნე "პროდუქცია" წარღვნასავითაა მომსკდარი. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანმა თავად განსაზღვროს (თუნდაც ტელეეკრანიდან) სხვადასხვა ტიპის მუსიკის ავ-კარგი, თავს იჩენს თავისებური იმპერატივი, დიქტატიც კი - თავისი სულიერი ვაკუუმის უალტერნატივობით.

დამეთანხმებით, ვერაფერი დემოკრატიული შემოთავაზებაა!

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი და ამჟამინდელი მიღწევებიც ასეთი მანიპულირების შედეგად ანიჰილაციას განიცდის. ტელეეკრანი ასეთ დროს მასპინძლად გარდასახულ მავნე სტუმრად იქცევა, რომელიც ოკუპაციას უწევს ადამიანთა მენტალობას და აყალიბებს ინტერესთა იმგვარ "სტანდარტებს", რომელნიც კვლავ და კვლავ მწვავედ აქტუალურს ხდის ეგზისტენციალისტთა მიერ ატეხილ მძაფრ განგაშს ადამიანთა მიერ თვითობის ტრაგიკული დაკარგვის გამო.

რაღა გასაკვირია, რომ ჩვენს მასმედიას თითქმის "აღარც კი რჩება დრო" სერიოზული მუსიკისათვის, მათ შორის ტრადიციული სასიმღერო შემოქმედებისათვის. ამიტომ აქტუალურია, რომ სოციოლოგებმა და კულტუროლოგებმა მოახდინონ ამ მოვლენის ფუნდამენტური ანალიზი, მაგრამ საწყისი ამოცანაა უბრალო სტატისტიკური გათვლაც კი, თუ რა ოდენობა ეთმობა მდარეს, და რამდენი ნამდვილს, ღირებულს.

მართალია, რადიო და ტელევიზია პრობლემურ გადაცემებსაც გვთავაზობს, მაგრამ მათი წილი უბრალოდ მინიმალურზე მინიმალურია.

ვერავინ უარყოფს, რომ ტრადიციული ქართული სასიმღერო შემოქმედების ხვედრითი წილის ზრდა ტელეეკრანებზე, მხოლოდ სასიკეთო ზემოქმედებისა იქნება თავისი პოზიტიური როლით მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. მას ხომ ძალუძს ნამდვილ ღირებულებათა მიმართ აღმქმელობის გაფაქიზება. ამ მუსიკას ახასიათებს სამყაროსადმი, მისი კრეატიული ფენომენებისადმი ღიაობა; იგი შვებისა და სიხარულის მომტანია უმაღლეს ჰარმონიასთან მაზიარებლობით, საზრისის დამამკვიდრებელია და ერთგვარი შემწეც. მას ეფექტური თერაპიულობაც გამოარჩევს, რაც ძალიან საგულისხმოა დღევანდელ სტრესულ სიტუაციებში (ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არაა XX ს. დასაწყისში გერმანელი ფსიქოთერაპევტის, მარცინოვსკის მიერ დამკვიდრებული მკურნალობის პრინციპი იდეალებით).

ჩვენი თანამედროვე "შოუბიზნესის" უმეტესობის ზედაპირული "ემოციურობისაგან" განსხვავებით (რომლის "მუსიკაც" მხოლოდ შესრულებისას აღაგზნებს, და დასრულებისთანავე გამოფიტვის გარდა, არაფერს სტოვებს), ტრადიციული ქართული მუსიკის კვალი უაღრესად დადებითი, ღრმა და ხანგრძლივია. არ იქნებოდა სამართლიანი, რომ ამ თვისობრიობის მუსიკაში ჩენილი კრიზისი მხოლოდ ჩვენი სინამდვილისათვის ნიშანდობლივად მიგვეჩნია. ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე რ. კოლინგვუდი მსგავსი "ეკოლოგიურად სუფთა" ხელოვნების დეგრადაციას უკვე XIXს. დასაწყისის ინგლისში ხედავდა, რომელსაც ზედაპირულად "გართობითი" ფორმები ჩაენაცვლა. კოსმოსთან მრავალარხობრივ მიმართებაში მყოფი და მის საიდუმლოებათა გამახმოვანებელ მ. ბუბერს თუ გავიხსენებთ, "მე-შენ" ურთიერთმიმართების მატარებელი, ამ შემთხვევაში მუსიკალური ხელოვნების ფორმები - თანდათანობით დავიწყებას ეძლეოდა საზოგადოების ფართო ფენებში, რომელიც თავის დროზე ამ ტიპის მუსიკის აქტიური თანაშემოქმედი, ინსპირატორი იყო, და არა მხოლოდ "მომხმარებელი".

მაინც რამ განაპირობა ქართულ სინამდვილეში ზემოაღნიშნული ტიპის სამუსიკო კულტურის, როგორც ცოცხალი მოვლენის, დაკნინება?

პირველყოვლისა, ეს უკავშირდება სოფლად სრულფასოვანი, სისხლსავსე, ერთგვარად "ჰომეოსტაზური" დიდი სამყაროს, და მისი მძლავრი კულტურული შემოქმედების ღრმად ურთიერთშეკავშირებულ სფეროთა დამცრობასა და შემდგომ დაკნინებას, რაც უმტკივნეულესი პროცესი იყო და არის ამჟამადაც. ამაში თავისი როლი მნიშვნელოვანწილად ითამაშა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, რომელმაც სოფლის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წარმმართველი ძალის დამღუპველი, ანტიკულტურული და ანტიცივილიზაციური "ვერსიები" შეიმუშავა გლობალური ჰიპერურბანიზაციის პროცესში, ყველაფერი იღონა მისი ათასწლეულთა მანძილზე უწყვეტი, უმდიდრესი სამეურნეო კულტურის მოშლისათვის. ასეთი ვითარება, ცხადია, აისახებოდა სოფლად სულიერი აქტივობის ნაირგვარ გამოხატულებებზე, მათ შორის კი სიმღერაზეც. ერთი მხრივ, საბჭოთა მმართველობა გარეგნულად (რიგ შემთხვევაში იქნებ გულწრფელადაც) ზრუნავდა თუნდაც სამუსიკო "ფოლკლორზე", მაგრამ არსებითად, საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე გულისხმობდა არა მისი ნამდვილი ფასეულობის წვდომას, არამედ სოფლად ტრადიციული შემოქმედების ქცევას იდეოლოგიის რუპორად, და შესაბამისად, მისთვის ნამდვილი ნიადაგის გამოცლას. ამას მოჰყვა სინაღდით, ბუნებრიობითა და "მიუკიბავობით" (გ. კიკნაძე) აღსავსე ამ ფორმის ქცევა კიჩად და მისი დაცემა - ამდენად, ის ველარ იარსებებდა, როგორც ცოცხალი, ადამიანთა სულიერი სახილველისათვის აუცილებელი, და მუდამ განახლებადი ფენომენი.

საბედნიეროდ, თავდადებულმა ენთუზიასტებმა (ამჯერად ანზორ ერქომაიშვილის ხსენებაც იკმარებდა), შეინარჩუნეს ეს უზარმაზარი საგანძური, და დღესაც ზრუნავენ მის ფიქსაციასა და წარმოჩენაზე, მაგრამ აუთენტურობის კარგვის პროცესი მაინც გარდუვალია, რისი გამოხატულებაც არის მაგ. ერთხანს ამ მართლაც საყოველთაო ფორმის ვიწრო პროფესიონალიზაცია, და ადგილობრივი კერების ქრობა, რაც თავდაპირველი ნიადაგის კარგვას უკავშირდება. წარსულს ჰბარდება თვით ტიპი კულტურისა, რომელსაც ცნობილი გერმანელი სოციოლოგი ფ. ტიონისი უწოდებს "ერთობას". ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ტრადიციულ ქართულ საცხოვრისს, "დარბაზს" - "ერთობის სახლი" ერქვა. ამ რიგის ერთობის სული უთუოდ მსჭვალავს ქართულ სიმღერას - ეს მისი თვისობრიობაა - თვით ზემოაღნიშნული ცნება კი ძალიან ტევადია და მრავალგანზომილებიანი. რასაკვირველია, უტოპია იქნებოდა ამ სიმღერის ყოფაში ზუსტად იმ ფორმით შენარჩუნება, რაც ახასიათებდა თუნდაც XXს. პირველ ნახევარს, ასეთი მიდგომა მხოლოდ დაკონსერვებას მოასწავებს. მთავარია, ამ დიადი კულტურის აქტუალიზაცია და მისი სულიერი სამყაროს ნაწილად ქცევა, როგორც თუნდაც "აკადემიური" ფორმებით, ისე ადგილობრივ კერათა აღორძინებითა და ამას გარდა, თანამედროვე, ტრადიციის შემეცნება - სახეცვალებაზე დაფუძნებული, ახალი სამუსიკო მიმართულებების დამკვიდრების შესაძლებლობით, რაც შემდგომ საუბართა ერთ-ერთი თემაც იქნება.

გადამწყვეტი კი მაინც ის არის, რომ ასეთი მუსიკა დიდწილად მაინც, ღრმა საკრალურობას ატარებდა - "მრავალჟამიერი" თუკი საეკლესიო საგალობელი არაა, რელიგიურობით გაჯერებულია, და არა მხოლოდ წუთისოფლისეული, არამედ გრძელი სოფლისეულიც არის. მრავალი ტრადიციული სიმღერა ამ ნიშნით, არაა წმინდა საერო. შესაბამისად, უფსკრული არც არსებობს გალობასა და ყოფით სიმღერას შორის. მართალია, იგივეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ეჭვს გარეშეა (შემჩნეულიც არის), მათ შორის დიდი მსგავსება და შეკავშირებულობა, როგორც მნიშვნელოვანწილად მსოფლმხედველობრივად, ისე სტრუქტურული მახასითებლებით.

შემდგომი შეხვედრა მიეძღვნება ქართულ საეკლესიო გალობას.

ფეხბურთი

# "პორტუ" დასუსტებულა

გუშინ ჩემპიონთა ლიგა დაიწყო. პირველი დღის შეხვედრებიდან გულშემატკივარი რამდენიმე მომენტს ელოდებოდა. პირველ რიგში საინტერესო იყო, რა მდგომარეობაში შეხვდა წლევანდელ გათამაშებას ჩემპიონთა ლიგის მომგები "პორტუ", რომელმაც სეზონის დასრულების შემდეგ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და გამარჯვების შემოქმედი მწვრთნელი დაკარგა და მეორე მომენტი ის იყო, რომ როგორ შეხვდებოდა შოტლანდიელი ფეხბურთის მოყვარული ჰენრიკ ლარსონს, რომელმაც გლაზგოურ კლუბში 7 წელი გაატარა და ახლა თავისი მშობლიური კლუბის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაინცდამაინც ამაღელვებელი არცერთი მომენტი არ ყოფილა. "სელტიკის" ფანობა ლარსონს უაღრესად მშვიდად შეხვდა. ტრიბუნებზე ასეთი პლაკატიც კი გამოფინეს: "გმადლობთ იმ მოგონებისთვის, რომელიც ამ წლების განმავლობაში გვაჩუქე". რაც შეეხება "პორტუს" ვერც მან გამოიჩინა თავი და ცხადჰყო, რომ შარშანდელთან შედარებით ძალიან დასუსტებულა.

**E ჯგუფი**

**არსენალი - პსვ ეინდჰოვენი 1:0**
**პანათინაიკოსი - რუსენბორგი 2:1**

ლონდონის "არსენალს" თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ამ ჯგუფს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს. არსენ ვენგერის გუნდმა სადებიუტო შეხვედრაში დაამარცხა "პსვ ეინდჰოვენი", მაგრამ მატჩის შემდეგ არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ეს გამარჯვება დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან წინ კიდევ ჯგუფური ტურნირის ხუთი მატჩია და ამ თანაბარ ჯგუფში მოვლენები შეიძლება ყოველ წუთს სხვაგვარად განვითარდეს. ასეა თუ ისე, "არსენალმა" "პანათინაიკოსთან" ერთად აქტივში პირველი სამი ქულა ჩაიწერა.

**F ჯგუფი**

**შახტარი - მილანი 0:1**
**სელტიკი - ბარსელონა 1:3**

ქართველი გულშემატკივარის ყურადღება დონეცკისკენ იყო მიპყრობილი, სადაც "შახტარი" კახა კალაძის "მილანს" მასპინძლობდა. სამწუხაროდ ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ნაკრების ლიდერს. თუმცა, "მილანმა", თუმცა დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვების მოპოვება. ერთადერთი გოლი ამ მატჩში თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა გაიტანა.

გამარჯვება იზეიმა ჯგუფის კიდევ ერთმა ფავორიტმა ესპანეთის "ბარსელონამ". ესპანელები წელს აშკარად მაღალი კლასის გუნდია და შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. ყოველ შემთხვევაში იმ თამაშით, რომელსაც კატალონიელები ამჟამად აჩვენებენ, ფავორიტის სტატუსს ნამდვილად იმსახურებენ. "ბარსა" მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა და საბოლოოდ ისე მოიგო, რომ ერთი გოლი ჰენრიკ ლარსონმაც გაიტანა.



დიდიე დროგბამ "პარი სენ-ჟერმენის" განადგურება დაასრულა და პირველად თავის მწვრთნელს ყოზე მოურინიოს მიულოცა.

**G ჯგუფი**

**ინტერი - ვერდერი 2:0**
**ვალენსია - ანდერლეხტი 2:0**

ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ჯგუფს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ეყოლება. მილანის "ინტერი" და ესპანეთის "ვალენსია". ლიგის პირველი მატჩი ორივე გუნდმა დამაჯერებლად მოიგო. "ინტერმა" გერმანიის ჩემპიონი "ვერდერი" დაამარცხა. "ვალენსიამ" კი "ანდერლეხტი". თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მილანელთა წინააღმდეგ გერმანელებმა პრაქტიკულად მთელი მატჩის განმავლობაში 10 კაცის შემადგენლობით ითამაშა.

**H ჯგუფი**

**პორტუ - ცსკა 0:0**
**პარი სენ ჟერმენი - ჩელსი 0:3**

ტურის მთავარი მოულოდნელობა H ჯგუფში დაფიქსირდა. ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორმა "პორტუმ" ვერ დაამარცხა რუსეთის პირველი გუნდი, - მოსკოვის ცსკა. ეს ამბავი იმითაც მოულოდნელია, რომ მოსკოველებმა უთანხმოება ახლახანს გადაიტანეს. მწვრთნელი შესცვალეს, გუნდში ვალერი გაზაევი დააბრუნეს, მაგრამ გაზაევს ახალ გუნდთან მოსარგებად და მის შესათამაშებლად ბევრი დრო არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა "პორტუმ" ვერ მოახერხა მოსკოველთა კარის აღება და ჯგუფიდან გასვლისთვის სერიოზული ბრძოლა მოუწევს "პარი სენ ჟერმენთან" და ლონდონის "ჩელსისთან. ამ გუნდების პარიზული მატჩი ლონდონელთა გამარჯვებით - 3:0 დასრულდა. ამრიგად, "ჩელსი" სამი ქულით სათავეში ჩაუდგა ქვეჯგუფს.

# ლიგა დაიწყო

პაატა თოთაძე

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გუშინ ჩართულ ჩემპიონებთან ერთად ტურნირში ჩაებნენ თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატებში მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულებიც, თუმცა, არავის ეგონოს, ამის გამო დღევანდელი დღე რითიმე ჩამოუვარდება გუშინდელს. დღეს ასპარეზობაში ერთვებიან ის გუნდები, რომლებიც წლეულს საშინაო ასპარეზზეც პირველობას გეგმავენ. ამის გარდა, ზაფხულში დატრიალებული მოვლენების გამო, მომავალი თამაშებისადმი ჯერ კიდევ მატჩამდე დიდი ინტერესია.

**A ჯგუფი**

**ლივერპული - მონაკო,**
**დეპორტივო - ოლიმპიაკოსი**

შაბათს ქვეყნის ჩემპიონატში "ლივერპულმა" "ვესტ ბრომვიჩს" სძლია. მთავარი როლი მეტოქის დამარცხებაში სტივენ ჯერარდმა და ახალწვეულმა ლუის გარსიამ შეასრულეს. ორივე მათგანი რაფა ბენიტესმა მატჩის დასრულებამდე შეცვალა - აგრძნობინა, რომ მთავარი ბრძოლა მათ ოთხშაბათს მოელით. აშკარაა, შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით, "მონაკო" მნიშვნელოვნად დასუსტდა. ამას ემატება რამდენიმე ფეხბურთელის ტრავმა, ხავიერ სავიოლა კი დისკვალიფიცირებულია. ასე რომ, თავდასხმაში დიდიე დეშამს კალონ-ადებაიორის წყვილის დაყენება მოუწევს. მათ კი, არათუ ერთად არ უთამაშიათ, საერთოდ იშვიათად ხვდებოდნენ შემადგენლობაში. "არ დაგიმალავთ, მდგომარეობა, მართლაც, ვერაა კარგი, მაგრამ ეს არ იძლევა განგაშის საფუძველს. ფეხბურთელები მოდიან, მიდიან, კლუბი კი რჩება. ასე რომ, "მონაკო" თავის სათქმელს კიდევ იტყვის", - იმედიანადაა დეშამი.

რაც შეეხება "დეპორტივოსა" და "ოლიმპიაკოსს", ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ. მართალია, ესპანური კლუბი მეტოქესთან შედარებით ტიტულიანია და შარშან ნახევარფინალსაც უწია, მაგრამ ეს არაა დამაჯერებელი არგუმენტი საიმისოდ, რომ დღევანდელ მატჩში "დეპორტივოს" უპირატესობა ვაღიაროთ.

**B ჯგუფი**

**ბაიერი - რეალი,**
**რომა - დინამო (კიევი)**

სამეფო კლუბის სათავეში ხოსე ანტონიო კამაჩოს მოსვლის შემდეგ მადრიდელებმა მათთვის უჩვეულო, მინიმალური ანგარიშით მოგებისადმი სიყვარული გამოამჟღავნეს. ასეთი შედეგი სწორედ ზედგამოჭრილია დღევანდელი გასვლითი მატჩისთვის ლევერკუზენის "ბაიერის" წინააღმდეგ. გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, თანაც, ჯონათან ვუდგეიტი და ვალტერ სამუელი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ. არადა, ლევერკუზენელებს თავდასხმაში ჩინებულად მისდით საქმეები. ცოტა ხნის წინ "ბაიერმა" ოთხი გოლი გაუტანა მიუნხენის "ბაიერნს". ეს კი, რაც არ უნდა დასუსტებული იყოს "ბაიერნი", უაღრესად ძნელია.

რაც შეეხება კიეველებს, იოზეფ საბო გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლიდან მთავარ მწვრთნელად იქცა და, ბუნებრივია, პირველივე მატჩში თავისი კვალიფიკაციის დამტკიცებას შეეცდება. სხვათა შორის, რომიდან წამოღებულმა ქულამ, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი შეასრულოს ორივე გუნდის მომავალში. ჯგუფში ისეთი გუნდები მოხვდნენ, რომ მეორე ეტაპზე გასვლა ნებისმიერს შეუძლია. ასევე ნებისმიერს შეუძლია ჯგუფში ჩარჩენა. ეს კი, შესაძლოა, ფეხის ერთმა დაცდენამაც განაპირობოს.




კაპელო ამსტერდამში მოსაგებად ჩადის.

**C ჯგუფი**

**აიაქსი - იუვენტუსი,**
**მაკაბი - ბაიერნი**

საინტერესოა, როგორ შეხვდებიან გულშემატკივრები "ამსტერდამ არენაზე" ზლატან იბრაგიმოვიჩის დაბრუნებას. წლების მანძილზე ჰოლანდიელთა მეგოლე დღეს თავისი ყოფილი გუნდის კარის აღებას შეეცდება. ამსტერდამელებს დღეს ტრავმების გამო ამერიკელი ჰავბეკი ობრაიენი და გალაშეკი დააკლდებათ. დანაკლისის მიუხედავად, ჰოლანდიელები მრისხანე მეტოქესთან სამი ქულის აღებას გეგმავენ. იგივე გეგმა აქვს "იუვენტუსსაც". "გუნდს, რომელიც ორ ფრონტზე იბრძვის, დამარცხების უფლება არა აქვს. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, რომ ვიქცეთ იმ გუნდად, რომლის ხილვაც გულშემატკივარს სურს, თუმცა, არც ახლა ვართ ცუდ ფორმაში", - ასეთია ფაბიო კაპელოს აზრი.

"მაკაბი" მუდამ კერკეტი კაკალი იყო ნებისმიერი გუნდისთვის, მაგრამ დღევანდელ პაექრობაში მაინც მიუნხენელები მიიჩნევიან ფავორიტებად. ეს არცაა გასაკვირი, მიუხედავად იმისა, რომ როკე სანტა კრუსი, ციკლერი და იერემისი, ალბათ, არ ითამაშებენ. "შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ "მაკაბი" იოლად დასამარცხებელი გუნდია, მაგრამ ვთხოვ, ერთი რამ გაითვალისწინონ. ჩემპიონთა ლიგაში სუსტი გუნდები ვერ ხვდებიან. ასე რომ, ტელ-ავივში დიდი ბრძოლა მოგველის. იქ ნებისმიერ გუნდთან ძნელია თამაში, მით უმეტეს, "მაკაბისთან", - ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა გერმანელთა თავკაცმა ფელიქს მაგატმა.

**D ჯგუფი**

**ფენერბაჰჩე - სპარტა,**
**ლიონი - მანჩესტერი**

"ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს. ჯგუფში ისეთ გუნდთან მოხვედრა, როგორიც "მანჩესტერია", დანარჩენებთან მოგებას გაიძულებს", - ასეთია კარელ პობორსკის აზრი. ასეც არის. ინგლისელებს, ალბათ, არ უნდა გაუჭირდეთ ჯგუფიდან გასვლა, მეორე საგზურისთვის კი ერთბაშად სამი გუნდი იბრძოლებს.

"მანჩესტერი" დღეს სოლსკიაერის, საას და რუნის გარეშე ითამაშებს. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა რუუდ ვან ნისტელროი, რომელმაც უკვე მოასწრო ინგლისის ჩემპიონატში "ბოლტონის" წინააღმდეგ თამაში. "ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ჯერ კიდევ არ ვარ საუკეთესო ფორმაში, მაგრამ თანაგუნდელების დიდი იმედი მაქვს. ჩვენ ერთად შევძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას", - განაცხადა ნისტელროიმ.

ფორმულა 1

# დიდი ექვიანობა "რენოში"

გიგა გურასაშვილი

"რენოს" ბოსებს აშკარად აღიზიანებთ ბოლო დროს ჩამოყალიბებული აზრი, თითქოს ფრანგები იტალიელი იარნო ტრულის ინტერესებს არაფრად აგდებენ და გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ ესპანელ ფერნანდო ალონსოს. ჯერ კიდევ "ბელგიის დიდი პრიზის" შემდეგ იტალიელმა რამდენჯერმე თქვა, მანქანას პრობლემები აქვსო. ტრულის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, "რენოს" შეფის ფლავიო ბრიატორეს გაღიზიანება გამოიწვია: ნეტა რას გვერჩის, რა დავუშავეთო.

"იარნო მანქანაში ხანდახან ისეთ რაღაცებს გრძნობს, რომლის გასწორებასაც ტელემეტრიით ვერ ვახერხებთ. მე მგონი, იარნო პარანოიითაა დაავადებული. ჩვენ რა ხეირი უნდა გვქონდეს იმით, თუ მას სიცოცხლეს გავუმწარებთ, მაშინ როდესაც ჩემპიონატში მეორე ადგილისთვის ვიბრძვით და საჯინიბოს მიზანია, ორივე მანქანამ ჩასათვლელი ადგილი დაიკავოს? მე თუ მკითხავთ, ეს ყველაფერი დიდი სისულელეა. ის ჩვენ თავს ვერ დაგვაღწევს, რადგან სეზონის ბოლომდე ყველა ხარჯი დავუფარეთ".

რაც შეეხება თავად მრბოლს, მისი თქმით, ზოგიერთების განცხადების მიუხედავად, რომ საკუთარ თავს არ ეკუთვნის, მათ გასაგონად აცხადებს, რომ კვლავაც საბრძოლველადაა განწყობილი. ეს მაშინ, როდესაც არაერთს უნდა გუნდიდან დროზე ადრე ჩემი წასვლაო. "ბრიატორე მეუბნება, რომ პრობლემა ჩემშია, რომ მე უნდა შევიცვალო; რომ არ ვენდობი მანქანას. არადა, როდესაც ყველაფერი კარგად მიდის, მაშინ ამაში მანქანის დამსახურებას ხედავენ, ხოლო როდესაც წარუმატებლობებია, მაშინვე ჩემკენ იშვერენ თითს. ასე აღარ შემიძლია. აგერ უკვე ორი თვეა, რაც ყველას ვუხსნი, რომ მანქანა ისე აღარ იქცევა, როგორც ადრე და რომ ასეთ პირობებში ზღვარზე ასპარეზობას ვერ შევძლებ...

შვიდი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, ჩემს თანაგუნდელს "იტალიის დიდი პრიზის" კვალიფიკაციაზე ჩემთვის გაესწროს. და ამ დროს ფერნანდო რას აკეთებს? ვიცი, რომ მას ჩემთვის უნდა გაესწრო და ასეც მოხდა. ირკვევა, რომ ახლა მხოლოდ ისაა "რენოს" პილოტი".

ეჭვები არც ალონსოს აკლია. 23 წლის ესპანელი "მონცას" ტრასის ტექნიკურ პერსონალს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ ასპარეზობაში არ შეუწყვეს ხელი.

და მაინც, რამ გააგულისა ესპანელი? "მონცაზე" ალონსომ, ტრადიციულად, კარგად აიღო სტარტი. მალე წამოეწია და გაუსწრო შემდგომ უკვე ეტაპის გამარჯვებულს, ფერარელ რუბენს ბარიკელოს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, იოლად დაუძვრა მდევრებს, მაგრამ ერთბაშად მოპოვებული უპირატესობა უმალ გაანიავა. გაანიავა იმის გამო, რომ პიტსტოპზე მოუხდა შესვლა. ტრასაზე დაბრუნებულმა კი დაკარგული დრო ველარ აანაზღაურა. თუმცა, ჰქონდა შანსი, ბარელ ჯენსონ ბატონზე ზეწოლით დაწინაურებულიყო, მაგრამ მეორე შიკეინთან ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ...

"სისულელე ჩავიდინე. ბატონს ძლიერად ვუტევდი. მინდოდა, წნეხის ქვეშ მომექცია, მაგრამ "მონცას" ტრასის მახასიათებლების გათვალისწინებით ყოველთვის რთულია პრესინგი. თავიდანვე მივაგენი მანქანის ზღვარს, ბევრს ვუტევდი და ბევრჯერ გავრისკე, მაგრამ დავუშვი შეცდომა, რომელიც ძვირად დამიჯდა. ახლა უკვე ველარაფერს შევცვლი".

ესპანელის გაგულისება გამოიწვია ტრასის კომისართა ქმედებამ. მათ უარი თქვეს, გზიდან გავარდნილი ბოლიდი ტრასაზე დაებრუნებინათ. არადა, როგორც ესპანელი ამბობს, ბოლიდს არაფერი სჭირდა, არც ძრავა იყო გამორთული და, შესაბამისი წესებით, კომისრები ვალდებულნი იყვნენ, ხელი შეეშველებინათ: "როდესაც ტრასიდან გადავვარდი, მარშალის დახმარების იმედი მქონდა. იმის ნაცვლად, რომ დამხმარებოდნენ, მათ მანქანის მოსაშორებლად ამწე მოიყვანეს. სულ დამავიწყდა, რომ ისინი ტრასაზე მხოლოდ წითელ მანქანებს ეხმარებიან. თუ "ფერარის" საჭეს არ უზიხარ, დახმარების იმედი არ უნდა გქონდეს".

ახლა ესპანელს ერთი სული აქვს, როდის დადგება შემდგომი ეტაპების დრო. თუმცა, იმასაც აღიარებს, "მონცაზე" კონკურენტუნარიანები ვერ ვიქნებოდითო. "იტალიის დიდ პრიზზე" მეტოქეებთან ღირსეულად ბრძოლისთვის ვემზადებოდითო.




ალონსოს წითელი ფერი აღიზიანებს.

ჩოგბურთი

# ქალთა პირველობა გრძელდება

სანდრო ნავერიანი

*გუშინ ლილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე "ქართუ ბანკი ლეიდის ოუფენი" დაიწყო. ეს ტურნირი რიგით მეორეა ქალთა იმ ტურნირებიდან, რომლებიც საქართველოში ტარდება. ტურნირის საპრიზო ფონდი 25000 დოლარია. მონაწილეობს 32 ჩოგბურთელი. მონაწილენი, ძირითადად, პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან არიან, თუმცა, სტუმრები ჩამოვიდნენ ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, სლოვაკეთიდან და ლატვიიდან. ტურნირზე შვიდი ქართველი გოგონა გამოდის: მაკა ჩახნაშვილი, ია ჯიქია, ნანა უროტაძე, თინათინ ყავლაშვილი, სოფო მელიქიშვილი, თათია მიქაძე და სოფო შაფათავა.*




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ქართუ ბანკი ლეიდის ოუფენ"-ის პირველი ეტაპი დასრულებულია. დღეს გაიმართება მეორე წრის შეხვედრები.*

ტურნირის ფავორიტად ითვლება უკრაინელი ოლგა ლაზარჩუკი, რომელმაც პირველ წრეში ესპანელი ევა ფერნანდესი დაამარცხა. უკრაინელმა იოლად გაიმარჯვა - 6:1, 7:5.

მეორე მატჩში რუსი მარინა შამაიკო და მაკა ჩახნაშვილი წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. დაძაბული ბრძოლა ჩახნაშვილმა წააგო - 6:7, 6:4, 6:7. მეორე წრეში შამაიკო ლაზარჩუკს დაუპირისპირდება. უკრაინელი ლიუბცოვას და რუსი არხიპოვას შეხვედრა უკრაინელის გამარჯვებით დასრულდა. მან სამ სეტში დაამარცხა მეტოქე (3:6, 7:6, 6:2). მეორე წრეში ლიუბცოვას მეტოქე იქნება რუსი ანა ბასტრიკოვა, რომელიც ტურნირზე მეექვსე ნომრად არის განთესილი და რომელმაც პირველ წრეში უკრაინელი ნატალია ბოგდანოვა დაამარცხა. ბელორუსმა ტატიანა უვაროვამ უკრაინელი ოქსანა ტეპლიაკოვა დაამარცხა (6:4, 4:6, 6:4). მეორე წრეში უვაროვას მეტოქე ლატვიელი ირინა კუზმინა იქნება. კუზმინამ პირველ წრეში რუსი სვეტლანა მოსიაკოვა დაამარცხა - 6:1, 6:1. რუსმა ოლგა ხრაპკოვამ თავისი შეხვედრა უკრაინელ იანა ლევჩენკოსთან დათმო - 2:6, 6:4, 4:6. ლევჩენკოს მეტოქე მეორე წრეში ქართველი თათია მიქაძე იქნება. თათიამ პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილი უკრაინელი ალიონა ანტიპინა დაამარცხა - 6:4, 6:2. ია ჯიქია მეორე წრეში რუს მარია კონდრატიევას დაუპირისპირდება. კონდრატიევა მეხუთე ნომრად არის განთესილი და მან პირველ წრეში სოფო შაფათავა დაამარცხა - 6:2, 6:3. ია ჯიქიამ კი რუს ნატალია რახმანინას სძლია - 6:3, 3:6, 6:4. თავისი შეხვედრა დათმო ნანა უროტაძემ -ის ფრანგ მატილდა იოჰანსონთან დამარცხდა - 2:6, 4:6. ფრანგის მეტოქე მეორე წრეში იქნება რუსი ელენა ვესნინა, რომელმაც სოფო მელიქიშვილი დაამარცხა - 6:4, 6:3. აღსანიშნავია, რომ ვესნინა ტურნირზე მესამე ნომრად არის განთესილი. სლოვაკმა კატარინა კაჩლიკოვამ რუსი ალა კუდრავცევა დაამარცხა - 6:3, 6:2. კაჩლიკოვა ტურნირის ნომერ მეშვიდე ფავორიტია. მეორე წრეში კაჩლიკოვას მეტოქე იქნება თინათინ ყავლაშვილი, რომელმაც ბელორუსი დარია კუსტავა დაამარცხა - 6:7, 7:5, 7:6. აღსანიშნავია ისიც, რომ ყავლაშვილმა პირველი სეტი დათმო, მაგრამ დანარჩენ ორ სეტში შეძლო ძალების მობილიზება და საბოლოო ანგარიში თავის სასარგებლოდ დააფიქსირა. რუსმა ეკატერინა კოჟოხინამ თანამემამულე ნატალია პერვიცკაია დაამარცხა. კოჟოხინამ ძალიან ადვილი გამარჯვება მოიპოვა, მან ორ სეტში მოაგვარა საქმე - 6:1, 6:3. მეორე წრეში მისი მეტოქე იქნება ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ბელორუსი ანასტასია იაკიმოვა, რომელმაც პირველ შეხვედრაში იტალიელი ლიზა ტონეტი დაამარცხა - 6:1, 6:1. დღეს მეორე წრის შეხვედრები გაიმართება.

"ბორჯომის თასი" დამთავრდა, "ქართუ ბანკი ლეიდის ოუფენი" დაიწყო და სულ მალე "ბათუმი ლეიდის ოუფენი" დაიწყება.

| | | |
|---|---|---|
| ოლგა ლაზარჩუკი (1,უკრაინა)<br>ევა ფერნანდესი (ესპანეთი) | ო.ლაზარჩუკი | 6:1, 7:5 |
| მარინა შამაიკო (რუსეთი)<br>**მაკა ჩახნაშვილი (საქართველო)** | მ.შამაიკო | 7:6, 4:6, 7:6 |
| აქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)<br>მარია არხიპოვა (რუსეთი) | ა.ლიუბცოვა | 3:6, 7:6, 6:2 |
| ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა)<br>ანა ბასტრიკოვა (6,რუსეთი) | ა.ბასტრიკოვა | 6:3, 3:6, 6:0 |
| ტატიანა უვაროვა (4,ბელორუსი)<br>აქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | ტ-უვაროვა | 6:4, 4:6, 6:1 |
| სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი)<br>ირინა კუზმინა (ლატვია) | ი.კუზმინა | 6:1, 6:1 |
| ოლგა ხრაპკოვა (რუსეთი)<br>იანა ლევჩენკო (უკრაინა) | ი.ლევჩენკო | 6:2, 4:6, 6:4 |
| **თათია მიქაძე (საქართველო)**<br>ალიონა ანტიპინა (8,უკრაინა) | **თ.მიქაძე** | 6:4, 6:2 |
| მარია კონდრატიევა (5,რუსეთი)<br>**სოფო შაფათავა (საქართველო)** | მ.კონდრატიევა | 6:2, 6:3 |
| **ია ჯიქია (საქართველო)**<br>ნატალია რახმანინა (რუსეთი) | **ი.ჯიქია** | 6:3, 3:6, 6:4 |
| **ნანა უროტაძე (საქართველო)**<br>მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) | მ.იოჰანსონი | 6:2, 6:4 |
| **სოფო მელიქიშვილი (საქართველო)**<br>ელენა ვესნინა (3,რუსეთი) | ე.ვესნინა | 6:1, 6:3 |
| კატარინა კაჩლიკოვა (7,სლოვაკეთი)<br>ალა კუდრავცევა (რუსეთი) | ქ.კაჩლიკოვა | 6:3, 6:2 |
| დარია კუსტავა (ბელორუსი)<br>**თინათინ ყავლაშვილი (საქართველო)** | **თ.ყავლაშვილი** | 6:7, 7:5, 7:6 |
| ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი)<br>ნატალია პერვიცკაია (რუსეთი) | ე.კოჟოხინა | 6:1, 6:3 |
| ლიზა ტონეტი (იტალია)<br>ანასტასია იაკიმოვა (2,ბელორუსი) | ა.იაკიმოვა | 6:1, 6:1 |

წყალბურთი

# ჭაბუკებმა მალტის წყალი დალიეს

გიგა გურასაშვილი

მალტაზე მიმდინარე ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და საფრანგეთის თამაშით გაიხსნა და ჯგუფური ეტაპიდან პირველები ქართველები გამოვარდნენ. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჭაბუკებმა ფრანგებთან ფრე - 7:7 ითამაშეს, გუშინწინ სლოვაკებს გაეჯიბრნენ და 7:8 დამარცხდნენ. როგორც ტურნირის ორგანიზატორები იუწყებიან, საქართველოს ნაკრებმა მედლებისთვის ბრძოლის შანსი სლოვაკებთან მატჩში დაკარგა. A ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებს ახლა ისღა დარჩენია, 16 გუნდს (სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, რუსეთი, უნგრეთი, პოლონეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, საბერძნეთი, მალტა) შორის ბოლო ადგილი არ დაიკავოს.

გუშინ საქართველოს ნაკრები ჯგუფისა და ჩემპიონატის ლიდერს სერბებს შეხვდა, მაგრამ, თუ ფანტასტიკის მოყვარული არ ხართ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენები ამ მატჩს მოიგებდნენ. სერბებმა ჯერ სლოვაკები გაანადგურეს - 15:3, მერე კი - ფრანგები (20:9). ერთი სიტყვით, საქართველოსა და სერბების მატჩი 7:14 დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო ადგილზე ფრანგები გავიდნენ. დღეის იქით საქართველოს ნაკრებს საზრუნავად ისღა რჩება, მე-9-მე-10 ადგილებისთვის ბრძოლის პატივი დაიმსახუროს. ამისთვის ხვალ ბრიტანელებს უნდა სძლიოს და ზეგ - ჰოლანდიელებს. მათთან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენები მე-9-მე-10 ადგილებისთვის იბრძოლებენ. ხოლო თუ ბრიტანელებს მოუგებენ და ჰოლანდიელებთან დამარცხდებიან, მაშინ მე-11-მე-12 ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ორივესთან წაგების შემთხვევაში კი მე-13-მე-14 ადგილებისთვის მოუწევთ თამაში. ბრიტანელთა ბარიერის გადალახვა შესაძლებელია, ჰოლანდიელებთან კი, ალბათ, გაუჭირდებათ.

დღეს ევროპის ჩემპიონატზე დასვენების დღეა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჭაბუკებს ჯგუფური ეტაპი გადაულახავი დარჩათ.*

# ბათუმში "ლეიდის ოუფენი" იწყება

რეზო ძნელაძე

ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე არაერთი პრესტიჟული ტურნირი ჩატარებულა. ერთ-ერთი, "ლეიდის ოუფენი", 1997 წლიდან ტარდება.

წლევანდელი ტურნირი 18 სექტემბერს საკვალიფიკაციო შეხვედრებით დაიწყება და ერთ კვირას გასტანს. ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მონაწილეობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა 300-ს აღემატება. **"ტურნირს დაესწრებიან საქართველოსა და ევროპის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენლები. იმსაჯებს ოთხი საერთაშორისო მსაჯი",** - განაცხადა კორტების ვიცეპრეზიდენტმა **ვოვა ასათიანმა**.

ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია.

*"24 საათი აჭარა"*

მოკლედ

### როი კინი მოზარდს თავს დაესხა

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს როი კინს მოუწევს პოლიციისთვის ახსნა-განმარტების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თითქოს ის თავს დაესხა 16 წლის მოზარდს. გაზეთ "მირორის" ცნობით, მანჩესტერის პოლიციამ დაადასტურა, რომ განიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებით მოზარდის საჩივარს.

ინციდენტი 4 სექტემბერს მოხდა, როცა როი კინი "ჰეილ გოლფ კორსის" რაიონში, საკუთარ სახლთან ახლოს თავის ლაბრადორს ასეირნებდა. კინსა და მოზარდს შორის შელაპარაკება მოხდა. შელაპარაკების მიზეზს არ ასახელებენ. ჰოდა, ამის ნიადაგზე ჩხუბი გაჩაღდა.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომელიმე მოჩხუბარი დაზიანდა, არ გამოქვეყნებულა, მაგრამ კინმა, რომელიც ფიცხელი ხასიათით არის ცნობილი, თინეიჯერს ყელსაბამი ჩამოგლიჯა. შემდეგ კინმა გოლფ-კლუბის წარმომადგენლებთანაც იჩხუბა, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს კინის ძაღლის უსაქციელობის გამო. კინმა ისინიც გამოლანძღა და გზას გაუდგა.

ახლა როი კინი გუნდთან ერთად საფრანგეთშია, სადაც დღეს ჩემპიონთა ლიგის მატჩს გამართავს "ლიონის" წინააღმდეგ. მანჩესტერის პოლიცია კი გეგმავს, ფეხბურთელს მაშინვე დაელაპარაკოს, როცა ის სამშობლოში დაბრუნდება.

### ხანგრძლივი შესვენების შემდეგ

რვათვიანი შესვენების შემდეგ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი კონსტანტინ ცზიუ პირველად გამოვიდა რინგზე და სპარინგი ჩაატარა. ის ეჩხუბა ცნობილ მსუბუქწონოსანს, ამერიკელ დეიმიან ფულერს. კონსტანტინმა მასთან ოთხრაუნდიანი ბრძოლა გამართა, რაც პირველია იანვრის შემდეგ. ფულერი, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია (სამი კვირის შემდეგ მას თავად მოუწევს სატიტულო ბრძოლა), აღნიშნა, რომ იძულებითი შესვენების შემდეგ ცზიუმ თითქმის არ დაკარგა მოკრივის საუკეთესო თვისებები.

"ახლა ის ისე სხარტად არ მოძრაობს, როგორც ადრე, მაგრამ მისი აგრესია და ზეწოლის უნარი არ გამქრალა, - განაცხადა ფულერმა, - მეტოქეზე ზეწოლის განხორციელების საქმეში მას მხოლოდ ახალგაზრდა ხულიო სეზარ ჩავესი თუ შეედრება. სისხარტე ცოტა დაკარგული აქვს, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში ესეც დაუბრუნდება".

ამ კვირაში ცზიუ კიდევ ერთ სპარინგს გამართავს საშუალოწონოსან სემ სოლაიმანთან. სოლაიმანი IBF-ის რეიტინგში პირველ ნომრად არის განთესილი. ცზიუ აპირებს, უახლოეს მომავალში სპარინგის დროს რაუნდების რაოდენობა ექვსამდე გაზარდოს.

### ფიშერი შვეიცარიას თავშესაფარს სთხოვს

იაპონიიდან ამერიკაში ექსტრადიციის შიშით ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ბობი ფიშერმა შვეიცარიას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. შვეიცარიული პრესის ინფორმაციით, ფიშერს ქვეყნის მოქალაქეობას არ მისცემენ.

ფიშერი იაპონიის სამართალდამცავმა ორგანოებმა ვადაგასული პასპორტით იაპონიის აეროპორტში დააკავეს. ამერიკაში მისი ექსტრადიცია მას შემდეგ შეჩერდა, რაც ფიშერმა გააპროტესტა იაპონიის სასამართლოს გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ. სასოწარკვეთილი ფიშერი აშშ-ში ექსტრადიციის თავიდან აცილების მიზნით თანახმა იყო, ცოლად შეერთო თავისი დიდი ხნის მეგობარი მიიოკო ვატაი, რომელიც ახლა იაპონიის ჭადრაკის ასოციაციას უდგას სათავეში. თუმცა, ქორწინების რეგისტრაცია ისევ ფიშერის პასპორტის პრობლემებმა დააბრკოლა.

ადრე მოჭადრაკე ამბობდა, რომ აპირებს, გერმანიას ან რომელიმე სხვა ქვეყანას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვოს. თუ ფიშერი აშშ-ში მოხვდება, მას მოუწევს პასუხი აგოს ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელებული სანქციების დარღვევის გამო. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის მთავრობის გაფრთხილების მიუხედავად, ფიშერმა სერბეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების პერიოდში სერბეთის ერთ-ერთ კურორტზე 1992 წელს ბორის სპასკისთან მატჩ-რევანში ითამაშა.

სწორედ სპასკისთან გამარჯვებამ მოუტანა ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 1972 წელს. მოგვიანებით ფიშერმა ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა, რისთვისაც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 15 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-შ შესახებ
06:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES SPARKS" - "PHOENIX MERCURY"
08:30 NBA TV. ფინალის ხმები. მე-3 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "პორტუ" - ცსკა
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "შახტიორი" - "მილანი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი" - "ბარსელონა"
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" - პსვ
22:25 "ON-LINE ჩემპიონთა ლიგა". საუკეთესო მომენტები
00:35 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერი" - "რეალი"
02:30 02:30-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1999. პირველი წრე. "UTAH JAZZ" - "SACRAMENTO KINGS". მე-5 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 15:35 პრესცენტრი
10:20, 19:50 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ფინალი. კანადა - ფინეთი
13:35 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:35 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი
15:50 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები
18:00 ველოსპორტი-მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში. ვაჟები. ქალები. კროსი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ფინალი. შესვენებისას (20:45) - პრესცენტრი
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "დინამო" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. დანონის თასი
11:30 მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
14:00 ფეხბურთი. ევროგოლები
15:00 სპიდვეი. სლოვენიის დიდი პრიზი
16:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
19:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
21:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი კანადაში
22:30 გოლფი. ევროპული ტურნირი გერმანიაში
23:00 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში - "Bell Canadian Open"
00:00 აფროსნობა
00:30 ოლიმპიური თამაშები. კულტურული პროგრამა
00:45 ცხენოსნობა. შეჯიბრება პორტუგალიაში
01:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:30 თავგადასავლების რეიდი. საფრანგეთი-იტალია
02:00 ახალი ამბები
02:15 ცხენოსნობა
03:15 ახალი ამბები

## კონტრრეფორმაციის მოტორი



ალბათ, ყველას გაუგონია სიტყვა "იეზუიტი", უფრო წინ წასულებმა **ეგნატე დე ლოიოლას** სახელიც იციან. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ მრისხანე კათოლიკური ორდენის დამაარსებელი სახელგანთქმული **დონ კიხოტის** პროტოტიპი იყო. რომანის ავტორს, **მიგელ დე სერვანტეს სააჳედრას** ლეპანტოს ბრძოლაში მარცხენა ხელი დაუზიანდა. მან სამხედრო კარიერა მიატოვა და ხუმრობდა, რომ მარცხენა ხელი დაკარგა ad majorem dextre gloriam — მარჯვენის უპირატესი დიდებისათვის. დიდი მწერალი აქაც არ ეშვებოდა იეზუიტთა პაროდირებას: სწორედ მათი დევიზია ad majorem Dei gloriam — ღვთის უპირატესი დიდებისათვის.

დონ კიხოტსა და ეგნატე ლოიოლას შორის მსგავსება აშკარად ჩანს ამ უკანასკნელის ცხოვრებიდან. 1491 წელს დაბადებულ ბასკ არისტოკრატს, ეგნატეს, მშობლები სამხედრო კარიერისათვის ამზადებდნენ. ნამდვილი რაინდი იყო, იმ ზომამდე, რომ თავისი იდუმალი ტრფობის საგნად ესპანეთის მეფის, ფერდინანდის მეორე ცოლი აირჩია, მას უძღვნიდა ყოველ თავის გმირობას. 1521 წელს, როცა ფრანგულმა ჯარმა ქალაქ პამპლონას ალყა შემოარტყა, ეს ტანჩია ოფიცერი ქალაქის დამცველთა შორის იყო. საოცარი სიმამაცე გამოამჟღავნა და ქვემეხის ჭურვით ფეხში დაიჭრა. ძვლები ცუდად შეეზარდა, ამიტომ ექიმებმა ფეხი ხელმეორედ გადაუტეხეს, მაგრამ არც ამ ოპერაციის შედეგი აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი და კვლავ მოუხდათ ფეხის უნარკოზოდ გადატეხვა და ძვლების ხერხვა-გაპრიალება. ფიზიკური ინვალიდობა ეგნატესთვის კატასტროფას ნიშნავდა. ლოგინს მიჯაჭვული ხარბად ეწაფებოდა ჩვეულ საკითხავს, სარაინდო რომანებს. მაგრამ როცა შემოაკლდა, ჰაგიოგრაფიული წიგნები მოუტანეს. ამ მოსაწყენმა და ერთფეროვანმა ტექსტებმა თავიდან გული აურიეს, მაგრამ მერე ნელ-ნელა ეშხში შევიდა და მეფე მერდინანდის მეუღლისადმი კურტუაზული ტრფობა სულ მალე ღვთისმშობლის მსახურების იდეამ შეცვალა. ეგნატემ გადაწყვიტა ქრისტეს მხედარი გამხდარიყო — ბოლოს და ბოლოს, ეს ერთადერთი ჯარი იყო, სადაც კოჭლებსაც ღებულობდნენ.

ჯერაც დასუსტებული ამხედრდა ჯორზე და ბარსელონისკენ გაემგზავრა. გზაზე, სოფელ მონტსერატში, აიღო ახლადშეძენილი საბერო სამოსი, ტაძარში დაასვენა და მთელი ღამე დარაჯობდა, განთიადზე თავისი ძვირფასი სამოსი მათხოვარს აჩუქა, თვითონ კი გზა განაგრძო. სოფელ მანრეზაში, დომინიკელთა მონასტერში თითქმის ერთი წელი დაჰყო: დომინიკელები დააშინა სტუმრის სასტიკმა ასკეტიზმმა: ლოიოლა ყოველდღე ამბობდა აღსარებას, თითქმის არაფერს ჭამდა და რეგულარულად იგვემდა თავს. ამან ლამის თვითმკვლელობის ზღვრამდე მიიყვანა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა და საკუთარი სხეული თავისივე ნების მორჩილ იარაღად აქცია.

ფეხით შემოიარა ესპანეთი და იტალია, მეორე წელს კი, როგორც იქნა, იერუსალიმს მიაღწია. აქ ქრისტიანთა საქმეებს ფრანცისკელთა მისია განაგებდა. ეგნატეს ურჯულოთა მოქცევა ეწადა, მაგრამ მრავალკონფესიურ ქალაქში, სადაც ყველას საკუთარი კულტის აღსრულება შეეძლო, წესრიგის შესანარჩუნებლად ყველას ეკრძალებოდა ქადაგება. ფრანცისკელთა მისიის მეთაურს ოსმალთა მთავრობასთან კონფლიქტები არ სჭირდებოდა, ამიტომაც გულფიცხი ბასკი სამშობლოში გაამგზავრა.

ესპანეთში ჩასულმა ლოიოლამ აღმოაჩინა, რომ ქრისტიანობის ქადაგება მორწმუნეთა შორის კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე ურჯულოთათვის: მოკლე ხნის განმავლობაში იგი ორგზის მოექცა ინკვიზიციის პროცესის ქვეშ. ერთხელ კი ორი თვე დაჰყო ციხეში. ყველაზე უსიამოვნო კი ის იყო, რომ ესპანელმა მამებმა და ქმრებმა, რომლებმაც შეამჩნიეს, რა საოცარი გავლენა ჰქონდა ახალ მოქადაგეს მათ ქალიშვილებსა და ცოლებზე, რამდენჯერმე მიუბეგვეს გვერდები და დაუსისხლიანეს ცხვირ-პირი.

როცა ჯერ ალკალაში მერე კი სალამანკაში საუნივერსიტეტო ცხოვრებას გაეცნო, მიხვდა, რომ მარტოოდენ რწმენა საკმარისი არ იყო წარმატებისთვის: საჭირო იყო მოძღვრება და დიალექტიკა. ერთი სიტყვით, განათლება. ოცდათორმეტი წლის ასაკში თაყვანისმცემელი ქალების მიერ დაფინანსებული ლოიოლა პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. ამხანაგები ჯერ დასცინიან წვერმოშვებულ და დაგლეჯილ ტანსაცმელში გამოწყობილ მუდამ თვალებანთებულ სტუდენტს. მაგრამ მცირე ხანში მას ორი მიმდევარი გაუჩნდება: **პიერ ფაბერი** და **ფრანსისკო ხავიერი**, მომავალი წმინდანი და ინდოეთის მისიის ხელმძღვანელი. ჯერჯერობით ეგნატე მათ სულიერ სავარჯიშოებს ასწავლის და მათი ხორციც ნების მორჩილ იარაღად იქცევა. ესაა ორდენის პირველი ბირთვი.

1537 წელს ეგნატე რომში ჩადის და პაპს წარუდგება. აქედან იწყება საკუთრივ ორდენის ისტორია. ოფიციალურად მას "იესოს საზოგადოება" ეწოდება. ტერმინი "იეზუიტები" ფრანგმა პროტესტანტმა თეოლოგმა, **ჟან კალვინმა** მოიგონა და თავიდან მას დამცინავი ელფერი ჰქონდა. ორდენის წევრებს არ სწყენიათ, ისინი დღესაც უწოდებენ საკუთარ თავს იეზუიტებს, რითაც მნიშვნელოვნად შეასუსტეს კალვინის მხილებითი პათოსი.

უმანკოებისა და უპოვარების აღთქმებს ახალ ორდენში გენერლისადმი უსიტყვო მორჩილების აღთქმაც დაემატა. გენერალი, რა თქმა უნდა, თვითონ ლოიოლა იყო, რომლის ერთადერთი განმსჯელი თვით პაპი უნდა ყოფილიყო. პაპს კი იეზუიტები სრულიად უცდომელ ავტორიტეტად მიიჩნევდნენ. ეს ესპანური სამხედრო დისციპლინის გადმოტანა იყო საეკლესიო სფეროში. იესოს საზოგადოების წესდებაში წერია: "თქვენს უფროსთა ხელში უნდა იყოთ როგორც უსულო გვამები".

ორდენის თაობაზე ფრანგი ისტორიკოსი, **დურანი** წერს, რომ ისტორიაში ძნელია ვიპოვოთ ქმნილება, რომელიც ასე ემსგავსებოდეს თავის შემქმნელს და მისი პირადი პასუხისმგებლობის კვალს ატარებდეს საუკუნეთა მანძილზე. თვითონ ლოიოლა სიცოცხლის ბოლომდე არ ეპუებოდა თავისი პატარა და ავადმყოფი სხეულის მოთხოვნებსა და გაჭირვებას: დღე-ღამეში ოთხ საათზე მეტი არასოდეს ეძინა და დღეში საკვებად ხშირად მხოლოდ ერთი მუჭა თხილი ჰყოფნიდა. ერთხელ ლოიოლამ იტალიის ცნობილი წმინდანი, **ფილიპო ნერი** მიიწვია ვახშმად. თან სულ საღვთო საგნებზე ესაუბრებოდა. გამოსვლისას წმ. ფილიპომ ჰკითხა ორდენის ერთ-ერთ წევრს: "თქვენი გენერალი ყოველთვის ასე ცოტას ჭამს?" და დადებით პასუხზე მიუგო: "ამიტომაც აქვს ამდენი ხილვა".

როცა 1557 წელს ეგნატე გარდაიცვალა, საზოგადოებაში ათასი წევრი ირიცხებოდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ოცდაათი იყო ბოლომდე განდობილი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რა საგულდაგულო და რთული იყო სელექციის პროცესი. დღეს იეზუიტთა ორდენში სრულუფლებიან წევრად შესვლისთვის საჭიროა საუნივერსიტეტო და მისი შემდგომი სპეციალური განათლება, რომელიც ჯამში ცხრა წელი გრძელდება. საზოგადოებამ კაცობრიობას მრავალი მეცნიერი აჩუქა, მაგრამ ამის გარდა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული განათლების სისტემა, ძირითადად, იეზუიტთა შექმნილია.

# კათოლიკური რეფორმაცია

ყოველგვარი ცვლილების შედეგთა წინააღმდეგ ერთადერთი საშუალება არსებობს: სხვა ცვლილება. ასე რომ, XVI საუკუნის შუაწლებისთვის ევროპაში საკმაოდ მომწიფდა აზრი, რომ პროტესტანტული რეფორმაციის შედეგებზე საჭიროა გარკვეული რეაქცია, სხვა სიტყვებით, უნდა მოხდეს ძალთა და გავლენის სფეროთა ერთგვარი გადანაწილება, რომელიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წონასწორობას უზრუნველყოფს. "მომწიფდა აზრი" — ამ მეტაფორას ხშირად იყენებენ ხოლმე ისტორიული პროცესების აღწერისას. მაგრამ სინამდვილეში არავითარი აზრი არ მწიფდება: უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები საერთოდ არ აცნობიერებენ ვითარების უზარმაზარ მთლიანობას. უბრალოდ, ერთმანეთთან უწესრიგო ურთიერთობაში შედის მათი ინტერესები და შესაძლებლობები, მაგრამ ამ ქაოსის შედეგად უამრავი მსხვერპლისა და ვნებათაღელვის ფასად ნელ-ნელა წარმოიშობა ისეთი მდგომარეობა, რომელშიც მილიონობით ადამიანი მეტ-ნაკლები სიცხადით შეიცნობს შედარებითი მშვიდობისა და უსაფრთხოების ნიშნებს...



პაპი პავლე III.

1546 წლის დასაწყისში გარდაიცვალა **მარტინ ლუთერი**. პროტესტანტული რეფორმაციის ბურჯი წაიქცა, მაგრამ მის მიერ ინსპირირებული პროცესები არანაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა. ეს პროცესები უკვე მსოფლიო ისტორიულ ვითარებაზე იყო დამოკიდებული: თითქმის იმავე დროს ოსმალეთის სულთანმა **სულეიმანმა** სპარსეთის დალაშქვრა განიზრახა და იმპერატორ **კარლოსს** ხუთწლიანი ზავი შესთავაზა. იმპერატორმა, რომელიც ჩრდილოეთში კათოლიკური სარწმუნოების მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა, ამ შესვენების გამოყენება მის კიდევ უფრო განსამტკიცებლად განიზრახა. ბანკირმა **ფუგერმა** ამისათვის საკმაოდ დიდი თანხა ასესხა იმპერატორს, ამ თანხას კი სახელგანთქმული სარდალი, **მორიც საქსონიელი** მოჰყვა, რომელმაც მშობლიურ პროტესტანტულ სარწმუნოებასაც უღალატა. კარლოსმა განაცხადა, რომ არავის დარბევას არ აპირებს და მხოლოდ პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნება სურს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმპერატორი არ აპირებდა სარწმუნოებრივ საკითხებში ჩარევას: ყველა თავისი არჩევანის ფარგლებში დარჩებოდა. ეს დაპირება ყველამ სერიოზულად მიიღო და პროტესტანტი თავადების მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას არავინ გამოხმაურებია. მათ დასახმარებლად მხოლოდ რომის პაპი მოქმედებდა!

ეს, რა თქმა უნდა, პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პაპი თავის ნამდვილ მეტოქედ პროტესტანტ გერმანელებს კი არ მიიჩნევდა, არამედ ერთმორწმუნე, მაგრამ ზომაზე მეტად გაძლიერებულ იმპერატორს. იმ დროს რომის საყდარზე **პავლე III** იჯდა — **ალესანდრო ფარნეზე**. პაპმა თავისი ძმისწული **ოტავიო** კარლოსის ქალიშვილზე დააქორწინა და იმ არეულ დროში მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ კარლოსი მილანის ჰერცოგად ოტავიოს დაამტკიცებდა და ლომბარდიის მდიდარი მხარე ფარნეზეთა საგვარეულო ფეოდად იქცეოდა. ამ მიზნის შესასრულებლად პაპი საეკლესიო კრების მოწვევაზეც დათანხმდა!

აქ კი საჭიროა ერთი განმარტება: კარლოსი იმპერატორის ტიტულს ატარებდა; საეკლესიო კრებებს, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, სწორედ იმპერატორები იწვევდნენ; რაც შეეხება პაპს, იგი თვით კრების ფაქტს თავისი ერთპიროვნული ძალაუფლების ხელყოფად აღიქვამდა. კრების ფორმალური მიზანი პროტესტანტულ რეფორმაციაზე კათოლიკური რეაქცია უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად მას სულ სხვა ინტერესები და შინაგანი მოტივაციები აპირობებდა: კარლოსს პავლეს გავლენის ალაგმვა სურდა, პავლეს კი — კარლოსისაგან მაქსიმალური სარგებლის მიღება. სწორედ ამ ბნელი ზრახვების მორევიდან წარმოიშვა ის მოვლენა, რომელიც ისტორიას შემორჩა როგორც კათოლიკური ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კრება. მისი ჩატარება 1545 წელს გადაწყდა ჩრდილოეთი იტალიის ქალაქ ტრენტოში, რომლის ლათინური სახელი "ტრიდენტი" კრების ყველაზე გავრცელებულ დასახელებაშიც აისახა: ტრიდენტის საეკლესიო კრება.

პავლეს კრების ჩატარება ჯერ მილანში სურდა, მაგრამ კარლოსი მილანის დათმობას ნამდვილად არ აპირებდა. ყველაფერზე ეტყობოდა, საქმე კონფლიქტამდე რომ მისულიყო, იმპერატორი ადვილად გაიმარჯვებდა. ამიტომაც პაპმა უკან დაიხია. მან თავისი კონტინგენტი გამოიხმო იმპერიული ჯარებიდან და აშკარად გამოთქვა კმაყოფილება იმით, რომ პროტესტანტები მამაცურად იბრძოდნენ. უფრო მეტიც: საფრანგეთის კათოლიკე მეფეს, **ფრანსუას** მოუწოდა, მათ დასახმარებლად გაშურებულიყო. მაგრამ 1547 წელს გერმანიის ქალაქ მიულბერგთან კარლოსმა სასტიკად დაამარცხა პროტესტანტები, თვით რეფორმაციის გული, ქალაქი ვიტენბერგიც აიღო. ამასობაში კი ერთი მეორის მიყოლებით გარდაიცვალნენ კარლოსის მთავარი მეტოქეები: ფრანსუა და ინგლისის მეფე, **ჰენრი**. თითქოსდა არაფერი უშლიდა ხელს ჰაბსბურგთა მმართველობის ქვეშ მსოფლიო იმპერიის ჩამოყალიბებას.

თითქოს პაპს უნდა გახარებოდა კათოლიკური იარაღის ზეობა. მაგრამ პავლეს არაფერი ადარდებდა გარდა თავისი მიწიერი ძალაუფლებისა: საღვთო მადლისა და ევქარისტიის საკითხებს დაცდაც შეეძლო. მეორე მხრივ, არც კარლოსი ეპყრობოდა ძალიან მოწიწებით ეკლესიის მწყემსთმთავრის ავტორიტეტს. თავისი ესპანელი ელჩის, **მენდოსას** დახმარებით გაიგო, რას აპირებდა მის წინააღმდეგ წმინდა საყდარი. ამიტომაც კარლოსმა უბრძანა ესპანეთის ეპისკოპოსებს, მონაწილეობა მიეღოთ ტრენტოს კრებაში და პაპის ძალაუფლების შეზღუდვის წინადადებით გამოსულიყვნენ. ამის პასუხად პავლემ კრება ბოლონიაში გადაიტანა, ანუ საკუთარ სამფლობელოში, რადგან, როგორც ამტკიცებდა, ტრენტოში, იმპერიულ პროვიცნიაში, ტიფის ეპიდემიამ იფეთქა. კარლოსმა თავის მომხრე ეპისკოპოსებს ადგილიდან დაძვრა აუკრძალა...

ასე და ამგვარად, საეკლესიო კრება, რომლის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ევროპულ საქრისტიანოში ერთიანობის აღდგენა და პროტესტანტებთან საერთო ენის პოვნა, რეალურად კათოლიკეთა შორის განხეთქილების ასპარეზად იქცა. კონფლიქტის არსი კი პაპსა და იმპერატორს შორის დაპირისპირება იყო. კონფლიქტი ლატენტურიდან ღია ფაზაზე პაპის ვაჟის, პარმისა და პიაჩენცას ჰერცოგის, **პიერ ლუიჯი ფარნეზეს** მკვლელობის შემდეგ გადავიდა. ვერავინ იტყვის, გასცა თუ არა შესაბამისი ბრძანება კარლოსმა, მაგრამ მკვლელთა დამკვეთი ნამდვილად მის სამსახურში მოქმედებდა.

პავლეს რეაქციიდან აშკარად ჩანს მისი ხასიათი. ვაჟი თავდაუზოგავად უყვარდა, მასზე იყო დამყარებული ფარნეზეთა დინასტიის ყველა იმედი. მაინც დაიოკა მწუხარება და შურისძიების წყურვილი, თავი ისე მოაჩვენა, რომ კარლოსის ბრალეულობისა არ სჯეროდა, თანხმობა განაცხადა კრების ტრენტოში ჩატარებაზე. ეს ყველაფერი კი მხოლოდ პარმისა და პიაჩენცას ჰერცოგის შესანარჩუნებლად მოიმოქმედა. კარლოსი ფარნეზეთა გვარს არ უთმობდა ამ ქალაქებს, მაგრამ უარს ვერ ეტყოდა პაპს, რომელიც მათ საეკლესიო საკუთრებაში გადაცემას მოითხოვდა.

მაგრამ აქ პავლეს ძმისწულს მოთმინებამ უმტყუნა. ოტავიომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ორი ქალაქის კვლავ ფარნეზეთა ძალაუფლების ქვეშ დაუყოვნებელი დაბრუნება მოისურვა. ბიძას თავხედური წერილი მისწერა და ალყითაც კი შემოეწყო ქალაქებს. მაშინ პავლემ მის წინააღმდეგ სხვა თავისი ძმისწული, ალექსანდრო გააგზავნა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა პავლე III-მ რისხვა ვერ შეიკავა. პირველი და უკანასკნელიც: რამდენიმე დღეში, 1549 წლის 10 ნოემბერს რომის ეკლესიის მეთაური გარდაიცვალა. ეკლესია მან ისეთივე კატასტროფულ მდგომარეობაში დატოვა, როგორიც მემკვიდრეობად მიიღო თავისი წინამორბედისაგან, სამაგიეროდ რომის მცხოვრებლების გული მოიგო როგორც მიწიერმა მმართველმა — გამდიდრებულსა და გამშვენიერებულ ქალაქს მასზე უკეთესი პატრონი არ ახსოვდა.

კრების მოწვევას კი საშველი არ დაადგა. იდეა წამდაუწუმ იხრჩობოდა ათასგვარ დაბრკოლებაში. მისი დასაწყისის მოკლე ისტორია კი შემდეგია:

ინიციატორი იყო იმპერატორი კარლოსი, რომლის მოტივაცია მთლიანად იფარგლებოდა სახელმწიფო ინტერესებით: დოგმატური საკითხები მონარქს არ აღელვებდა. უბრალოდ, ვერ იტანდა, როცა დოგმატიკა მის ქვეშევრდომებში ამდენ წინააღმდეგობასა და ურთიერთშუღლს იწვევდა. კრება მისთვის, როგორც ახლა იტყვიან, კონფლიქტში ჩაბმულ ორ მხარეს შორის დიალოგი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ კრებას მრავალი კათოლიკეც ითხოვდა — ისინი, ვისაც ჯერ არ ჰქონდა დაკარგული იმედი, რომ ქრისტიანთა შორის ნდობის აღდგენა შესაძლებელია. საპირისპიროდ იყო სამღვდელოების რაოდენობა, რომლებიც თვლიდნენ, რომ მისაღებია, თუ პაპის პრიმატი არა, მისი აბსოლუტიზმი ეკლესიის მართვის საკითხში. სწორედ აქ ფიქრობდნენ ისინი, რომ შესაძლებელი იყო, პროტესტანტებისთვის გავლენიანობის ხელი.

მაგრამ ამგვარმა განწყობამ რომის კურიის მხრიდან მხოლოდ კრების ბოიკოტის სურვილი გამოიწვია. არგუმენტების საპრეზენტაციოდ შორის წასვლა არ მოუხდათ. ჯერ კიდევ პავლეს წინამორბედი, **კლიმენტ VII** აცხადებდა, რომ საეკლესიო კრება სრულიად ამაო იქნებოდა, რადგან ლუთერმა წინასწარვე უარყო მისი ავტორიტეტი, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ სახარებას აქვს. ასე რომ, ამბობდა პაპი, კრება მხოლოდ გაამწვავებს ურთიერთობას და გადაულახავს გახდის უფსკრულს ორ აღმსარებლობას შორის.

მეორე პრობლემა ჩატარების ადგილი იყო. ფრანგები გერმანიაში ჩამოსვლაზე ამბობდნენ უარს. გერმანელ პროტესტანტებს იტალია არ მოსწონდათ. ბოლოს და ბოლოს, ტრენტო იმიტომაც იყო არჩეული, რომ იქ გერმანიის იურისდიქციაში მყოფი იტალიელები ცხოვრობდნენ. ასე იქნა მიღწეული რაღაცნაირი კომპრომისი. ამით ფრანგები მაინც ვერ დაითანხმეს და კრების პირველ გამოცხადებაზე, 1542 წლის 1 ნოემბერს, ფრანსუა I-მა ძალიან მკვეთრი პასუხი გასცა: ფრანგი ეპისკოპოსები ტრენტოში ჩასვლაზე უარს იტყვიან. კრება სამი წლით გადაიდო, სანამ კარლოსი და ფრანსუა არ დაზავდნენ ფრანგული ქალაქის, კრეპის მახლობლად. კრების გახსნის ცერემონია მხოლოდ 1545 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა: რა თქმა უნდა, წოდება "მსოფლიო" მხოლოდ სიტყვიერ სამშვენისად უნდა ჩაითვალოს. ქრისტიანთა "კვორუმამდე" ძალიან შორი იყო: კრების გახსნას ესწრებოდა ოთხი მთავარეპისკოპოსი, თანაც ყველა იტალიელი; ოცი ეპისკოპოსი — მათგან მხოლოდ ორი ფრანგი და ერთი გერმანელი; საეკლესიო ორდენების ხუთი გენერალი, რამდენიმე აბატი და სწავლულ თეოლოგთა მცირე ჯგუფი.

თვით პაპი არ ჩასულა ტრენტოში — მხოლოდ სამი კარდინალი წარაგზავნა. სწორედ ესენი კარნახობდნენ თამაშის წესებს. თუ ადრე, კონსტანცასა და ბაზელის კრებებზე ერთი ხმა ეროვნულ ჯგუფს ეკუთვნოდა და ოთხი გერმანელის ხმა უტოლდებოდა ორმოცი იტალიელის ხმას, ტრენტოში ხმა ინდივიდუალური იყო და მისი მიცემა მხოლოდ კარდინალებს, ეპისკოპოსებსა და აბატებს შეეძლოთ. თვით განსახილველი თემების წარდგენის უფლება მხოლოდ რომის კურიას ჰქონდა. პავლემ, რომელიც დათანხმდა კრების ჩატარებაზე, ყველა ღონე იხმარა მის ბოლომდე გასაკონტროლებლად.

პირველი ხმაური პროცედურის გარშემო ატყდა. იტალიელებს სურდათ პირველობა დოგმატური საკითხებისათვის დაეთმოთ, რადგან ასე პროტესტანტებთან დიალოგის ყოველგვარი საშუალება აღიკვეთებოდა. იმპერატორსა და მის მომხრე გერმანელ და ესპანელ ეპისკოპოსებს კი პირველად სტრუქტურული ცვლილებების განხილვა უნდოდათ. იმპერატორი პროტესტანტებთან თანხმობას ესწრაფოდა, ეპისკოპოსები კი პაპის უფლებათა შეზღუდვასა და უმეტეს ავტონომიას. ბოლოს და ბოლოს აქაც კომპრომისით დასრულდა: გადაწყვიტეს ერთმანეთის მონაცვლეობით ჩაეტარებინათ სხდომები სხვადასხვა საკითხებზე. დოგმატური საკითხები პავლემ ორ იეზუიტს მიანდო, **ლაინესსა** და **სალმერონს**, რომელთა დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა. ესენი თეოლოგიურად ამტკიცებდნენ პროტესტანტების თეზისების შეუძლებლობას. აქაც უმთავრესი არგუმენტები შემდეგი იყო: პროტესტანტები იმდენად არიან დაქსაქსულნი, რომ მათ ერთ სექტასთან მიღწეული თანხმობა არაფერს ნიშნავს დანარჩენებისთვის. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კათოლიკური ეკლესია საღვთო ჭეშმარიტებათა ერთადერთ უფლებამოსილ განმმარტებლად საღვთო პირს მიიჩნევდა. საკმარისი იყო ამის დათმობა, რომ ფეოდალურ ურთიერთობებზე დაყრდნობილი მთელი ეს გიგანტური ნაგებობა დაიშლებოდა.

რა თქმა უნდა, ლაინესი და სალმერონი ასე პირდაპირ არ მქადაგებლნენ: თეოლოგიის სურს, რომ მისი არგუმენტაცია რთულიც, მაღალფარდოვანი და ქარაგმებით აღსავსე იყოს. ასეთი ქარაგმებით იქნებოდა ტრენტის საეკლესიო კრების მთელი ქსოვილი, მაგრამ ამ თეოლოგიური ხლართის საქმის ფაზაზე სულ სხვა, საგნებს მეტად დაშორებული რეალობა იმყოფა: ძალაუფლების განაწილების გარშემო აღძრული ინტრიგისთა კონფლიქტი.

*ნოდარ ლადარია*
*ლილია ბეზარაშვილი*



*ტრენტოს საკათედრო ტაძარი - აქ გაიმართა კრება.*

# საქართველოს სახელმწიფო დროშა შუასაუკუნეების სოხუმის თავზე

ბადრი გოგია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ვატიკანის საიდუმლო არქივსა და სამოციქულო ბიბლიოთეკაში მუშაობისას გადავეყარე მარტინ სანუდოს მიერ 1321 წელს შესრულებულ ერთ ძალიან საინტერესო ფერად რუკას, კერძოდ შავი ზღვის აუზის რუკას, რომელზეც გარკვევით ჩანს, რომ ქალაქ სოხუმის (Sauastopoli) თავზე აღმართულია საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშა - თეთრ ფონზე გამოსახულია დიდი წითელი ჯვარი, ხოლო ოთხი პატარა ჯვრის ნაცვლად წითელი წრეებია. ესაა ბედიან-დადიანების ერთ-ერთი დროშა, რაც კოლხთა ოდინდელი ხელისუფლების ძლიერების სიმბოლო-ნაშთია. ჩვენ ვიცით (მასუდი, ალ-მუჰიბი, ალ-ყალყაშანდი), რომ სოხუმი ეკუთვნოდა (პიეტრო გერალდის 1330 წ. ცნობით) საქართველოს ჯარების მთავარსარდალს - დადიანს და მის მემკვიდრეებს. სანუდოს რუკაზე დატანილია შემდეგი ჰიდრო-ტოპონიმიკა: faxio, laxo potamo, corebedia, muculla, carancha, Sauastopoli, nichofsa, cauo d'buxo, pezonda, giro, laiazo, cacari, auogassia, Cuba, alba zeqa, sanna, p. d'zurzuchi, maura lacho, arnissia, mapa... (შესაბამისად: ფაზისი, "ფართო ტბა" ანუ პალეასტომის ტბა, გურბედია / აგუბედია, მერკულა, სკურჩა, სოხუმი, ანაკოფია, ბზები / ბზიფი, ბეჭვიმთა / ბიჭვინთა, ბიჭვინთის კონცხი ანუ ჯირო ("წრე", იტალიურად), ქვა-ხე (ლაია-ჯა, ბერძნულ-მეგრულად), ქვა-კარი / გაგრა, აფხა-ჟი / აფხაზი, კუბა ("დაფენილი" ლათინურად), თეთრი ჯიხა ანუ ციხე (ლათინურ-მეგრულად), სანა (სოჩი ანუ სვან-ზანების ადგილი), წურწუხის ნავსადგური, შავი ტბა (ბერძნ.), ამისია (იგ. აბასია ანუ აფხაზეთი), მაფა...)

ჩვენ მიერ უკვე გამოქვეყნებულ სოლერის რუკაზე (1385 წ.), სოხუმის თავზე გამოსახულია დადიანების კიდევ ერთი დროშა: ხელის მტევანი წითელ ფონზე. ეს ხელი, რომელიც მიითვისეს აფსუებმა, გამოხატავს ძლიერებას მიწათმოქმედი და "დამრგველი" (მარგუალი, მარგალი) კოლხებისა, რომელთა ეთნონიმის არქაულ ფორმაში გამოიყოფა მეგრული სიტყვები: "მკლავი" (კილე) და "ხელი" (ხე) : კილეხე, კილხი. ანალოგიური ფენომენი შეინიშნება ბასკების ავტონიმში - Eskual ("ბასკი", ბასკურად), რომელიც მომდინარეობს ბასკური სიტყვიდან esky ("ხელი", "ძალაუფლება"). ქალაქ სოხუმის თავზე გამოსახული დადიანების დროშის ზუსტად ის ვარიანტი, რომელიც ნაჩვენებია მ. სანუდოს რუკაზე, დააფიქსირა თავის ერთ-ერთ რუკაზე პეტრუს ვესკონტემაც იმავე პერიოდში. 1511 წელს სალვატ პალესტინელმა შეადგინა საზღვაო რუკა, რომელიც სოხუმის თავზე ფრიალებს ჯვრის გამოსახულებით (ჯვრიანი რუკები ფრიალებს თბილისის ციხე-სიმაგრეზეც ძმები პიციგანებისა და ჯორჯო გეინელის რუკებზე. შესაბამისად: 1367 და 1519 წწ). ეს ჯვრიანი რუკები არ ეკუთვნის გენუას, რადგან აღნიშნულ წლებში სოხუმსა და თბილისში გენუელ კოლონისტებს არ ჰქონიათ საკუთარი ეკლესიები (პ. გერალდი 1330 წელს წერს, რომ დადიანმა მას და სხვა კათოლიკებს სოხუმში ანუ სებასტოპოლში მისცა სასაფლაო და ეკლესიაც). დაახლოებით გელენჯიკთან აღმართული ჯვრიანი დროშაც, რომლის ქვეშაა წარწერა Mengrelia, ქართველური დროშაა (ესაა დიეგო ჰომემის 1559 წლის რუკა, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ პარიზში 1994 წელს). საქმე ისაა, რომ 1475 წელს თურქებმა დაიპყრეს ან დააქციეს ყველა გენუური კოლონია. სწორედ ამ თარიღით მთავრდება გენუელთა ბატონობის ხანა. უფრო მეტიც, თავად გენუელთა ჯვრიანი (თუ ჯვაროსნული) დროშებიც ქართველური წარმოშობის არის და აი, რატომ. გენუელებმა ჯვრიანი დროშები გადაიღეს იერუსალიმის ჯვრიანი დროშისაგან, რომელიც წარმოადგენს ერთ დიდ ჯვარს ოთხი პატარა ჯვრით. ეს ხუთჯვრიანი დროშა ითვლებოდა იერუსალიმის წმინდა საფლავის ყველაზე უძველეს დროშად და მას უწოდებდნენ "ჭანების დროშას". საფრანგეთის მეფის მთავარი გეოგრაფი პიერ დიუვალი (XVII ს.) მას უწოდებს ჭანების (chanoines) დროშას. ის წერს: **"ეს ჭანები იცავდნენ წმინდა საფლავს პატრიარქ ბალდუინის მმართველობის დროს"**. ცნობილია, რომ იერუსალიმის ეს მეფე საიდუმლოდ ეწვია 1119 წელს დავით აღმაშენებელს ქუთაისში, კერძოდ გეგუთის სასახლეში. სხვათა შორის, რომის პაპების მიერ მუსლიმების დასაშინებლად აღმოსავლეთის გასაიდუმლოებული ძლიერი მეფის - იოანეს სახელზე გაგზავნილი გახმაურებული წერილების ადრესატი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებელი. პ. დიუვალი ერთ სხვა წიგნში წერს (1676 წ), რომ ქართველებს **"შეუძლიათ შევიდნენ იერუსალიმში შეიარაღებულად და აღმართული დროშებით"**. ჰიპოლიტეს მოწმობით (1674 წ.), გოლგოთის იმ ადგილზე, სადაც ნაპოვნი იქნა ნამდვილი ძელი ჯვრისა, ქართველებმა ააგეს ჯვრის მონასტერი. სხვათა შორის, ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) ათონის ივერთა მონასტერს (დღევანდელ ეგვიპტეში) შესწირა ოქროს დიდი ჯვარი. "ეგერთა მხარეში" ჯერ კიდევ XI საუკუნეში არსებობდა ეგრეთწოდებული "ჭანური ჯვარი", რომელსაც ახსენებს სომეხი ავტორი სტეფანოს ტარონელი. ეს ჯვარი სომხებს გაუტაცნიათ და წაუღიათ თავიანთ ქვეყანაში (ვარდაპეტი ვარდან დიდი, XIII ს. ავტორი). ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ ჯვრიანი დროშა და თავად ჯვარიც საერთო-ქართული ფენომენია. საკუთრივ სიტყვა ჯვრის ეტიმოლოგია კოლხურია: ნა-ჯა-რი ან ჯა-რი (პერპენდიკულარულად დადებული ანუ "შეჯვარებული" ხის ტოტი ან მორი), ანუ ნაჯვარი. ვირისა და ცხენის შენაჯვარს შემთხვევით როდი ეწოდა ჯორი ქართველურ ენებში.

პარიზში ინახება სანსონის სათამაშო რუკა-კარტები (XVII ს.), რომელთა რაოდენობა 65-ია. თითოეულ მათგანზე გამოსახულია სახელმწიფოები დედაქალაქებით ან ამ ქვეყნების განთქმული ქალაქებით. მაგალითად, 36-ე კარტზე გამოსახულია ჩინეთი და პეკინი, 55-ე კარტზე კი - რუსეთი ანუ მოსკოვია ქ. მოსკოვით, ხოლო 32-ე კარტზე ნაჩვენებია საქართველო (Georgie) და ერთადერთი ქალაქი : "დიდებული ქალაქი" სებასტოპოლი ანუ სოხუმი.

სხვათა შორის, სოხუმთან დაკავშირებით გაირკვა კიდევ რამდენიმე საინტერესო ამბავი. ქალაქის სახელწოდებაში არის ანატომიურ-რელიეფური გააზრებები. მაგალითად, ცხაბა (ცხუმის ერთ-ერთი ფორმა), ზურგ-დიდი / ზუგდიდი (შდრ. ოზურგეთი) და ზაგრები (შდრ: ზურგი) იყვნენ და არიან **აფხა-ჟი-ეთის** (მეგრულად: "ბეჭ-მაღალი" ანუ მთიანი ქვეყნის), ოდიშ / ოჭიშისა ("ზურგი", მეგრ.) და ხორვატიის მთავარი ქალაქები. თავად Georgia-ში (მიწათმოქმედთა ქვეყანა, ბერძნულად) პირვანდელი გააზრება ასევე ანატომიურია: გორგალი ("ხერხემალი". ესეც მეგრულად). დღევანდელი ხორვატიის ტერიტორიაზე კი არსებოდა და დღესაცაა ქ. პულა (იგივე რულა), რომელიც კალიმაქესა და სტრაბონის თქმით, მედეას კვალს დადევნებულმა "კოლხებმა დააარსეს". ხერხემლის გააზრება შეინიშნება აგრეთვე ესპანეთის ლათინურ სახელწოდებაში Spania (ლათ. spina-დან: "ხერხემალი", "ეკალი"). ამდენად, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში, სადაც კოლხთა და კოლხური ქვეყნების ნაკვალევია შემორჩენილი, მოინიშნება კოლხური ანატომიურ-გეოგრაფიული გააზრებები. ცხუმ / ცხუმარის ერთ-ერთი მეგრული ფორმა ცხობი / ცხაბა უკავშირდება მეგრულ სიტყვას ცხაბარუა ("გაფხაჭვნა"), ხოლო თავად ქართულ სიტყვაში ფხა-ჭვნა კი შეინიშნება სიტყვა აფხა-ჯანეთის / აფხა-ზანეთის / აფხა-ზეთის ძირი (აფხა), რომელიც მეგრულად "ბეჭს" აღნიშნავს და გვაძლევს ახალ გააზრებას: "ბეჭ-ჯანიან", "ბეჭ-მაგარ" ანუ აბასკო (ე. ი. "შეუვალ" ბერძნულად) მხარეს - აფხაზეთს. (შდრ.: 1. კილერ-ჯანი ანუ "მკლავ-ძლიერი" ; 2. კილერ-ჟი ანუ "მკლავ-მაღალი" > კლარჯ-ეთი). ამ "შეუვალ" (აბასკო და ერგო, ბერძნულად) ეგრისაფხაზეთში, სადაც იყო კილატირი ("დაკეტილი" ძველმეგრულად) კელასურის ზღუდე, სახლობდნენ სვანების მეზობელი ვალები, რომელთა ეთნონიმი მეგრულად იმასვე აღნიშნავს, რასაც აბასკო ბერძნულში: "უვალი", "მიუსვლელი", "მთიელი" ტომი. ეს ვალები (ახსენებს პლინიუს უფროსი) არიანემ ბერძნულად თარგმნა: აბასკოი (აბასგები). დავუბრუნდეთ სიტყვას "ფხაჭვნა". ის უკავშირდება ქართველურ სიტყვას ყუა / ყვა, რომლის მეგრული მნიშვნელობა არის "შუბლი". ძველები რელიეფურ ადგილებს არქმევდნენ ადამიანის სხეულის ზოგიერთ ნაწილებს, მაგალითად, შუბლს, რომელიც ყვავის (კორაქსი, ბერძნულად) ნისკარტისა და საქონლის რქის (კოლონ, ბერნულად) მსგავსად გამოზნექილია. სწორედ ეს გააზრებაა ჩადებული კორაქსის (გაგრის) კედელში. ამასთან, "გარეთა ციხის" (გალენ ჯიხა) ანუ გელენჯიკისაგან განსხვავებით ცხუმის ციხე იყო "აქეთური ციხე" ანუ აურენი / აყურენი ჯიხა (აყუ-ჯიხა, იმერთა მეფის - ალექსანდრეს რუკაზე). აქვეა სოხუმის ჩაზნექილი თუ გამოზნექილი ყურე. ერთ-ერთი ამ კოლხური მნიშვნელობიდან, რომლებიც გამოიხატება ყუა ძირით, მომდინარეობს (გეოგრაფიული სიმეტრიით) ჩრდილო-კავკასიური სოფლის აყუას (Acua - გასტალდის რუკაზე 1561 წლისა) სახელწოდება. ფორმაში **აფსნი**, რომელიც მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან **ვაფსინი** ("შეუგნებელი" ანუ სასტიკი, თავდამსხმელი) არ არის ისეთი ანატომიური (აფხა - "ბეჭი") მნიშვნელობა, როგორიცა გვაქვს ქორონიმში აფხაზეთი. სოხუმის (აქ ნაპოვნია ანტიკური ანკესები) სხვა გააზრებებიდან აღსანიშნავია "სათევზაო ადგილი" ანუ **ჩხომი** ("თევზი", მეგრულად) და განსაკუთრებით, **რწყუმი**, რაც ძველმეგრულად "ტყუპს" აღნიშნავდა. მხედველობაშია ზევსის ტყუპი ვაჟები ანუ დიოსკურები: კასტორი და პოლუქსი, რომლებიც, როგორც კოლხები არწმუნებდნენ აპიანეს, იქ "დარჩენილან" და დაუარსებიათ ქ. დიოსკურია (იგივე სებასტოპოლი ანუ სოხუმი). ბერძნული ფორმა **დიოსკურიადა** ("ზევსის ვაჟების" ქალაქი) ომონიმიით მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან **დოსკიდუ** ("დარჩა"). მხედველობაშია ქალაქში "დარჩენილი" დიოსკურები. ნათესაური გააზრების ("ტყუპი") გამოძახილია სოხუმის მიმდებარე სოფლის თხუბუნის (ტყუპნი) სახელწოდება. ცხუმის კიდევ ერთი მეგრული გააზრება არსებობს: ჩხუმი ("ცხელი") და უკავშირდება **მეჩხე** ("მეცხელე") მელითონეებსა და "მეცხენე" (მხედარ) ჰენიოხ-მესხებს. ქალაქის სვანური გააზრება კი გვაძლევს **ცხუმს** ("რცხილა").

## TV პროგრამა

15 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "ჭეშარიტი სიყვარული" **15.25** ფეხბურთი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** დოკ. ფილმი **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "აიაქსი"-"იუვენტუსი" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) მე-2 ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** საღამოს საუბრები **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** ძველი აფიშა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** მიამბეთ თქვენზე **00.00** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" (გ)

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **16.30** წარმავალი მოგონებები. მხ. ფილმი. რეჟისორლ ფრანსუა მარტურე. 2000. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** შანტსი. ჯაზის პირმშო. დოკ. ფილმი. **23.00** გულაგი. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: ფრთები და ფესვები. **02.55** სამხრეთის ანარეკლი. **04.25** სამძებრო პოლიცია.

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** ტელეჟურნალი "მოდა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ომის ხელოვნება" (გ) (ხრისტო ჟივკოვი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** დოკ. სერიალი "უკანასკნელი საფარი" **22.00** მხ. ფილმი "თეთრი დედოფალი" (15)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.15** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** ერთხელ ჰოლივუდში **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 00.45** ტვ-მარკეტი **14.10** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** მხ. ფილმი "იარები" (15) (ს. ოტიე)

### იბერია

**18.00** მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 5-6ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-3 ს. **20.05** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს.

### OPT

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.10** Юрий Соломин в детективе **"СУВЕНИР ДЛЯ ПРОКУРОРА" 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Премьера. "Пять вечеров". Среда. **18.20** "Шутка за шуткой". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30** Время. **22.40** Лубянка. "Похищение "Святого Луки". **23.50** Теория невероятности. "Загадки памяти". **00.20** "Идолы". Пьер Карден. **00.50** Большой взрыв. "Роботы - люди будущего". **01.20** С. Томас Хауэлл в триллере **"ПОПУТЧИК" 03.05** Джо Белуши в комедии **"РАЗДЕЛ ТЕРРИТОРИИ" 04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": Московский монстр. **10.50** "Женский взгляд" **11.20** "Растительная жизнь" **11.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: КОТ В МЕШКЕ". 14.30** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ПАДЕНИЕ РУБЛЯ". 20.50** Ярослав Воронцов в сериале **"ФАБРИКА ГРЕЗ". 22.00** Страна и мир. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.15** Сэмюэль Л. Джексон в остросюжетном фильме **"ПАУТИНА ЛЖИ" 01.40** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**.

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



სოფელი ქარელის რაიონში; 2. რ. ლეონფიავალოს ოპერა; 3. შენობა სახანძრო მანქანებისთვის; 4. ისტორიული ოლქი ჩრდილოეთ იტალიაში; 5. ქალაქი სირიაში; 6. ფსიქიური დაავადება; 7. ლეგენდარული სიუჟეტის ლექსი; 8. დაღესტნელი პოეტი; 9. ტროპიკული, მრავალწლიანი, ეკლებიანი მცენარე; 10. ყოველდღიური, საღამოს ფრანგული გაზეთი; 11. ქრისტიანული ტაძრის ერთ-ელტი ტიპი; 12. 1978 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა; 13. ადამიანის სხეულის ნაწილი; 14. ლონდონის "არსენალის" ფრანგი ფორვარდი; 15. შალის მსუბუქი, საკოსიუმე ქსოვილი; 16. ბროლის ნატიფი, დახვეწილი ნაკეთობა; 17. იტალიელი სოპრანო; 18. ქალაქი და პროვინცია ჩრდილოეთ იტალიაში; 19. იაპონიის ელექტროტექნიკური კომპანია; 20. არისტოკრატული ტიტული ესპანეთში; 21. ქალაქის ტიპის დაბა ქარელის რაიონში; 22. ყვავილების რომაული ქალღმერთი; 23. ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 24. პირველი იარუსის ლოჟები პარტერის გასწვრივ თეატრში; 25. თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი 1968-80 წლებში; 26. ისტორიული ოლქი სამხრეთ ესპანეთში; 27. მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების შესახებ; 28. ქალის სამკაული; 29. მოქმედი ვულკანი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე; 30. სიმძლავრის ერთეული 31. დირიჟაბლების იტალიელი კონსტრუქტორი; 32. ბრტყელი სახურავი; 33. შუამავალი, მომრიგებელი; 34. დიდი ზომის გადაშენებული ძუძუმწოვარი ცხოველი.

# ჰოლივუდელი ლომი იაპონიის მოქალაქე ხდება

ჰოლივუდის უკანასკნელ დიდ დამოუკიდებელ სტუდიას "მეტრო-გოლდვინ-მეიერს" (MGM) მალე "სონი ქორფორეიშენი" იყიდის. ანუ, ეკრანზე, მრგვალ ჩარჩოში თავგამოყოფილი ჰოლივუდელი ლომი, რომელიც ყველას ბავშვობის თანმხლები გამოსახულება იყო, ამიერიდან იაპონურად დაიწყებს ღმუილს.

არადა, რამდენიმე ხნის წინ ამერიკული მედია-ჯგუფი "თაიმ უორნერი" აცხადებდა, რომ ორი მხარე ფასზე ვერ თანხმდებოდა. ბოლოს კი, გავრცელებული ცნობის მიხედვით, "სონიმ" თავის ამერიკულ შენაძენში 5 მილიარდ დოლარს გადაიხდის. ამ თანხის ნახევარი ნაღდი ანგარიშსწორებით ჩაჩხრიალდება "თაიმ უორნერის" ქისაში, დანარჩენი კი MGM-ის ვალების გასტუმრებას მოხმარდება.

ახლად დადებული კონტრაქტი "სონის" უფლებას მისცემს MGM-ის კინობიბლიოთეკით ისარგებლოს, რაც შემოსავლის ძირითადი წყაროც იქნება, რადგანაც ციფრულ ვიდეო დისკებზე (DVD) სულ უფრო მეტი ფილმი გამოდის.

MGM-ის არქივი კი, მართლაც, უნიკალურია. "ბენ ჰური", "ქარწაღებულნი", "ჯადოქარი ოზიდან", უფლებები ჯეიმს ბონდის ფილმებზე - ჰოლივუდის ოქროს ხანაში დაბადებულ კინოსტუდია საკუთარ არქივში საამაყოდ უამრავ კლასიკურ ნამუშევარს ინახავს. მისი გაყიდვის შესახებ ხმები რამდენიმე თვეა, დადის, საბოლოო შეთანხმება ჰოლივუდურ-იაპონური ტანდემის შესახებ, რამდენიმე დღეში უნდა გახდეს ცნობილი.

# დე ნიროს მაფიოზური რეალობა



რობერტ დე ნირო ელიტარულ ქრონიკებში ხმაურიანი სიტუაციების გამო თითქმის არასდროს ხვდება ხოლმე. მაგრამ ამჯერად მსახიობი, უბრალოდ, ჩაითრიეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკაში დაფუძნებულმა იტალიური მემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ წერილი მისწერა იტალიის მთავრობას, თხოვნით, არ მიეცათ რობერტ დე ნიროსთვის საპატიო მოქალაქის წოდება. მათი განმარტებით, დე ნიროს მიერ შესრულებულმა მაფიოზმა პერსონაჟებმა ჩრდილი მიაყენეს იტალიელი-ამერიკელების რეპუტაციას და საზოგადოებაში უარყოფითი სტერეოტიპების დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი. ამ ბრალდებას დე ნირო სასტიკად უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ მისი გმირები იმდენად რეალისტურები არიან, რომ მათგან სტერეოტიპების გამოყვანა ცოტა რთულია. "ჩემი პერსონაჟები ნამდვილები არიან, ძალიან ნამდვილები. ამიტომაც, მათ აქვთ არსებობის უფლება, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა კინო-გმირს", - აცხადებს მსახიობი და გულისხმობს თავის გმირებს ფილმებიდან "კარგი ბიჭები", "ნათლია II", "გააანალიზე ეს", "გააანალიზე ის".

იტალიელი ამერიკელების ორგანიზაციის მოთხოვნა არც ქვეყნის მთავრობამ გაითვალისწინა. შესაბამისად, დე ნიროს საპატიო მოქალაქის წოდება, გეგმისამებრ, ოქტომბერში გადაეცემა.

# ოფრა უინფრი კეთილი ფერიის როლში



ასეთი სიურპრიზები, ალბათ, მხოლოდ იმ სტუდიაში ხდება, რომლის მასპინძელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალია. ოფრა უინფრიმ თავისი თოქ-შოუს მე-19 სეზონი წელს ყველაზე ორიგინალურად გახსნა - სტუდიაში შეკრებილი პუბლიკის წევრებს ახალთ-ახალი მანქანები დაურიგა.

საოცნებო საჩუქრის გაცემა 7 მილიონი დოლარი დაჯდა. პროექტი "ჯენერალ მოტორსის" სარეკლამო კამპანიის ნაწილი გახლდათ. ავტომწარმოებელმა კომპანიამ გადაწყვიტა, სპორტული სედანები "პონტიაკ G6" უფასოდ დაერიგებინა და ეს ოფრა უინფრის შოუში გაეკეთებინა, რადგანაც ოფრას გადაცემა დებიუტის დღიდან (1986 წ.) რეიტინგებში დღის სინდიკატირებული პროგრამების სათავეში დგას.

მანქანების დარიგებით ოფრა უინფრიმ თავისი შოუს ახალი თემა - "ყველაზე ველური ოცნებებიც სრულდება" წარადგინა. "არც ერთი ოცნება არ არის არარეალური, არც ერთი სიურპრიზი არ არის განუხორციელებელი", - საზეიმოდ აღნიშნა ოფრამ, 11 ადამიანი დარბაზიდან სცენაზე გაიხმო და განუცხადა, რომ ისინი ახალი მანქანების მფლობელები გახდნენ. ემოციები ჯერაც არ იყო ჩამცხრალი, როცა შოუს მასპინძელმა შეფუთული სასაჩუქრე კოლოფები დაარიგა დარბაზში და დანარჩენებსაც აცნობა, რომ მათშიც მანქანის გასაღებები ეწყო. ბოლოს უინფრი თავის სტუმრებთან ერთად სტუდიის ავტოსადგომზე გავიდა და წითელლენტიანი G6-ები დაანახა გაოცებულ მაყურებელს. აუდიტორიის თითოეულ წევრს მისცეს "პონტიაკის" საკონტაქტო ტელეფონი, რათა მათ დაწყნარებულ გულზე მშვიდად აერჩიათ საჩუქრად მორთმეული მანქანის ფერი და მოდელი.

როგორც ოფრა უინფრიმ მოგვიანებით განაცხადა, აუდიტორია ამ გადაცემისთვის საგანგებოდ იყო შერჩეული. გადაცემის ხელმძღვანელობამ წინდაწინვე იცოდა, რომ ისინი ახალ მანქანას საჭიროებდნენ. თუმცა, სიურპრიზის შესახებ მათ, რა თქმა უნდა, წინდაწინ არაფერი უთხრეს.

ოფრა უინფრიმ მეორე კეთილი საქმეც ჩაიდინა. ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ბავშვობა უპატრონო ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში ჰქონდა გატარებული, ოთხწლიან კოლეჯში სწავლისთვის საჭირო სტიპენდია და 10 ათას დოლარად შეფასებული გარდერობი გადასცა, ოჯახს კი, რომელშიც რვა აყვანილი ბავშვი იზრდება - ახალთ-ახალი, ავეჯითა და ელექტრონიკით აღჭურვილი სახლი, პლუს 130 ათასი დოლარის ჩეკი რემონტისთვის.





თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.